პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- — პოლონელ კომუნისტებს ასახლებენ გერმანიიდან.
- — დასრულდა ელზასის ავტონომისტების პროცესი.
- — გერმანიის ახალი რეიხსტაგი მოწვეული იქნება 11 ივნისს.
- „წითელი დღე“ პრალაში.
- — აფეთქება ამერიკის მაღაროებში.—დაიღუპა 87 კაცი.
- — ინგლისის მთავრობამ დაითხოვა თემთა პალატა 5 ივნისამდე, ლორდთა პალატა—7 ივნისამდე.
- — აფეთქება მექსიკის პარლამენტში.
- — დაიწყო სპარსეთის მეჯლისის არჩევნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი, 26 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 120 (2163)

შახტის კონტრ-რევოლიუცია და ტროცკისტული ოპოზიცია

მკითხველმა, რომელიც გაეცნო ამ წერილის სათაურს, შეიძლება იკითხოს, რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ერთსა და მეორეს შორის, შახტის კონტრ-რევოლიუციონურ და ტროცკისტულ-ოპოზიციონურ მავნებლებს შორის. ხომ არ სხედან შახტის „საქმის“ გამო ბრალდებულთა სკამზე „ჩვენი“ ოპოზიციონერები ან ტროცკისტებათ ხომ არ გამოუცხადებიათ თავი საერთაშორისო რეაქციისა და ინტერვენციის აგენტებს, რომლებიც ამ რეაქციის დავალებით ღუპავდენ დონეცის ბასეინში საბჭოთა ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს საარსებო წყაროს და რომლებსაც დღეს მუშათა კლასის უზენაესი სასამართლო ასამართლებს მოსკოვში. არ მომხდარა არც ერთი, არც მეორე, ე. ი. ვერ ვხედავთ ტროცკისტებს ამჟამად ბრალდებულთა შორის შახტის საქმეში და არც ნამდვილი ბრალდებულები აცხადებენ, რომ ისინი რაიმე ორგანიზაციულ დამოკიდებულებაში იყვნენ ოპოზიციასთან. მაგრამ ერთი რამ კი აშკარად ირკვევა: მავნებელი, დამრღვეველი მუშაობა ამ ოპოზიციისა ენერგიას მატებდა და მორალურად ეხმარებოდა ბერეზოვსკებს, კალგანოვებს და კოლოდუბებს, წყალს უშვებდა შახტის კონტრ-რევოლიუციონერების წისქვილზე. (ვიტყვით აქ სხვათა შორის ამ გახსენებაზე, რომ საუკეთესო და მდიდარ მაღაროების წყლით ავსება და ამ გზით მათი ჩახორგვა და გაფუჭება შეადგენდა მავნებლობის ერთ-ერთ საშუალებას შახტის რაიონში).

დაუფიქრდეს მკითხველი შემდეგ ფაქტს:

24 მაისის სხდომაზე, რომლის ანგარიში ჩვენ დავბეჭდეთ გუშინ, ბრალდებული ბაბენკო, შახტის ერთი მთავარ კონტრ-რევოლიუციონერთაგანი, იძლევა ჩვენებას. დეპეშათა სააგენტო ამნაირად გადმოგვცემს ამ ჩვენების შინაარსს: დირექტივებს ბაბენკო ღებულობდა ბრალდებულ ბერეზოვსკისა და კალგანოვისაგან. ბერეზოვსკი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვერ შესძლებს შეინარჩუნოს ყველა მაღაროები; მაღაროების ნაწილი გადაეცემა მის ყოფ. მეპატრონეებსო, მეპატრონეებს საუკეთესო მაღაროები უნდა შევუნახოთო. 1921 წელში დიდი იმედები იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება მალე დაემხობოდა. მაგრამ შემდგომ წლებში, საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცების გამო, ეს იმედები ჩაიფუშა. შემდეგ წარმოიშვა იმის რწმენა, რომ ყოფილ მეპატრონეებს მოიწვევდნენ, როგორც მოიჯარადრეებს ან კონცესიონერებს. და ბოლოს 1927 წელში წარმოიშვა **იმედი, რომ საბჭოთა ხელისუფლება დასუსტდებოდა შინაპარტიული დისკუსიის გამო. „კოლოდუბი მეუბნებოდა**—ასე აცხადებს ბრალდებული ბაბენკო—**რომ ოპოზიცია კარგ საქმეს გააკეთებს, ვინაიდან იგი არყევს საბჭოთა ხელისუფლებას და ამზადებს მის დამხობას**“-ო. ნოვოაზოვის მაღარო, რომელიც წყალით ავავსეთ ბერეზოვსკის დირექტივით, ერთ-ერთი საუკეთესო მაღარო იყო თავისი მოწყობილობით და წელიწადში შეეძლო 6-7 მილიონი ფუთი ნახშირის მოცემა.

ასეთია ბრალდებულ ბაბენკოს ჩვენება.

სურათი ნათელია და გასაგები ორივე თვალით დაბრმავებულისთვისაც. კონტრ-რევოლიუციონური ბანდა, თავისი ყოფილი მეპატრონეებისაგან მოსყიდული და მათი დავალებით განზრახ, სისტემატიურად ეწევა ქვანახშირის ამოღების საქმის საბოტაჟს. სახელმწიფოს შინაური მდგომარეობა, რაიმე დროებითი გართულების გამო იმედს უღვივებს მას გულში, რომ საწადელს მიაღწევს: ხელისუფლება დაემხობა, მეპატრონეები დაბრუნდებიან, მოხდება ბურჟუაზიის რესტავრაცია, მისი აღდგენა დაკარგულ უფლებებში და დასამარება პროლეტარიატის დიქტატურის. მაგრამ შინაური გართულებას საბჭოთა მთავრობა სძლევს და აი საბოტაჟნიკების სულსა და გულს ეჭვები ღრღნის და ასე ბოლომდის: ყოველი დროებითი გართულება კონტრ-რევოლიუციონურ ბანდიტებს ახარებს, ენერგიას მატებს, აქეზებს ჩვენი ეკონომიკის და (საბოლოო ანგარიშით) მთელი სახელმწიფოს მავნებლობისა და დაღუპვისათვის, რამდენადაც ეს მათ შეუძლიათ, ხოლო შინაური მდგომარეობის გამოსწორება, რასაც ხელისუფლება აღწევს მუშათა კლასის ზეადამიანური ენერგიითა და დახმარებით, კონტრ-რევოლიუციონერების იმედებს ფრთებს აკვეცს, მორალურად კლავს. და აი ასეთ პირობებში მათ უსწრებს ჩვენი შინაპარტიული ოპოზიციის „ზე-კაცური“ ე. ი. აღვირწავარდნილი, მოღალატური, მუხანათური გამოსვლები, რომლებიც, როგორც არა ერთხელ გვქონია აღნიშნული, თითქმის ყოველთვის წამოყოფდა ხოლმე თავს სწორედ ასეთ გართულებათა მოლოდინში, ან მათ დროს) და „სისხლს“ უმატებს, აღფრთოვანებს, ზნეობრივად აძლიერებს პროლეტარიატის დიქტატურის დაუძინებელ მტრებს.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ოპოზიციის ასეთი როლი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში. ვისთვის არის მაგალითად საიდუმლოება ის ფაქტი, რომ ოპოზიცია ერთ დროს, მისი „მოღვაწეობის“ „ოქროს მომენტში“ გამოვიდა ფაქტიურად „მესამე ძალის“ ე. ი. კონტრ-რევოლიუციის ორგანიზატორად, როდესაც სოროებში მიმალულმა შავმა რეაქციამ ამ სოროებიდან გამოიხედა და—„მეც ნახირ-ნახირ“—ცდილობდა ადევნებოდა „მემარცხენე გამოთაყვანებულებს“? ვის საქმეს აკეთებდა ამ მომენტში ტროცკისტული ოპოზიცია თუ არა გაშმაგებული კონტრ-რევოლიუციისას და სწორედ ხომ ამიტომ აქებდნენ და ადიდებდნენ მას ამ კონტრ-რევოლიუციის „დემოკრატიული“ იდეოლოგები მენშევიკ-ესერების ემიგრაციიდან ან მონარქისტული რესტავრაციის გმირები იმავე თეთრგვარდიელთა ბანაკიდან? ხომ იგივე იყო „ხვედრი“ ყველა ამ „მემარცხენეებისა“ დღეს უკვე ფაქტიურად დანგრეულ ეგრედწოდებულ „ლენინბუნდიდან“ (გერმანიაში), ტრენ სუვარინებიდან (საფრანგეთი) და სხვა. გერმანელ ტროცკისტების საუკეთესო აგიტატორად გამოდიოდა მთელი მემარჯვენე და მემარცხენე (მენშევიკური) ბურჟუაზიული პრესა გერმანიაში. მათი ყველა მოღალატური გამოსვლები პარლამენტში თუ კრებებზე გერმანიის კომპარტიის, კომინტერნის და საბჭოთა კავშირის „ტერმიდორიანული“ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, ყოველი მათი სისაძაგლე ამ პრესის მილიონებიან ეკზემპლიარებით ენთხეოდა თავზე გერმანიის ხალხს. ცხადია რატომ: ბურჟუაზია ამით თავის საკუთარ კლასიურ საქმეს აკეთებდა. ტროცკისტული ოპოზიციის პატარა, უბადრუკი, ყოველკვირეული გაზეთი („ფანე დეს კომმუნიზმუს“), რომელიც ხუთი ათასი ეკზემპლიარიც არ იბეჭდება და ამიტომ არავითარ კომერციულ ღირებულებას არ წარმოადგენს ბურჟუაზიული ფირმების რეკლამებისათვის, სავსეა შემოსავლიანი განცხადებებით: პატარა ფორმატის („ახალ გზაზე“ ნაკლები—ბოდიშს ვიხდით ამ შემთხვევითი, მაგრამ საილიუსტრაციოთ საჭირო, შედარებისათვის) რვა გვერდიან გაზეთის ხშირად ნახევარი ე. ი. ოთხი გვერდი ეკავა ამ ფირმების კომერციულ განცხადებებს და ამნაირად საარსებო წყაროს აწვდიდა მას ბურჟუაზია. გერმანიის სოციალ-მოღალატეთა ცენტრალური ორგანო, „ფორვერტს“-ი, რომელმაც სხვა ბურჟუაზიულ პრესასთან ერთად ფართო ადგილი დაუთმო 8—9 მაისს მომხდარ „ლენინბუნდის“ დამფუძნებელი ყრილობის ანგარიშს (ამ ყრილობაზე, როგორც ცნობილია, გადაწყდა სხვათა შორის რეიხსტაგის არჩევნებში ოპოზიციონერების საკუთარი კანდიდატების წამოყენება კომპარტიის კანდიდატების წინააღმდეგ)—აი ეს „ფორვერტს“-ი სწერდა, რომ სოციალ-დემოკრატების ადგილობრივი აგიტატორები არჩევნების დროს ნასიამოვნები დარჩებიან არაჩვეულებრივად სასეირო სანახაობით, როდესაც „ლენინისტები“ (ასე უწოდებს გარკვეული პოლიტიკური მიზნით „ფორვერტს“-ი ლენინის მოღალატეებს) ყელში სწვდებიან „სტალინისტებსო“ (ე. ი. გერმანიის კომპარტიის კანდიდატებს).

აი რა როლს თამაშობენ ტროცკისტები უცხოეთში.

აი რა როლს ასრულებდენ იგივე ტროცკისტები საბჭოთა კავშირში, რაც ასე მჭერმეტყველურად დადასტურდა შახტის კონტრ-რევოლიუციონერების მიმდინარე პროცესზე მოსკოვში.

„ჩვენი“ ოპოზიციონერების კონტრ-რევოლიუციონური როლის ამბავი ახალი არ არის, მაგრამ ამ პროცესზე ბრალდებულ ბაბენკოს მიერ დამოწმებული ფაქტი, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, წარმოადგენს კიდევ ერთ ზედმეტ ხაზს იმ დახასიათებისას, რომელიც პარტიამ მისცა ტროცკისტულ ოპოზიციას.

ისევ დე-მონზის გეგმების შესახებ

ჩვენ გუშინ ვაუწყეთ მკითხველებს, რომ საფრანგეთის ცნობილმა სენატორმა—საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დროს საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარემ დე-მონზიმ წერილი მოათავსა შტრეზემანის ბერლინურ ორგანოში „ტეგლიხე რუნდშაუ“-ში. დღეს უფრო დაწვრილებით მოვიყვანთ ადგილებს დე-მონზის წერილიდან, რომელსაც ასეთი დამახასიათებელი სათაური აქვს: „ევროპის ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ“.

დე-მონზის ამ წერილს აუცილებლად ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. მასში აღძრულია მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ეხება სხვადასხვა სახელმწიფოების ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან. იგი ფარდას ხდის იმპერიალისტური წრეების ანტი-საბჭოთა მანევრებს და განზრახვებს, მეტად ნათლად გვიჩვენებს, თუ რაზე ოცნებობენ, რას ფიქრობენ და რას აკეთებენ ბატონი იმპერიალისტები, როდესაც ძილი უტყდებათ მათ. ეს წერილი მით უფრო ღირსია ყურადღების, რომ იგი ეკუთვნის საფრანგეთის არა რომელიმე [illegible] მარკოეს ან გათავხედებულ ბრიტანელ [illegible], ბირკენხედის ტიპისას, არამედ ის წერილია ისეთ „გაკრიალებულ“, გალანტურ, ზომიან „ლიბერალურ“ იმპერიალისტის, როგორიცაა დე-მონზი.

რას სწერს დე-მონზი, რომელიც ევროპას მოუწოდებს „კომუნიზმთან საბრძოლველად“? რანაირია მისი ხმა-მაღლა წარმოთქმული აზრები? მას „აღელვებს“ იდეათა სამკუთხედი: ევროპა, კომუნიზმი და საბჭოთა კავშირი; თუ საკითხს სვამს საბჭოთა კავშირისადმი ბურჟუაზიული ქვეყნების დამოკიდებულების პერსპექტივების შესახებ; იგი სწორედ ჩვენს მთავრობას აბრალებს ყველა არანორმალობას და „საერთაშორისო სამართლისაგან“ გადახვევას. დე-მონზი წინადადებას აძლევს სახელმწიფოებს, რომ ბლოკი შეჰკრან და მოლაპარაკება გამართონ იმის შესახებ, თუ როგორ დაიჭირონ საბჭოთა კავშირი; ამ ბლოკში უნდა შევიდნენ, როგორც გამარჯვებული სახელმწიფოები, ისე დამარცხებულებიც. დე-მონზის წინადადებათა დედა-აზრი, რასაკვირველია, ვერავის ჩვენთაგანს მოატყუებს. აქ ლაპარაკია უდიდეს ევროპიულ სახელმწიფოთა მთლიანი ანტი-საბჭოთა ფრონტის შექმნის შესახებ იმ მიზნით, რომ საბჭოთა კავშირზე მოახდინონ დიპლომატიური და ეკონომიური,—ზედმოქმედება, ხოლო თუ საჭირო იქნება, უშუალო „დალითაც“. დე-მონზის წერილი არის მორიგი შხამიანი ყვავილი, რომელსაც საფრანგეთის ბურჟუაზია ჩააქსოვს ანტი-საბჭოთა სურნელოვან თაიგულში.

ჩვენზე სრულებითაც არ მოქმედებს დე-მონზის შეგონებანი, რომ გეგმაში შედის არა დიპლომატებისა და სამხედრო პირთა კონფერენციის მოწვევა, არამედ „ექსპერტ-იურისტების“ „პირუთვნელი“ კონფერენციისა, რომელიც ვითომდა ეცდება საკითხის „იურიდიულ გადაჭრას და არა სამხედრო მიდგომას“ „ნეტარ არიან მორწმუნენი“, მაგრამ ჩვენ კი არ ვაპირებთ ამ უხეში ზღაპრის დაჯერებას. ნება მოგვეცეს დე-მონზის მოვაგონოთ მას კაპიტალისტური საზოგადოებრივი ცხოვრების ის საიმედო ჭეშმარიტება, რომ „სამხედრო პირებსა“ და „იურისტებს“ მხოლოდ ფუნქციები აქვთ განაწილებული; „სამხედრო პირები“ კი არ ემსახურებიან „იურისტებს“, არამედ „იურისტები“—„სამხედრო პირებს“.

თუ ამჟამად დიდი მოვალეობით დატვირთულ დე-მონზის დაავიწყდა მსოფლიო ომის მაგალითი და „სამხედრო“ და „იურიდიულ“ მხარეთა მეტის-მეტად გულის ამაჩუყებელი დამოკიდებულება, ჩვენ მოვაგონებთ მას ასეთი დამოკიდებულების უაღრესად თანამედროვე ილუსტრაციას: ერთა ლიგამ—უახლესი „საერთაშორისო სამართლის“ სახელგანთქმულმა პირმშომ—„იურიდიული“ კრიზისის დაძლევა ვერ გაბედა, როცა იაპონიის „სამხედრო პირებმა“ მოქმედება დაიწყეს ჩინეთში. საფრანგეთის ცნობილი მწერალი რომენ როლანი სავსებით მართალია, როდესაც ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს იმპერიალისტური სახელმწიფოების ანტი-საბჭოთა კოალიციის შექმნასთან ინგლისის ხელმძღვანელობით. თუ დე-მონზის სურს ვინმე დაარწმუნოს, რომ მის გეგმაში შედის არა ომისათვის ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არამედ ჩვენთან თანამშრომლობის ორგანიზაცია, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ მას ამოურჩევია მეტად ორიგინალური „თანამშრომლობის“ აშკარად შეუფერებელი მეთოდი. წარმოვიდგინოთ დე-მონზის სახის გამომეტყველება, მაგალითად, საბჭ. კავშირის მთავრობამ, რომ საფრანგეთთან „თანამშრომლობის“ განსამტკიცებლად მოაწყოს რამდენიმე სახელმწიფოს ბლოკი,—მათ შორის ისეთი სახელმწიფოებისა, რომლებსაც საფრანგეთის იმპერიალიზმი სძაგრავს,—შეჰქმნას მათი წარმომადგენლებისაგან „იურისტ-ექსპერტების“ კომისია და გაგზავნოს პარიზში ვალისა და კრედიტის შესახებ მოსალაპარაკებლად!

„ურთიერთობაში გარკვეულობის შეტანა“ ბატონი დე-მონზი არაჩვეულებრივ ბუნდოვანია, როდესაც ლაპარაკობს ჩაურევლობის პრინციპის შესახებ, რასაც ვითომდა საბჭოთა კავშირი არღვევს. ამის დასამტკიცებლად არც ერთი ფაქტი მას არ მოჰყავს და არც შეუძლია მოიყვანოს. სამაგიეროდ, რაკი დე-მონზი დაადგა ასეთ მოლიპულ გზას, ჩვენ მოვაგონებთ მას „ბანკ დე ფრანს“-ის ხულიგნურ საქციელს „საბჭოთა ოქროს“ საკითხში. ჩარევაა ეს თუ არა?

მოულოდნელად დე-მონზი საბჭოთა მთავრობას აბრალებს იმას, რომ ბელა კუნი დააპატიმრა ავსტრიის პოლიციამ და ამავე დროს მეგობრულად აქებს მაკდონალდს, რომელიც წინადადებას იძლეოდა, რომ ბელა კუნი საჩუქრად გადაეცათ „მთელი ევროპისათვის“. რასაკვირველია, ყველა, ვისაც მხრებზე თავი აბია, მიხვდება, რომ ბელა კუნის საკითხს საფრანგეთ-საბჭოთა საქმეებთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს; თუ მაინცა და მაინც ვილაპარაკებთ ბელა კუნის გარშემო ატეხილი ევროპიული ორომტრიალის შესახებ, მაშინ ყოველმა პატიოსანმა ადამიანმა სამარცხვინო ბოძზე უნდა გააკრას მსოფლიოს შავრაზმელები ბელა კუნის „საქმისათვის“.

დე-მონზი ფიქრობს, რომ კომუნისტების გამარჯვება პარლამენტის არჩევნებში გამოწვეულია საბჭოთა მთავრობის გავლენით. თანამედროვე ლიბერალურმა ბურჟუებმა ალბად დაჰკარგეს საღი აზროვნების უნარი, როცა ისინი სერიოზულად ამტკიცებენ, რომ „მოსკოვს“ ერთი ხელის მოქნევით შეუძლია შეაგროვოს მილიონი „აგენტი“ საფრანგეთში, ან 3 ნახევარი მილიონი „აგენტი“ გერმანიაში. თუ იმპერიალისტებს სურთ გაიგონ დასავლეთში კომუნისტების გამარჯვების მიზეზი, უკეთესი იქნება დაუკვირდნენ თავის თავს, თავის საკუთარ პოლიტიკას თავისი ქვეყნის შიგნით, თავის სრულიად არა „პატიოსან თიხებს საერთაშორისო ცხოვრებაში“. იმპერიალისტები და მათი აგენტები სოციალ-დემოკრატები არჩევნებს ატარებდნენ პროლეტარიატის უდიდესი შევიწროვების პირობებში, გაათრებული ანტიკომუნისტური ტერორის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაცოფებული ცილისწამების კამპანიის ატმოსფერაში. მაგრამ რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა ღირსეული პასუხი გასცა თავის მტრებს. ასეთია მოვლენათა ნამდვილი კავშირი. დე-მონზის, ამ ცბიერ გაიძვერას სურს თავი მოგვაჩვენოს ისე, რომ თითქოს მას ყოველივე ეს არ ესმის.

საინტერესოა ერთი რამეც: რატომ მოათავსა დე-მონზიმ წერილი შტრეზემანის ორგანოში? რას ნიშნავს ეს—გერმანიის თვალსაზრისს? ახალ კურსს საგარეო პოლიტიკის დარგში? მოფერების იმედს რურის გმირი პუანკარეს მხრივ? თუ უაღრეს ნერვიულობას 20 მაისის არჩევნების შედეგების გამო? ან საქანელას ერთგვარ გადახრას ჩემბერლენისა და ბირკენხედისაკენ? კარგი იქნებოდა ჰინდენბურგის მმართველ წრეებს გარკვეულად გამოეთქვათ თავისი აზრი.

დე-მონზი, რომელიც პუანკარესთან და ბირკენხედთან ერთად დადგა „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ დროშის ქვეშ და ამოეფარა სიტყვებს პატიოსანი საერთაშორისო თამაშის შესახებ, თანდათან დგება უპატიოსნო ავანტიურის გზაზე. ვაჭრობა, პატიოსნად, საქმიანად ვაჭრობა, ალბად არ აკმაყოფილებს ავანტიურისტებს. ისინი განაგრძობენ პოლიტიკას, რომელმაც დიდი სამეურნეო და პოლიტიკური ზიანი მაყენა მათ. მომავალშიაც, ამის წინასწარმეტყველობა არ არის ძნელი საქმე,—კიდევ უფრო მეტ ზარალს მიიღებენ, თუ ისევ ძველი გზით ივლიან. ის, რაც მათ სურთ გააკეთონ პატიოსანი თამაშის სახით, ეს არის მდაბალი ხასიათის, ანტისაბჭოთა შეთანხმება, რომელიც შეღებილია ბატონ დე-მონზის ლიბერალური ფერით. ეს ის ნაცადი გზაა, რომელმაც ამდენი ზიანი მიაყენა მათ და რომელიც კვლავ მიაყენებს, ვინაიდან ევროპაში და მთელ დედა-მიწის ზურგზე არსებობს საკმაო ძალები, რომლებიც ჩაფუშავენ იმპერიალიზმის საზიზღარ ინტრიგებს.

„პრავდა“, 24 მაისი.

სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის

II

ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენას საფუძვლად ედება მეთხუთმეტე პარტიული ყრილობის დადგენილებები. საერთო დირექტივების მიხედვით გამოიცა კიდევ საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მითითებანი, რომელნიც გეგმის მთავარ საკითხებში იძლევიან რიცხვობრივ განსაზღვრას. გასულ წელში შედგენილ გეგმასთან შედარებით მრეწველობის განვითარება დასახულია უფრო მაქსიმალური ტემპით. ზრდის ტემპის ეს გადიდება შესაძლებელი გახდა მთელი რიგ მომენტების გამო. წარმოების გადიდებაზე გავლენას იქონიებს ძირითადი კაპიტალის უფრო სრული და მიზანშეწონილი გამოყენება, სამუშაო დღის დატვირთვა, სამეურნეო მუშაობის ხასიათის გაუმჯობესება, ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ხელმძღვანელობის განმტკიცება.

ზრდის ტემპის დაჩქარებაზე საკავშირო სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს შეხედულებით, გავლენას იქონიებს აგრეთვე ტექნიკურ მოწყობილობის უფრო ინტენსიური გამოყენება რამოდენიმე ცვლიან სამუშაოს შემოღებით 7 საათის სამუშაო დღის გატარებასთან დაკავშირებით. წარმოების რაციონალიზაცია, სპეციალისტთა სტანდარტიზაცია და მანქანების მუშაობათა დაჩქარება გაადიდებს წარმოების პროდუქციას. საგრძნობ გავლენას იქონიებს ზრდის ტემპზე მეცნიერულ-ტექნიკურ ცდების განვითარება და გამოყენება. სოფლის მეურნეობის ტექნიკურად გარდაქმნის აღებული მტკიცე გეზიც გაადიდებს პროდუქციას.

გასულ წელში ხუთწლიან გეგმის შედგენის დროს მთლიანად არ იყო მიღებული მხედველობაში ადგილობრივი მრეწველობა მათი გეგმაში მოქცევით გასულ წელში დასახული რიცხვები გაიზარდა.

მსუბუქ მრეწველობის ზრდა ახალი გეგმით უფრო ჩქარი ტემპით ისახება. (მაგრამ ამასთანავე მძიმე მრეწველობის ზრდა შედარებით მეტი იქნება). ვინაიდან მოსახლეობის შემოსავლიანობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდასთან დაკავშირებით გადიდდება და ფართო მოსახმარ საგნებზე მეტი მოთხოვნილება იქნება. მოხმარების ნორმის აწევის უზრუნველსაყოფად საჭირო ხდება იმ წარმოებათა უფრო დაჩქარებით განვითარება, სადაც ფართო მოსახმარი საგნები მზადდება.

მძიმე მრეწველობის (წარმოების საშუალებათა დამზადება) ყოველწლიური მატება უნდა გამოიხატოს საშუალოდ 20 პროცენტში, ასე იგი ხუთი წლის ბოლოში გვექნება ზრდის 100 პროცენტი. მსუბუქ მრეწველობაში, სადაც მზადდება უშუალოდ მოსახმარი საგნები, ყოველწლიური მატება ისახება 17 პროცენტით—ხუთი წლის ბოლოში—35 პროცენტი. პირველსა და მეორე ჯგუფის წარმოებათა ზრდა ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ პირველი ჯგუფის (წარმოების საშუალებათა დამზადება) ხვედრითი წონა უნდა უდრიდეს 43,6 პროცენტს, მეორე ჯგუფის (სამომხმარებლო ნაწარმოები)—56,4 პროცენტს.

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლებაც, გასულ პროექტთან შედარებით, ახლა აღებულია უფრო მეტი. ხუთი წლის დასასრულს 1932-33 წელში თვითღირებულება უნდა იქნეს დაკლებული 32 პროცენტით. საბაზრო ფასების დაკლება ფართო მოხმარების საგნებზე ნავარაუდევი უნდა იქნეს 21 პროცენტით. (1931-32 წელში საბაზრო ფასები უნდა იყოს 21 პროცენტით ნაკლები, ვიდრე 1926-27 წელში იყო).

მძიმე მრეწველობის ნაწარმოების ფასების დაკლების საკითხში უნდა იქნეს აღებული ისეთი ხაზი, რომ ამ ნაწარმოების ფასები, რომელიც განსაზოგადოებული სექტორს და აგრეთვე სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხობას ხმარდება, უფრო ინტენსიურად იქნეს დაკლებული. დანარჩენ ნაწარმოების (რომელიც არაგანსაზოგადოებულ სექტორს ხმარდება) ფასების დაკლება უფრო მცირე უნდა იქნეს.

ფასების პოლიტიკა ისეთი უნდა იყოს, რომ ხუთი წლის დასასრულს (1932-33 წელში) უზრუნველყოფილი ვიქნეთ განსაზღვრული დაგროვებით მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. საკავშირო სახალხო მეურნეობის საბჭოს ვარაუდით დაგროვების საერთო ჯამი (მოგება და ამორტიზაცია) უნდა შეადგენდეს 9.325 მილიონ მანეთს.

ახალ კაპიტალურ მშენებლობისათვის დასახარჯი თანხებიც გასულ წლის გეგმასთან შედარებით გადიდებულია. ხუთი წლის განმავლობაში დაახლოვებით ნავარაუდევია 8.344 მილიონი მანეთის დახარჯვა. მძიმე ინდუსტრიისათვის აქედან დაიხარჯება 70 პროც. მსუბუქისათვის—30 პროცენტი. ახალი კაპიტალური მშენებლობა ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ მაქსიმალურ შესაძლებლობის ფარგლებში საბჭოთა კავშირი განთავისუფლებული იქნეს საზღვარგარეთისაგან დამოკიდებულებიდან. დირექტივა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნაციონალურ რესპუბლიკებში და მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილ რაიონებში კაპიტალური მშენებლობის განვითარებას, აგრეთვე იმ წარმოებათა გაერთიანებას, რომელნიც ხელს შეუწყობენ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას.

კაპიტალურ მშენებლობის გეგმის შედგენის დროს უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომ მშენებლობა მიმდინარეობდეს დაჩქარებითი ტემპით და განსაზღვრული იქნეს ცალკე წარმოებათა ამუშავების მაქსიმალური დაჩქარების ვადა.

შრომის ხელფასის ზრდა ნავარაუდევი არის ნომინალურ გამოხატულებაში 30 პროცენტამდე (ხუთი წლის ბოლოში). მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ფართო სამომხმარებლო საგნებზე საბაზრო ფასების 21 პროცენტით დაკლებას, რეალური ხელფასი ამ ხუთი წლის განმავლობაში 50 პროცენტით გაიზრდება.

შრომის ნაყოფიერება, ტექნიკურ გაუმჯობესებასთან და რაციონალიზაციასთან დაკავშირებით ხუთი წლის განმავლობაში უნდა უდრიდეს 75 პროცენტს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბინაო მშენებლობას და შრომის დაცვის ზომების გატარებას. ამისათვის თანხები გადიდებული იქნება მეტი რაოდენობით. ვიდრე გასულ წლის გეგმის პროექტში იყო ნავარაუდევი. შვიდი საათის სამუშაო დღის გატარება უნდა დამთავრდეს სრულად 1931-32 სამეურნეო წელში. ამასთან დაკავშირებით დასახულია მუშათა რიცხვის საგრძნობელი ზრდა.

ტომელი.

კონფლიქტი პოლონეთის მთავრობასა და სეიმს შორის

სეიმმა უარყო მთავრობის წინადადება საადგილ-მამულო გადასახადის გადიდების შესახებ

ჩან-ძო-ლინი საიდუმლო ხელშეკრულებას სდებს იაპონიასთან

პოლონეთის სეიმი მთავრობის წინააღმდეგ

ვარშავა, 24 მაისი. იმ გარემოებამ, რომ სეიმმა უარჰყო მთავრობის წინადადება საადგილ-მამულო გადასახადის განაკვეთების გადიდების შესახებ, გაცხოველებული მითქმა-მოთქმა გამოიწვია პოლიტიკურ წრეებში. მთავრობის წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცა სეიმის მთელმა მემარცხენე ნაწილმა, აგრეთვე ეროვნულმა უმცირესობებმა და ცალკე გლეხმა-დეპუტატებმა მთავრობის ბლოკიდან. მთავრობამ უკან წაიღო წინადადება „გადასასინჯავად“.

მთავრობის პრესა სასტიკად ილაშქრებს სეიმის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ოფიციოზი „გლოს პრავდი“ სწერს, რომ სეიმი „უტიფრად“ მოიქცა. ფიქრობენ, რომ მთავრობასა და სეიმს შორის მომხდარ კონფლიქტში მთავრობის პოზიცია მტკიცე არ არის, ვინაიდან ის დამარცხდა პროექტის განხილვის დროს. **პროექტი უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობის ფართო ფენებში, განსაკუთრებით გლეხობაში, რომელსაც აწვება უმთავრესად საადგილ-მამულო გადასახადის გადიდების სიმძიმე.** მემარჯვენე პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სეიმში ყალიბდება ახალი უმრავლესობა, რომელიც შესდგება სეიმის მემარცხენე ნაწილისა და ეროვნულ უმცირესობებისაგან. (ადს)

რემედასის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 25 მაისი. რემედასის მოწოდებაში ყველა ქვეყნების მშრომელთა მიმართ ნათქვამია:

„მსოფლიო ბურჟუაზია, რომელსაც აშინებს მშრომელთა გამემარცხენება, არაჩვეულებრივი სისასტიკით და ცინიზმით არბევს მშრომელთა პოლიტიკურ, კულტურულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს. ფაშისტურ პოლონეთის სასამართლომ კატორღაში გაგზავნა 37 ბელორუსელი მოღვაწე. ფაშიზმის გზაზე შემდგარი ავსტრიის მთავრობა აპირებს ბელა კუნის გადაცემას უნგრეთის პოლიციისათვის. 28 მაისს იტალიელი ფაშისტების მთავრობა, ყაჩაღებისა და მკვლელების გამხეცებული ხროვა, რომელიც განაგებს განსაკუთრებულ კანონებისა და საგანგებო ტრიბუნალების საშუალებით, აპირებს იტალიის კომპარტიის 36 მოღვაწის გასამართლებას. საერთაშორისო ფაშიზმი ცდილობს ჩაახრჩოს, თავი მოჰკვეთოს მშრომელთა რევოლიუციონურ მოძრაობას, ფიზიკურად გაანადგუროს რევოლიუციის ხელმძღვანელი კადრები. მოითხოვეთ! განსაკუთრებულ კანონების და საგანგებო ტრიბუნალების გაუქმება. პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება. თავშესაფარის უფლება პროლეტარულ პოლიტიკურ ემიგრანტებისათვის. პროტესტი განაცხადეთ ბელორუსთა გრომადის წევრებისათვის გამოტანილ განაჩენის წინააღმდეგ. (ადს).

ბ რ ძ ო ლ ა ჩ ი ნ ე თ შ ი

ამერიკის შეერთებულ შტატების დემონსტრაცია იაპონიის წინააღმდეგ

ტოკიო, 24 მაისი. „დემპო ცუსინის“ სააგენტო იუწყება: მაკ მურრეიმ აცნობა იაპონიის ელჩს ჩინეთში—იოშიზავას, რომ ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატები უარჰყოფენ სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობას პეკინისა და ტიანცზინის დასაცავად საჭირო ზომების მიღებაში. იოშიზავამ მაკ მიურრეის სთხოვა ამ გადაწყვეტილების გადათვალიერება, მაგრამ მურრეიმ უპასუხა, რომ ასეთია ვაშინგტონის დირექტივაო.

გაზეთი „ხოცი“ ფიქრობს, რომ ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების მთავრობის ეს ნაბიჯი წარმოადგენს დემონსტრაციას იმ მემორანდუმის წინააღმდეგ, რომელიც იაპონიამ გაუგზავნა პეკინს, ნანკინს და ფინ-იუი-სიანს.

ჩან-ძო-ლინმა ცინდაო იაპონელებს მიჰყიდა

შანხაი, 24 მაისი. „ჩაინა ტაიმს“-ი აქვეყნებს ტიანძინიდან მიღებულ ცნობას, რომლის მიხედვით ჩან-ძო-ლინმა იან-იუ-ტინს დაავალა დასდოს ფარული ხელშეკრულება იაპონიასთან შემდეგ საფუძველზე: პეკინის მთავრობა იაპონიის მთავრობას იჯარით აძლევს ცინდაოს (ნახევარკუნძულ შანდუნის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში) 99 წლის ვადით, სამაგიეროდ იაპონია ჩან-ძო-ლინს აძლევს სესხს 50 მილ. დოლარის რაოდენობით. იაპონია ღებულობს მონოპოლიას რკინის-გზების გაყვანაზე მანჯურიაში. (ადს).

პეკინი—სამხედრო ბანაკი

პეკინი, 24 მაისი. პეკინში დაბანაკებულ იაპონელი ჯარები აგებენ სიმაგრეებს იმ კედლის გასწვრივ, რომელიც გარს აკრავს ავსტრიის მისიას. პეკინი სამხედრო ბანაკის სახეს ღებულობს. ტიანცზინიდან მოელიან 4.000 იაპონელ ჯარისკაცს. (ადს).

150 კომუნისტის დასჯა სიკვდილით

ნიუ-იორკი, 25 მაისი. „ასოშიეტედ პრესის“ სააგენტოს კანტონელი კორესპონდენტის ცნობით, გუანდუნის მთავრობის ჯარებმა კანტონში სიკვდილით დასაჯეს 150 კომუნისტი. კანტონიდან გადაასახლეს რუსი ქალები, რომლებიც ადგილობრივ კაბარეში გამოდიოდენ მათ დააბრალეს კომუნისტების დახმარება.

კომუნისტების დაპატიმრება კანტონში

შანხაი, 24 მაისი. კანტონიდან იუწყებიან, რომ პოლიციამ გაჩხრიკა „კომუნისტური შტაბის“ ბინა. გაჩხრეკის დროს დააპატიმრეს ტან-ჩუ-ჟენი, რომელიც, პოლიციის მტკიცებით, „კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტის“ წევრია. დაპატიმრებულია აგრეთვე 15 კაცი და 2 ახალგაზრდა ქალი, რომელთაც ჩინეთის კომკავშირის წევრობა ბრალდება. (ადს).

ჩან-ძო-ლინი (აღსასრულის წინ) ზავის „მომხრეა“

ტოკიო, 27 მაისი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინმა თავისი წარმომადგენელი გაგზავნა ნანკინში იმ მიზნით, რომ გამართოს საზავო მოლაპარაკება შემდეგ საფუძველზე: ჩრდილოეთის არმია რჩება მის მიერ ამჟამად დაკავებულ პოზიციებზე და ყველა საკითხებს გადასწყვეტს ნაციონალური კრება; ნაციონალური კრების მოწვევამდე ცენტრალურ მთავრობის თავმჯდომარედ რჩება ჩან-ძო-ლინი. ნაციონალური კრების მოწვევის შემდეგ ჩან-ძო-ლინი ვალდებულია დასტოვოს პეკინი. (ადს).

„წითელი“ დღე პრალაში

პრალა, 24 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ორგანო „რუდე პრავო“-ში დაბეჭდილია მიმართვა, რომელიც მოუწოდებს მუშებს შეიკრიბონ პრალაში 5 ივლისს, როდესაც უნდა შემდგარიყო მთავრობის მიერ აკრძალული სპარტაკიადა. მოწოდება წინადადებას იძლევა აკრძალულ სპარტაკიადის მაგიერ მოეწყოს ქვეყნის ყველა კუთხეებიდან მუშების შეკრება „წითელი დღე“. „წითელი დღე,—ნათქვამია მოწოდებაში,— შესდგება დამოუკიდებლათ იმისაგან, სურს თუ არა ეს მთავრობას“. ხელისუფლებას არ შეეძლო მოეხდინა გაზეთის იმ ნომრის კონფისკაცია, რომელშიაც დაბეჭდილი იყო მოწოდება, ვინაიდან მოწოდების მთავარ ნაწილს შეადგენს კომუნისტ სენატორ ხკალაკას მიერ სენატში წარმოთქმული სიტყვიდან გადმობეჭდილი ადგილები. (ჩეხო-სლოვაკიის კანონის მიხედვით არ შეიძლება იმ ნაწარმოებთა კონფისკაცია, რომლის არსებითი ნაწილს შეადგენს პარლამენტის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშებიდან გადმობეჭდილი ადგილები).

რეფორმისტების ხრიკები

ლონდონი, 24 მაისი. ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომმა განიხილა მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა შოტლანდიის რაიონულ ფედერაციაში ახალი აღმასკომის არჩევის შემდეგ (შოტლანდიის რაიონულ ფედერაციის წინანდელი შემადგენლობა დამარცხდა უკანასკნელ არჩევნებში, მაგრამ მას არ სურს მოიწვიოს ფედერაციის წლიური კონფერენცია, რომელზედაც უნდა მოხდეს რწმუნების გადაცემა ახლად არჩეულ მემარცხენე შემადგენლობის აღმასკომისათვის).

კამათის შემდეგ აღმასკომმა 156 ხმის უმრავლესობით შვიდი ხმის წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც წინადადებას აძლევს ყველა ფედერაციებს „განიხილონ კომპარტიის და მემარცხენე პროფუმცირესობის მუშაობის საკითხი. ეს რეზოლიუცია სავსებით უჭერს მხარს აღმასკომის დამარცხებული შემადგენლობის უკანონო პოლიტიკას. რეზოლიუციის პროექტი შეადგინა ინგლისის სამთა-მადნო მუშათა ფედერაციის თავმჯდომარემ **ჰერბერტ სმიტმა**. ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს აღმასკომის მთელ რიგმა წევრებმა, მათ შორის კომუნისტმა **არტურ ხორნერმა, კუკმა** და **დევისმა**. სრულიად ინგლისის ფედერაციის მხრივ მხარის დაჭერის შემდეგ, შოტლანდიის ფედერაციის დამარცხებული მოღვაწენი, ალბათ, ისარგებლებენ ამით, რომ აქამდის მათ არ გადუციათ თავისი რწმუნებები და შეეცდებიან უკანონოთ გამოაცხადონ უკვე მომხდარი არჩევნები. (ადს).

ჰამბურგში მომხდარ აფეთქების გარშემო

აფეთქების მსხვერპლნი

ბერლინი, 24 მაისი. ჰამბურგის საავადმყოფოებში მიჰყავთ შტოლცენბურგის ფაბრიკის საწყობში გაზის აფეთქების დროს დაშავებულნი. ბევრი მათგანი მძიმედაა დაშავებული. აფეთქების დროს დაჭრილთა რიცხვიდან ჰამბურგის ყველა საავადმყოფოებში 131 კაცია მოთავსებული, 115 კაცი კი ამბულატორიული მკურნალობით სარგებლობს. ხარბურგსა და ვილჰელმსბურგში (ჰამბურგის განაპირა უბნებია) 84 კაცს მკურნალობენ. ჰამბურგის პოლიციაში გაიმართა გერმანიის ყველა კუთხეებიდან ჩამოსულ სპეციალისტების თათბირი. თათბირმა დაადგინა საწყობში დარჩენილი ფოსგენი მოსპონ ქიმიური საშუალებით, ვინაიდან ფოსგენის ბალონების გატანა ქალაქ გარედ სახიფათოა.

ჰამბურგის სენატში გაიმართა კამათი იმ შეკითხვების გარშემო, რომლებიც კომუნისტებმა, სოციალ-დემოკრატებმა და დემოკრატებმა შეიტანეს ფოსგენის აფეთქების გამო. კამათის დროს მწვავე შეტაკება მოხდა კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის, რომლებიც ცდილობდნენ კატასტროფა გამოეყენებიათ ანტისაბჭოთა კამპანიისათვის.

ბერლინი, 24 მაისი. საფრანგეთის ინგლისის და ამერიკის პრესის იერიშებმა გერმანიის წინააღმდეგ ჰამბურგში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით, გაცხოველებული გამოძახილი ჰპოვა გერმანიის პრესაში.

ცენტრის ორგანოს —„გერმანია“-ს ლონდონელი კორესპონდენტის ცნობით, ინგლისის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ერთა ლიგის უახლოესი სესია განიხილავს ჰამბურგში მომხდარ აფეთქების საკითხს, რათა გამოარკვიოს, თუ რამდენადაა განხორციელებული გერმანიაში კანონები, რომლებიც შხამიანი გაზების წარმოებასა და შენახვას აწესრიგებენ. გერმანიის პოლიტიკური წრეები კატეგორიულად უარყოფენ ამ საკითხში ერთა ლიგის საბჭოს ჩარევის შესაძლებლობას. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვის მუშები მ. გორკის მოლოდინში

ფაბრიკა-ქარხნებში

მოსკოვი, 24 მაისი. სამზადისმა მაქსიმ გორკის შესახვედრათ უკანასკნელ დღეებში მასიური ხასიათი მიიღო. მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები გამოეხმაურა გორკის ჩამოსვლას. უკვე შესდგა რამდენიმე ქარხანაში მუშების საზოგადო კრება, რომლებმაც აირჩია დელეგაცია გორკის შესახვედრათ.

მაქსიმ გორკი მებულკე და მღებავი

პროფესიონალური კავშირებიც გაცხოველებით ემზადებიან საპატიო სტუმარის ღირსეულად მიღებისათვის. გემო-კვების კავშირი მაქსიმ გორკის, როგორც ძველ მებულკეს, მიართმევს კავშირის საპატიო ბილეთს, ასეთივე საწევრო ბილეთს ამზადებს მშენებელთა კავშირი მაქსიმ გორკისათვის, როგორც ძველ მღებავისათვის.

ამასთან ერთად ცალკე პროფესიონალურ კავშირების კულტურულ-განმანათლებელ განყოფილებებს გადაწყვეტილი აქვთ მოაწყონ თავიანთ კლუბებში სპეციალური საღამო, რომელზედაც მოწვეული იქნება მაქსიმ გორკი.

საჭიროა დაუყოვნებლივ გარდატეხა მოხდეს

მოსკოვი, 24 მაისი. „პრავდა“-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „საყურადღებო დირექტივა შეუსრულებელი რჩება“. საქმე იმაშია, რომ ამ დღეებში ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა იმის გამოკვლევა, თუ რამდენად სისწორით და მტკიცეთ ახორციელებენ საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები პარტიის უმაღლეს ორგანოების დირექტივას ღარიბ გლეხობისათვის დახმარების ორგანიზაციას. ეხება რა გამოკვლევის შედეგებს, გაზეთი აღნიშნავს, რომ ღარიბ გლეხობის დახმარების საქმე ცუდ მდგომარეობაშია.

ღარიბთა ფონდები ხშირად სულ სხვა დანიშნულებას ხმარდება. გარდა ამისა კოოპერატივები უსპობენ ღარიბ გლეხკაცობას წვრილ კრედიტს სამომხმარებლო საქონელზე. ამნაირად, საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დირექტივა შეუსრულებელი რჩება.

ადგილობრივ ორგანიზაციებს დღემდე კიდევ არა აქვთ სათანადოთ გარკვეული პარტიის ხაზი ღარიბთა შორის მუშაობის დარგში. ამიტომ ხშირად ადგილი აქვს სოფლად პარტიულ პოლიტიკის დამახინჯებას. ამით სარგებლობს კულაკი. ის ზოგიერთ რაიონებში აქტივობას იჩენს.

ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა, რაც შეიძლება დაუყოვნებლივ მოხდეს სათანადო გარდატეხა ღარიბთა შორის მუშაობის დარგში.

კონტრ-რევოლიუციონერთა ბუნაგის აღმოჩენის გარშემო

მოსკოვი, 24 მაისი. გამოძიებამ, მოსკოვის მახლობლად სერგიევში აღმოჩენილ კონტრ-რევოლიუციონურ ბუნაგის შესახებ, გამოააშკარავა მთელი რიგი ახალი ფაქტები, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ სერგიევის ლავრის შავრაზმელთა ორგანიზაციას ფართოე ქსელი ჰქონებია გაბმული.

სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველომ დააპატიმრა სერგიევის ლავრის კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციასთან დაკავშირებით მონარქისტების დიდი ჯგუფი.

უკანასკნელი ამბების გამო სერგიევში პარტიის სამაზრო კომიტეტის მეთაურობით შესდგა საქალაქო პარტიული კრება, რომელმაც იქონია მსჯელობა მღვდელ-კაპიტალისტ ძველ ჩინოვნიკების შავრაზმულ ორგანიზაციის აღმოჩენის შესახებ. კრებამ ერთხმად მოიწონა ის ენერგიული ზომები, რომელთაც მიმართა სერგიევის შავრაზმელთა წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოებმა.

მუშა-მოჭადრაკეების საერთაშორისო ტურნირი მოსკოვში

მოსკოვი, 24 მაისი. მიმდინარე წლის 5—10 ივლისამდე მოსკოვში გაიმართება მუშა-მოჭადრაკეების საერთაშორისო ტურნირი, რომელზედაც მოწვეულნი არიან თითქმის ყველა დიდ სახელმწიფოთა ცნობილი მუშა-მოჭადრაკეები.

ტურნირის დასრულების შემდეგ მოსკოვშივე შესდგება ჭადრაკის ინტერნაციონალის კონგრესი.

მოსკოვის საჭადრაკო კლუბები აქედანვე შეუდგენ გაცხოველებულ სამზადისს [illegible] მსოფლიო შეჯიბრებისათვის.

პოლ ბონკური „შეგუების“ პოლიტიკას ამართლებს

პარიზი, 24 მაისი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მიერ მოწვეულ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ფრანგი სოციალისტების ბელადმა **პოლ ბონკურმა**.

პოლ ბონკური შეეხო საფრანგეთის ახალი პალატის შემადგენლობას და განაცხადა:

„პალატის მემარჯვენე ხასიათი საეჭვოა. მე არ ვიზიარებ ზოგიერთი იმ ამხანაგების პესიმიზმს, რომელთა შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ყველაფერს შავ ფერად ღებავენ იმ მიზნით, რომ გაამართლონ ოპოზიციონური ტაქტიკა. საფრანგეთმა მხოლოდ დააფასა პუანკარეს უდიდ დამსახურებანი, პუანკარესი, რომელმაც დაიხსნა საფრანგეთი. ომის შემდგომ დასმული პრობლემები მოითხოვენ არსებული პარტიების გარდაქმნას და მათი მოძღვრების გადასინჯვას. სოციალიზმი უნდა შეეგუოს დადებით მშენებლობას. ასეთი შეგუების მაგალითს იძლევა შრომის საყოველთაო ფედერაცია (რეფორმისტულ პროფკავშირთა გაერთიანება)“.

შემდეგ ბონკურმა კმაყოფილებით აღნიშნა გერმანიის სოციალ-დემოკრატების გამარჯვება რეიხსტაგის არჩევნებში. ბონკური შეეხო ფრანგი სოციალისტების ტაქტიკას და განაცხადა:

„სოციალისტებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ პალატის დადებით მუშაობაში, და არ უნდა დაადგენ პრინციპიალური ოპოზიციის გზას. თუ ჩვენ თავს მოგვახვევენ ისეთ ოპოზიციას, რომელმაც ბრმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს საყოველთაო შრომის კონფედერაციას და ლოკარნოს და ჟენევის პოლიტიკას, ჩვენ იძულებული ვიქნებით შეურიგდეთ ამას. მაგრამ ეს სავალალო გახდება შემდეგ, ვინაიდან ამ შემთხვევაში კომუნიზმი მოიპოვებს გამარჯვებას. თუ სოციალისტები შევლენ უმრავლესობის შემადგენლობაში და მიმართულებას მისცემენ ამ უმრავლესობის პოლიტიკის გეზს, მაშინ ხელისუფლების სათავეში ყოფნით და ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენით მათ შეეძლებათ მიმართონ მოვლენათა მსვლელობა და კომუნიზმს დაუპირდაპირონ მშვიდობიანი რეფორმების განხორციელება“.

ბონკურის გამოსვლას წინ უძღოდა **ფიანტის** გამოსვლა, რომელიც ფრანგ სოციალისტებს მოუწოდებდა, რომ ხელი აიღონ ოპოზიციაზე პალატაში. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა **მონტანიანმა**, რომელიც ბონკურს მოუწოდებდა, რომ არ დასტოვოს საფრანგეთის წარმომადგენლის პოსტი ერთა ლიგაში.

ბონკურის გამოსვლას, რომელიც აშკარად გამოხატავს გერმანიის არჩევნების შედეგებს, ჯერ-ჯერობით კომენტარიებს უკეთებს მემარჯვენე პრესა. მემარჯვენე პრესა აღფრთოვანებულია ბონკურის გამოსვლით.

მილიერანის ორგანო „ავენირი“ სწერს:

„ბონკური იმავე ენით ლაპარაკობს, როგორც ჩვენ, და მოისწრაფის იმავე მიზნებისაკენ, რომლებსაც ჩვენ ვისახავთ. დეე, საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ მიბაძოს ბონკურის მაგალითს. დეე, იგი გახდეს წმინდა რეფორმისტული პარტია და თანამშრომლობს ეროვნული გაერთიანების მთავრობასთან.

„ფიგარო“ სავსებით იწონებს ბონკურის პოზიციას

ბონკურის სიტყვა, წარმოთქმული პარტიის ყრილობის წინ, რომელსაც ბონკური არ დაესწრება, წარმოადგენს პასუხს მთელ რიგ რეზოლიუციებზე, რომლებიც მიიღო პარტიის პროვინციალურმა ფედერაციებმა, როგორიც მაგალითად რეზოლიუცია, რომელიც პარტიის სენის ფედერაციის ყრილობამ მიიღო მემარცხენე სოციალისტ ჟირომსკის წინადადებით ეს რეზოლიუცია მოითხოვს ბრძოლას კომუნისტებთან და რადიკალებთან, ამასთანავე კომუნისტების შესახებ აღნიშნავს, რომ „კომუნიზმისა და სოციალიზმის საბოლოო მიზნები ერთი და იგივეა“-ო. მთავრობისადმი დამოკიდებულების საკითხში რეზოლიუცია მოითხოვს, რომ პალატის სოციალისტურმა ფრაქციამ შექმნას მტკიცე ოპოზიცია

ბონკურის სიტყვა და მონტანიანის გამოსვლა წარმოადგენს პასუხს პარტიის ჩრდილო დეპარტამენტის ფედერაციის წინადადებაზე, რომელიც მოითხოვს, რომ ბონკურს აეკრძალოს საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლობა ერთა ლიგაში.

ტულუზის მემარცხენე ბურჟუაზიული გაზეთი „დეპეშ დე ტულუზ“ ურჩევს სოციალისტებს „ამოფხვრან დოქტრინის ფესვები და აშკარად აიღონ ხელი კლასიური ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპებზე“.

საფრანგეთის პრესა იუწყება: სოციალისტების 30 დეპუტატმა განაცხადეს, რომ უერთდებიან ბონკურის სიტყვას (ადს).

„კეთილგონიერება“ ვანდერველდეს რეცეპტით

პარიზი, 24 მაისი. „ექსელსიორ“-ი აქვეყნებს ინტერვიუს ვანდერველდესთან; ვანდერველდემ განაცხადა:

„კომუნიზმმა ხელი შეუწყო საფრანგეთის სოციალისტებს განთავისუფლებულიყვნენ თავიანთი იდეოლოგიისაგან“.

ვანდერველდე მოუწოდებს საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას „კეთილგონივრულად მიბაძოს გერმანიის, ბელგიის და ინგლისის სოციალისტების მაგალითს“ (ადს).

ინგლისის ქვანახშირის მრეწველობის კრიტიკული მდგომარეობა

კინგმა იპოვა „დამნაშავე“

ლონდონი, 24 მაისი. თემთა პალატის სხდომაზე მუშათა პარტიის ზოგიერთმა დეპუტატებმა აღძრეს საკითხი ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. დეპუტატები აღნიშნავდნენ, რომ მემაღაროების მდგომარეობა შოტლანდიისა და ქვანახშირის სხვა რაიონებში ტრაგიკულია. ისინი დიდ გაჭირვებას და არაჩვეულებრივ სიღატაკეს განიცდიან. ნორტუმბერლენდში მემაღაროეთა 35 პროც. უმუშევარია. მუშათა პარტიის დეპუტატები მთავრობისაგან მოითხოვენ სასწრაფო ზომების მიღებას ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელმა **კინგმა** განაცხადა, რომ მაღაროებში სამუშაო დღის გაუდიდებლად გაცილებით უფრო მეტი მაღაროები დაიხურებოდაო. შემდეგ კინგმა აღნიშნა, რომ ინგლისის ქვანახშირის მრეწველობამ ამ უკანასკნელ 12 თვის განმავლობაში 330 მილიონი ტონა ქვანახშირი დაამუშავა, მაგრამ სულ 249 მილ. ტონა გაასაღა, ვინაიდან მთელ რიგ ბაზრებზე ის ხვდებოდა დაბრკოლებებს, რომლებიც ინგლისის მემაღაროეთა 1926 წ. 7 თვის გაფიცვის შედეგიაო. (ადს).

სამინისტროს ცნობები „არ მოეპოება“

ლონდონი, 24 მაისი. ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციას მიმართა თხოვნით მიაწოდოს მას დაწვრილებითი ცნობები ნორტუმბერლენდის და დერემის მაღაროების მდგომარეობაზე და აგრეთვე კონკრეტიული წინადადებები იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს ქვანახშირის მრეწველობის ეხლანდელი მდგომარეობის საერთო გაუმჯობესებისათვის. სამთა-მადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომმა დაადგინა გაუგზავნოს სამინისტროს საჭირო ცნობები და ამავე დროს მოითხოვოს, რათა ქვანახშირის მრეწველობის მინისტრმა და აგრეთვე მთავრობის სხვა წევრებმა, რომლებსაც კავშირი აქვთ ქვანახშირის მრეწველობის საკითხთან, მოსალაპარაკებლად მიიღონ აღმასკომის დელეგაცია.

ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ჰამბურგში მომხდარ აფეთქების გარშემო

ბერლინი, 25 მაისი. ჰამბურგში მომხდარი აფეთქება კვლავ ყურადღების ცენტრშია. პრესის ცნობით, შტოლცენბერგის ფირმა იცავდა ყველა წესებს, რომლებიც შეეხება გაზების შენახვას და ამ მხრივ ადგილი არ ჰქონია კანონების არავითარ დარღვევას. რაც შეეხება გერმანიის უფლებას იქონიოს ფოსგენი, ნაციონალისტების ორგანოს „ტაგ"-ის ცნობით, ვერსალის ხელშეკრულების მე-171-ე მუხლი არ კრძალავს ფოსგენის წარმოებას გერმანიაში.

„ბერლინერ ცაიტუნგ ამ მიტაგ", ეყრდნობა რა ოფიციალურ ცნობებს, აღნიშნავს, რომ ფოსგენი, რომელიც შტოლცენბერგის ფირმის საწყობში იმყოფებოდა, წარმოადგენს ნაწილს სამხედრო სამინისტროს მარაგისას, დამზადებულს ომის დროს. ვინაიდან ფოსგენის განადგურება რთულ და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს, სამხედრო სამინისტროს განზრახული ჰქონდა ფოსგენის მთელი მარაგი ბალტიის ზღვაში გადაეყარა, მაგრამ ამ გეგმას წინააღუდგენ სანაოსნო კომპანიები და მეთევზეები. შტოლცენბერგის ფირმამ მის საწყობში აფეთქებული ფოსგენი სამხედრო სამინისტროსაგან შეიძინა.

ხსენებულ გაზეთის ეს ცნობა ყოველგვარ ნიადაგს აცლის „ფორვერტსის" ჭორებს თითქო აფეთქებული ფოსგენი საბჭ. კავშირის დაკვეთით იყო დამზადებული.

გერმანიის წითელ ფრონტელთა ყრილობა

ბერლინი, 25 მაისი. 27 და 28 მაისს ბერლინში შესდგება წითელ ფრონტელთა კავშირის სრულიად გერმანიის ყრილობა. ფიქრობენ, რომ წითელ ფრონტელების მომავალი ყრილობა იქნება განსაკუთრებულად მრავალრიცხოვანი.

მთელი რიგი ქვეყნებიდან ჩამოდიან წითელ ფრონტელთა კავშირის ორგანიზაციების დელეგაციები (ადს).

თემთა პალატის დათხოვნა

ლონდონი, 24 მაისი. თემთა პალატა დათხოვნილია 5 ივნისამდე, ლორდთა პალატა— 7 ივნისამდე (ადს).

გერმანიის მთავრობის გადადგომა

ბერლინი, 24 მაისი. გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა ჯერ-ჯერობით არ გადადგეს, რათა ახალი რეიხსტაგის მოწვევამდე (ახალი რეიხსტაგი მოწვეული იქნება 11 ივნისს) ერთი დღით წინ გადასცეს პრეზიდენტს თხოვნა გადადგომის შესახებ.

ახალი კატასტროფა ამერიკის მაღაროებში

ნიუ-იორკი, 24 მაისი. პენსილვანიის ერთ-ერთ მაღაროში მომხდარ აფეთქებას, რომელმაც 200 მემაღნე იმსხვერპლა, მოჰყვა კიდევ სამი ახალი აფეთქება სხვა შტატებში: დასავლეთ ვირჯინიაში, სადაც 17 კაცი დაიღუპა, კენტუკიში—დაიღუპა 16 კაცი და ნევადაში—დაიღუპა 4 კაცი (ადს).

ვოლდემარასი მეფესთან

ლონდონი, 24 მაისი. ლიტვის პრემიერი ვოლდემარასი, რომელიც იმყოფება ლონდონში, მიიღო ინგლისის მეფემ ჩემბერლენის თანდასწრებით. (ადს).

მიძუნოს გადადგა

ტოკიო, 25 მაისი. გადადგა იაპონიის განათლების მინისტრი მიძუნო (ადს).

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

ბერლინი, 25 მაისი. პოლონეთ-ლიტვის შერეული კომისიის გუშინდელ სხდომაზე განიხილეს უფლებრივი საკითხები სადემარკაციო ხაზზე მიმოსვლის შესახებ. შეთანხმება მიღწეულია თითქმის ყველა პუნქტების გარშემო.

ხელშეკრულების პროექტის განუხილავი პუნქტების შესახებ თათბირი გაგრძელდება დღეს (ადს).

დნეპროსტროის ტეხნიკურ საბჭოს ახალი თავმჯდომარე

მოსკოვი, 25 მაისი. საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა განთავისუფლოს პროფ. ალექსანდროვი დნეპროსტროის ტეხნიკური საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან და პროფ. ჩაპლიგინი ამავე საბჭოს წევრობიდან.

ტეხნიკური საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულია პროფ. ოსადჩი და თავმჯდომარის მოადგილედ პროფ. დოლგოვი. საბჭოს წევრებად ვედენეევი, კრჟიჟანოვსკი, გორიევი, ვინტერი და სხვები (ადს).

კულიჯი ფერმერების წინააღმდეგ

ვაშინგტონი, 24 მაისი. ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა კულიჯმა ხელმეორედ დაადო ვეტო ფერმერებისათვის დახმარების აღმომჩენის კანონპროექტს. კულიჯი წინააღმდეგია კანონპროექტით გათვალისწინებულ მთავრობის სუბსიდიებისა, რომლებიც უნდა მოხმარდეს ზედმეტი მოსავლის შესყიდვას.

ეს უკანასკნელი კანონპროექტი ითვალისწინებს მთავრობის დიდ კრედიტებს კერძო სავაჭრო გემების აშენებად და თვალსაჩინო სუბსიდიებს კერძო სანაოსნო საზოგადოებებისათვის, რომლებსაც ფოსტა გადაქვთ ოკეანეზე. ამ გვარად, კულიჯი ხელახლა ადასტურებს, რომ იგი მხარს უჭერს კერძო მონოპოლისტებს მრეწველობის დარგში და მტრულად არის განწყობილი პროვინციალ-აგრარიების მიმართ, რაც აძლიერებს ფრაქციულ ბრძოლას რესპუბლიკანურ პარტიაში (ადს).

რეფორმისტულ ბელადების დეპეშა ზეიპელს

ლონდონი, 24 მაისი. არტურ ჰენდერსონმა (ინგლისის მუშ. პარტიის ერთ-ერთი ბელადი) გამოაქვეყნა მუშათა პრესაში იმ დეპეშის ტექსტი, რომელიც გაეგზავნა ავსტრიის კანცლერ ზეიპელს ბელა კუნის საქმეზე. დეპეშას ჰენდერსონის გარდა ხელი მოაწერეს სნოუდენმა (ინგლისის მუშათა პარტიის ერთ-ერთი ბელადი, რომელიც ამას წინად გამოვიდა დამოუკიდებელ მუშათა პარტიიდან. დებრუკერმა (ბელგიის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ბელადი), სტაუნინგმა (დანიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერი და ყოფილი პრემიერი), ბლიუმმა (საფრანგეთის სოციალისტების ლიდერი) და რენოდელმა (საფრანგეთის სოციალისტების მემარჯვენე ფრთის ლიდერი).

დეპეშაში ნათქვამია: „სრული თანხმობით ავსტრიის საზოგადოებრივ აზრთან, დეპეშაზე ხელის მომწერთ სურთ უაღრესად მკაცრად გაჰკიცხონ კომინტერნის მეთოდები. დეპეშაზე ხელის მომწერთ არავითარი საფუძველი არა აქვთ სიმპატიებით უყურონ ბელა კუნს, რომელმაც განადგურებამდე მიიყვანა უნგრელი მუშები და რომლის უკანასკნელი მოღვაწეობაც უეჭველად მიზნად ისახავდა უნგრეთის მუშების პროფესიონალური და პოლიტიკური ორგანიზაციების მთლიანობის დარღვევას. მაგრამ დეპეშაზე ხელის მომწერნი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ავსტრიის მთავრობა გამოიწვევს სენსაციას მთელს ევროპაში, თუ მან ბელა კუნი ხელში ჩაუგდო მის მტრებს. ამისდა მიხედვით დეპეშაზე ხელისმომწერნი სთხოვენ ავსტრიის მთავრობას ძალაში დასტოვოს პოლიტიკურ ემიგრანტების თავშესაფარის უფლება". (ადს)

პოლონელ კომუნისტებს ასახლებენ გერმანიიდან

ბერლინი, 24 მაისი. როგორც ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან ბერლინში დაპატიმრებულ 26 პოლონელ კომუნისტიდან 22 მიცემულია პასუხის გებაში საპასპორტო წესების დარღვევისათვის, დანარჩენ ოთხს პასპორტები აღმოაჩნდა.

ყველა დაპატიმრებულებს ასახლებენ გერმანიიდან, დაპატიმრების დროს ჩამორთმეული 35.000 მარკა მათ დაუბრუნდება.

ბერლინი, 24 მაისი. 26 პოლონელ კომუნისტს, რომლებიც დააპატიმრა ბერლინის პოლიციამ, წარუდგინეს ბრალდება ყალბი დოკუმენტებით სარგებლობისა და საზღვარზე უნებართვოთ გადასვლის შესახებ (ადს).

„მუდმივი მშვიდობიანობა"

ლონდონი, 24 მაისი. შეერთებულ შტატების საელჩომ ლონდონში ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს გადასცა ნოტა, რომელიც საჭიროდ სთვლის რათა ხელშეკრულება ომის აკრძალვის შესახებ გავრცელდეს ავსტრალიაზე, ახალ ზელანდიაზე, სამხრეთ აფრიკაზე და ინდოეთზე. შეერთებულ შტატებმა გაუგზავნა ნოტები აგრეთვე კანადას და ირლანდიას, რომლებსაც ურჩევს შეუერთდნენ აღნიშნულ ხელშეკრულებას (ადს).

„რომელ ქვეყნებზეა ლაპარაკი"

ლონდონი, 24 მაისი. ლორდთა პალატაში სესილმა მთავრობას მისცა შეკითხვა ინგლისის, საპასუხო ნოტის (ამერიკის წინადადებაზე) იმ მუხლის შესახებ, რომელშიაც ნათქვამია, რომ ზოგიერთ ქვეყნების კეთილდღეობას და ხელუხლებლობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისის მშვიდობიანობისა და უშიშროებისათვის და რომ ინგლისი არ დაუშვებს არავითარ ჩარევას ამ ქვეყნების საქმეებში".

სესილი შეეკითხა, შეუძლია თუ არა მთავრობას განაცხადოს, რომელ ქვეყნებზეა ლაპარაკი ამ მუხლში. მთავრობის სახელით კუშენდენმა უპასუხა, რომ „შეერთებულ შტატების მთავრობა იხილავს ინგლისის საპასუხო ნოტას და რომ არ არის სასურველი საკითხის არეულ-დარევა ახალი განმარტებებით".

თემთა პალატის სხდომაზე მუშათა პარტიის წევრმა ტერტლმა ჩემბერლენს მისცა იგივე შეკითხვა, როგორიც სესილმა შეიტანა ლორდთა პალატაში. ტერტლი შეეკითხა: „შეუძლია თუ არა გარეშე საქმეთა მინისტრს გარკვევით განაცხადოს, სად არის ის ქვეყნები, რომლებზედაც ლაპარაკია ინგლისის საპასუხო ნოტაში".

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ კომენტარიების გაკეთება იმ ნოტისათვის, რომელსაც იხილავს შეერთებულ შტატების მთავრობა ზიანს მიაყენებდა გამართულ მოლაპარაკებას" (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

ნანკინელების ჯარი უკვე პეკინის მისადგომებს მიადგა და ბრძოლა ამჟამად პეკინის უახლოეს პოზიციებზე სწარმოებს, სულ ორი სამი დღის სავალზე დაშორებით. ნანკინის მომხრე ჯარები სამ წყებად მოქმედობენ: იენ-სი-შანის ჯარი პეკინისაკენ დასავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის მხრით, ფინ-იუ-სიანი სამხრეთ-დასავლეთის მხრით და ჩან-კაი-შის ჯარი კიდევ სამხრეთის მხრით. მთელი ოპერაციის საერთო მიმართულების ღერძად უნდა ჩაითვალოს პეკინ-ხანკოუს რკინის გზის ხაზი. ხოლო მეორე, სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი რკინის გზა ტიან-ძინ-ნანკინისა, როგორც ეტყობა, მომქმედ ჯარებისათვის მიუწდომელი დარჩა იაპონიის წყალობით. უკანასკნელ გარემოებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგანაც ეს გზა უერთდება პეკინ-მუკდენის რკინის გზას და ამ გზით შეეძლო ჩან-ძო-ლინის ჯარების სრული ლიკვიდაცია მოეხდინა. ტიან-ძინის დაპყრობით სამხრეთელები მუკდენელებს მთავარ საკვებ და უკან დასახევ გზას გადაუჭრიდნენ. მაგრამ ბოლოს ჩან-ძო-ლინის ბედი მთლად იაპონელების სურვილზეა დამოკიდებული, ამ უკანასკნელთ კი ალბად ჩან-ძო-ლინის სრული ლიკვიდაცია არ უნდა და ამიტომ ნანკინელები ტიანძინში არ შეუშვეს. იაპონიის ასეთი მოქმედება ნანკინელების „ჩრდილოეთისაკენ დიდი შეტევას" და მათ მთელი რიგი გამარჯვებით წარმოებული ფართე ოპერაციას უკარგავს თავის ღირებულებას. მათი მთავარი მოპირდაპირე ჩან-ძო-ლინი თავისი ჯარით, თუნდაც რომ იძულებული გახდეს პეკინი დასტოვოს, მაინც უვნებლად დაიხევს მუკდენში, სადაც ნანკინელები მას ვერ მისწვდებიან. ამის თავდები იაპონია იქნება. ასე რომ იაპონიამ და სხვა უცხოელ იმპერ. კიდევაც რომ დართონ ნება და შეუშვან ნანკინელები პეკინში, ამით მაინც უკანასკნელნი ბევრს ვერას მოიგებენ, ხოლო ჩინეთის შინაური მდგომარეობა კი შეიძლება უფრო გართულდეს. ნუ დავივიწყებთ, რომ პეკინში, მისი დაპყრობის დროს, თავს მოიყრიან ყველა მსხვილფეხა მილიტარისტი გენერლები: იენ-სი-შანი, ფინ-იუ-სიანი და ჩან-კაი-ში, აქეთკენ მიისწრაფვის ხანკოუდან საკმაოდ დიდი ძალებით წამოსული იჟური დიქტატორი ბაი-ძუნ-ჩი, ჩან-კაი-შის დაუძინებელი მტერი. პრესაში იყო ცნობა, თუ რა გეგმა აქვს მომავლისათვის დასახული იენ-სი-შანს. მისი აზრით, პეკინის დაპყრობის შემდეგ ახლად შედგენილ მთავრობაში არ უნდა შევიდეს არც ერთი მომქმედი ჯარის მთავარსარდალი. თუ რამდენად დაეთანხმებიან ამას უკანასკნელნი, ეს საკითხია. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ აშკარაა: „ნადავლის" გაყოფა დიდს არევ დარევას და ახალ გადაჯგუფებას გამოიწვევს ნანკინელების ჯარებში, რასაც შეიძლება თან ახალი ბრძოლები და დაუსრულებელი ომები მოჰყვეს. ასეთი მდგომარეობით, რა თქმა უნდა, ისარგებლებს „სამშობლოში" დაბრუნებული ჩან-ძო-ლინი და კვლავ იაპონიის ლოცვა-კურთხევით ხელახლა ცდის ბედს პეკინის დასაბრუნებლად.

ფაქტიურად სამხრეთელების გამარჯვება და შემდეგში თვით პეკინის აღება ბევრს ვერაფერს შემატებს ჩინეთის გაერთიანების და ეროვნულ განთავისუფლების საქმეს. სამაგიეროდ ამავე გამარჯვებამ ბევრი მოაგებინა იაპონიას. იაპონიის მიერ შანდუნის პროვინციის სრული ოკუპაცია დღეს აშკარა ფაქტია. უდიდესი, მდიდარი და სტრატეგიულად უაღრესად მნიშვნელოვანი შანდუნის პროვინცია, იაპონიის მრავალ წლის საოცნებო საგანი, ჩაუვარდა მას ხელში და იაპონია არაფერს ერიდება, რომ აქ მტკიცედ მოიკიდოს ფეხი. საქმე იქამდის მივიდა, რომ იაპონელებმა ისეთ მნიშვნელოვან რკინის გზაზე, როგორიცაა ტიან-ძინ-ცინდაოს რკინის გზა, ჩინელი ადმინისტრაცია და მოსამსახურენი იაპონელებით შესცვალეს. მაგრამ მარტო შანდუნი არ აკმარა იაპონიამ, მისმა ჯარებმა ხელთ იგდეს ტიანძინი და ჩილის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილს დაეუფლენ, ე. ი. შანდუნი გადააბეს მანჯურიასთან, სადაც იაპონიავე მეუფლობს. საკმარისია დავხედოთ რუკას, რომ ნათელი გახდეს, თუ რა გაბატონებული მდგომარეობა უკავია ამჟამად იაპონიას ჩინეთში, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და ჩრდილო აღმოსავლეთიდან ყველა მისავალი გზები და საოპერაციო მიმართულებანი პეკინისაკენ ამჟამად იაპონიის ხელშია. ეგრედწოდებული ყვითელი ზღვა, ეს მთავარი შესავალი კარი პეკინში და მთელს ჩრდილოეთ ჩინეთში, ზღვა თავისი საუკეთესო ნავთსადგურებით იაპონიის ხელშია; და როგორი მთავრობა კი არ შეადგინოს ეხლანდელმა გომინდანმა პეკინის აღების შემდეგ, ეს მთავრობა ნებსით თუ უნებლიეთ იაპონიის სათამაშოდ გახდება, მით უმეტეს, რომ თადარიგში იაპონიას მუდამ ჩან-ძო-ლინი ან და ვინმე მისი დაგვარი ეყოლება.

ასე მთავრდება გომინდანის პარტიის მოღვაწეობა, რომლის დროშაზე ოდესღაც წარწერილი იყო ჩინეთის გაერთიანება და ეროვნული განთავისუფლება. პარტიამ, რომელსაც თავის დროზე ჰქონდა საშუალებანი და ძალაც შესწევდა ჩინეთის მშრომელ მასებთან ერთად განეხორციელებინა სუნ-იატ-სენის ლოზუნგები, თავისი ვერაგული პოლიტიკით და ღალატით მშრომელ მასების მიმართ, არამც თუ ვერ განახორციელა ეს ლოზუნგები, პირიქით, უარეს მდგომარეობაში ჩააგდო მთელი ჩინეთი.

თუ ასეთი მდგომარეობა შეიქნა ჩინეთის შინაურ ფრონტზე, არა ნაკლებ საყურადღებო ამბები ხდება ჩინეთის გარეშე ფრონტებზედაც, იქ, სადაც გადახლართულია უცხოელ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესები. იაპონიის თავხედური მტაცებლობა, მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად არღვევს შორეულ აღმოსავლეთში აქამდე არსებულ წონა-სწორობას იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის, თითქოს ჯერ-ჯერობით, ოფიციალურად მაინც არავითარ პროტესტს არ იწვევს. ინგლისი და საფრანგეთი თითქოს დასტურსაც კი სდებენ იაპონიის მოქმედებას, შეიძლება ამგვარი რიგის ეგზრით, ხოლო ამერიკა, რომლის ინტერესებს ყველაზე მეტ საშიშროებას უქადის იაპონიის დაპყრობითი პოლიტიკა, თითქოს რაღაცას მოელოდება. მაგრამ თუ ოფიციალურად საქმე ასეა, ნამდვილად კი ყველანი გაფაციცებით ემზადებიან ყოველ შემთხვევისათვის. ამერიკის მთავრობის ოფიციალური ცნობით, ამერიკას ჩინეთში ხმელეთზე თერთმეტი ათასი ჯარი ჰყავს და ოთხი ათასი კიდევ გამზადებული სამხედრო გემებზე და, გარდა ამისა, ჩინეთის ნაპირებთან 60 სამხედრო გემი. როგორც ხედავთ, მას საკმაოდ საგრძნობი ძალები ჰყოლია. ინგლისის ძალები—ხმელეთის ჯარი არა ნაკლებ 25-30 ათასისა უნდა იყოს და სამხედრო გემთა რიცხვი ხომ ამერიკისას ბევრად აღემატება. ინგლისის ჯარი უმთავრესად შანხაის მიდამოებში დაბანაკებული, მხოლოდ სულ უკანასკნელ დღეებში ჯარის ნაწილი მან გადაუგზავნა ვეი-ხა-ვეიში (შანდუნის პროვინციის ნავთსადგური), ვითომდა ჰაერის გამოსაცვლელად. მაგრამ რატომ სწორედ ახლა დასჭირდა ინგლისის ჯარს ჰაერის გამოცვლა, როდესაც შანდუნში ასეთი ამბები დატრიალდა? იაპონიის ჯარების რიცხვი მარტო შანდუნში არა ნაკლებ ორმოცდაათი ათასი უდრის და უკანასკნელი ცნობების თანახმად იაპონიიდან ჩინეთში იგზავნება კიდევ თვრამეტი ათასი. ესოდენი სამხედრო ძალების დაგროვება, რასაკვირველია, მარტო თავის ქვეშევრდომთა დაცვის მიზნით არ ამოიწურება, და არც ნანკინელების „კასრის მოგერიებისათვის" დასჭირდებოდა იაპონიას ამდენი ჯარი. მაგრამ იაპონია გრძნობს, ალბად, რომ მისი მოქმედება უსათუოდ გართულებას გამოიწვევს თვით იმპერიალისტთა ბანაკში და ემზადება „ყოველ შემთხვევისათვის".

ერთი სიტყვით, მეორდება ჩვეულებრივი ამბავი კაპიტალისტურ ქვეყნების ისტორიაში. როდესაც ისინი დაიწყებენ და ხმა-მაღლა იწყებენ მშვიდობიანობაზე ლაპარაკს, იცოდე რომ ომისათვის ემზადებიან.

შეიძლება ჩინეთისათვის გამართლდეს ანდაზა: „ზოგი ჭირი მარგებელიაო". თუ მართლა ჩრდილოეთ ჩინეთში და ყვითელ ზღვის ნაპირებთან მდგომარეობა მეტად გართულდება და გამწვავდა, ცხადია, მდ. იან-ცე-ციანის მიდამოებს, მეტადრე სამხრეთ ჩინეთს უცხოელ იმპერიალისტების და შინაურ მილიტარისტების „ყურადღება" უსათუოდ მოაკლდება და მაშინ მეტი საშუალება მიეცემა აქ ჩინეთის მშრომელ მასას გააძლიერონ რევოლუციონური მოქმედება.

ი. ზედევანიშვილი.

საქ. სამთამადნო მუშათა მეშვიდე ყრილობა

გუშინ, საღამოს გაიხსნა საქართველოს სამთამადნო მუშათა მე-7 ყრილობა.

— მეექვსე ყრილობის შემდეგ,—განაცხადა ყრილობის გახსნისას, სამთამადნო მუშათა კავშირის ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარემ, ამხ. ცირეკიძემ განვლო წელიწადნახევარმა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს კავშირს აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები, როგორც სამეურნეო ფრონტზე, ისე პროფესიონალურ მუშაობის დარგში, მაგრამ მიღწევებთან ერთად ჩვენ გვაქვს შესამჩნევი ნაკლოვანებანიც. ყრილობის დანიშნულებას წარმოადგენს ყურადღებით ასწონოს, შეაფასოს ჩვენი წარსული მუშაობა, გამოარკვიოს ჩვენი შეცდომების მიზეზები და ამის მიხედვით გამომუშავოს კავშირის მომავალი მუშაობის გეგმა სამეურნეო და პროფესიონალური საქმიანობის ყველა დარგებში.

საპატიო პრეზიდიუმი

ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევის შემდეგ არჩეულ იქნა საპატიო პრეზიდიუმი, რომელშიდაც შევიდნენ შემდეგი ამხანაგები: **სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, ტომსკი, ბელაკუნი, შვარცი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ცხაკაია, მახარაძე, ქართველიშვილი, კახიანი, ლოლომიძე, ყურულაშვილი.**

ყრილობის დეპეშა უზენაეს სასამართლოს შახტის კონტრ-რევოლუციონერთა პროცესის გამო

ყრილობამ დაადგინა საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს შახტის კონტრ-რევოლუციონერების პროცესთან დაკავშირებით დეპეშა მოთხოვნით, რომ ბრალდებულები სასტიკად დაისაჯონ მუშათა კლასის მოღალატეები.

ყრილობის დადგენილებით მისალმებების დეპეშები ეგზავნება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სამთამადნო მუშათა პროფკავშირის ცეკას.

შემდეგ სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა ამხ. მიხა კახიანს, რომელსაც ყრილობა მქუხარე ტაშის ცემით ეგებება.

ამხ. მ. კახიანის სიტყვა

ამხანაგებო, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მივესალმები სამთამადნო მუშათა ყრილობას. საქ. კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანო ღრმად არის დარწმუნებული, რომ სამთამადნო მრეწველობაში ჩაბმული მუშათა წარმომადგენლების ყრილობა სწორად გაითვალისწინებს მის წინაშე მდგარ ამოცანებს და გააკეთებს იმ საქმეს, რომელსაც მისგან მოითხოვს სოციალისტური მეურნეობის მშენებლობა.

დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა გულისყური მიპყრობილია შახტის კონტრ-რევოლუციონერთა გასამართლებისაკენ. მშრომელთა ასეთი დაინტერესება შახტის ამბებით და თვით თქვენი დღევანდელი დეპეშა, სადაც თქვენ მოითხოვთ მუშათა კლასის მოღალატეების სასტიკ დასჯას, სავსებით გასაგები და ბუნებრივია. იმ დროს, როდესაც ჩვენი მუშათა კლასი ძალღონის დაუზოგავად იბრძვის და იღწვის ჩვენი მეურნეობის, ჩვენი მრეწველობის აღსადგენად და გასაუმჯობესებლად, ამ დროს სპეციალისტების ერთი უმნიშვნელო ნაწილი ცდილობს ზურგში მახვილი ჩასცეს საბჭოთა ხელისუფლებას, შეაფერხოს პროლეტარული სახელმწიფოს სამეურნეო განვითარება. მათ უფრო ალმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ აშკარა გახდა, რომ სპეციალისტთა ამ პატარა ჯგუფის საშუალებით ჩვენ გვებრძოდა საზღვარგარეთის ბურჟუაზია. შახტის კონტრ-რევოლუციონერები უკვე გამოტყდნენ, მათ აღიარეს, რომ მათ მავნებელ მოქმედებას მიზნად ქონდა დასახული დაერწმუნებია საბჭოთა ხელისუფლება, რომ იგი უძლურია საკუთარი ძალით გაუძღვეს სამრეწველო საქმეს, რომ აუცილებელია მაღაროების უცხოელ კაპიტალისტებზე საკონცესიოთ გაცემა. მათ აღიარეს, რომ ისინი იმედს ამყარებდენ ჩვენს შინაპარტიულ უთანხმოებაზე. მაგრამ ისინი სასტიკად შეცდნენ. იმედი არ გაუმართლდათ, მიუხედავად მათი მთლიანი ტური მოქმედებისა, მათ მიერ მოყენებულ ზარალისა, მუშათა კლასმა აღადგინა მრეწველობა და წინ წასწია ჩვენი სახალხო მეურნეობა. მუშათა კლასის მახვილ ყურს და თვალს არ გამოეპარა მათი მოღალატური საქციელი. აღმოაჩინა იგი და დღეს იგი წამდგარია მუშათა სახეჯაროს წინაშე, რომელიც საკადრის პასუხს აგებინებს მათ მშრომელთა ინტერესების გამცემლობისათვის.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ შახტის მსგავს კონტრ-რევოლუციონურ მოქმედებას ადგილი ქონდა საქართველოს სინამდვილეში. ტყიბულის მაღაროებში სწარმოებდა მავნებელი მუშაობა,—რომელსაც მეთაურობდა ინჟინერი ელიაძე. რას ამბობს ელიაძე თავის ბოროტმოქმედების შესახებ? იგი თავს იმით იმართლებს, რომ მარტო ის არ ეწეოდა ასეთ მუშაობას, ამით იგი ცდილობს ცილი დასწამოს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ ყველა სპეციალისტებს, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება ამ ანკესზე არ წამოეგება. იგი დარწმუნებულია, რომ სპეციალისტების დიდი უმრავლესობა გამსჭვალულია საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის იდეით და მთავაზობს სრული შეგნებით ემსახურება ჩვენს სახალხო მეურნეობას. ჩვენ ძირშივე უნდა უკუვაგდოთ ცილისწამება ჩვენი სპეციალისტების მავნებელ მუშაობის შესახებ და შევქმნათ ხელსაყრელი პირობები მათი ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამავე დროს ჩვენ უნდა ვიზრუნოთ სპეციალისტების ახალი კადრების შესაქმნელად მუშათა მასებიდან. ამ საქმეში დიდი როლი ეკისრება თქვენს კავშირს, რომლის ერთ მთავარ დანიშნულებას შეადგენს ზრუნვა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. აქ აღნიშნული იყო, რომ სამთამადნო მუშათა კავშირს აქვს ბევრი მიღწევები, მაგრამ მე მინდა ვსთქვა, რომ მას მიღწევებთან ერთად მრავალი ნაკლიც აქვს. თუ თვალს გადავავლებთ კავშირის მუშაობას ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებში მომუშავე მუშათა შორის, ჩვენ აღმოვაჩენთ მრავალ შეცდომებს და უარყოფით მხარეებს. განსაკუთრებით დიდია კავშირის შეცდომები ჭიათურის საკონცესიო რაიონში მომუშავე მემადნეებს შორის. სწორედ ამ შეცდომების გამოსწორებისკენ უნდა იქნეს მიქცეული კავშირის მთელი ყურადღება. შემცდარია ის შეხედულება, თითქოს მაღაროებში მომუშავე მუშათა უმრავლესობას სოფლიდან ჩამოსულ გლეხობა წარმოადგენდეს და თითქოს ეს გარემოება ართულებდეს კავშირის მუშაობას. ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ჭიათურის მუშებს შორის მრავალია იმ მუშათა რიცხვი, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1905 წლის მოძრაობაში, რომელთაც აქვთ მტკიცე რევოლუციონური შეგნება და დისციპლინა. ეს მუშები დღესაც ჩაბმული არიან სამთამადნო მრეწველობაში, დიდ როლს ასრულებენ ჩვენს სამეურნეო მშენებლობაში და შესწევთ უნარი და გამოცდილება მტკიცე ნიადაგი შეუქმნან კავშირის ნაყოფიერ საქმიანობას.

მე გამოვსთქვამ სურვილს, რომ თქვენმა ყრილობამ ნაკლოვანებათა და მიღწევების სწორი აღრიცხვით გამომუშავოს მომავალი მუშაობის გეგმა და ამით ხელი შეუწყოს ჩვენი მრეწველობის აღორძინებას.

ამხ. მახაიძის სიტყვა

საქართველოს პროფსაბჭოს სახელით ყრილობას ესალმება ამხ. მახაიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ კავშირის მიერ ყრილობის მიერ აღებული ხაზი სავსებით არ ყოფილა გატარებული. რომ კავშირს მიღწევებთან ერთად ჰქონდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი, რომელიც ყრილობამ უნდა გამოამჟღავნოს და შეასწოროს. მხოლოდ ასეთი თვითკრიტიკით კავშირი შეძლებს თავიდან აიცილოს ჩვენს მრეწველობას შახტის მსგავსი კონტრ-რევოლუციონური გამოხდომები.

სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკას მუშაობა

მოხსენებელი ამხ. ბაბაევი

შემდეგ სრულიად საკავშირო სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკას მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამავე ცეკას წარმომადგენელი ამხ. **ბაბაევი**, რომელიც მოკლე მიმოხილვას უკეთებს სამთამადნო მრეწველობის მდგომარეობას საბჭოთა კავშირში.

სამთამადნო მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა შორის მუშაობას ართულებს ის გარემოება, რომ, მაღაროების გაფანტულობის გამო მუშების დიდი უმრავლესობა დაქსაქსულია და დაშორებულია მრეწველობის სხვა ცენტრებს. 1928 წლის პირველი იანვრისათვის კავშირი აერთიანებდა 475.000 მუშას, ხოლო პროფორგანიზებში აქტიურად მუშაობდა 39.000 მუშა. სამთამადნო მრეწველობა უკვე გაიზარდა იმის წინაომისდროინდელ დონემდე არა მარტო დამუშავებულ პროდუქციის რაოდენობის, არამედ წარმოების რაციონალიზაციის მხრითაც.

რა ამოცანები სდგას კავშირის წინაშე სამთამადნო მრეწველობის ზრდასთან დაკავშირებით და როგორი არის მეექვსე საკავშირო ყრილობის მიერ დასახული ამოცანები სამთამადნო მრეწველობის შემდგომ მშენებლობის დარგში. მეექვსე ყრილობამ პირველ რიგში საჭიროდ აღიარა კაპიტალური მშენებლობის გაძლიერება სამთამადნო მრეწველობაში, თანხების გადიდება მრეწველობის რეკონსტრუქციის და წარმოების რაციონალიზაციისათვის. ყრილობამ განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია სამთამადნო მრეწველობის მართვა-გამგეობის სისტემას, რომელიც აფერხებს ჩვენი მრეწველობის განვითარებას, და საჭიროდ სცნო მისი დეცენტრალიზაცია—სამმართველო ორგანოების სამრეწველო ცენტრებში გადატანა. რა ნაკლოვანებანებს აქვს ადგილი ამჟამად სამთამადნო მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაში? პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია პროექტების არასწორი შედგენა; შემდეგ ის, რომ დიდ წარმოებათა აგება სწარმოებდა უგეგმოთ, მშენებლობა არ თავსდებოდა ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, სამუშაოები არ სრულდებოდა დანიშნულ ვადისათვის, პროექტების შედგენაში ადგილი ქონდა უპასუხისმგებლობას, მექანიზაცია ტარდებოდა ისე, რომ არ იყო გათვალისწინებული მრეწველობის სხვადასხვა დარგების მდგომარეობა; კვალიფიკაციური მუშა-ხელი მზადდებოდა უგეგმოთ, მუშა-ძალის გამოყენება არ სწარმოებდა წესიერად და ადგილი ქონდა დიდ შეცდომებს ხელფასის მოწესრიგების დარგში. აი სწორედ ამ შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამო ყრილობამ აუცილებლად სცნო გაძლიერდეს ეკონომიური მუშაობა, განსაკუთრებით კაპიტალურ მშენებლობის დარგში.

რაც შეეხება მუშათა მატერიალურ მდგომარეობას, 1924-25 წელთან შედარებით, სახალხო მეურნეობის ზრდის გამო, 44 პროცენტით გადიდდა სამთამადნო მუშათა ხელფასი. შემდეგ წლებში ხელფასის ასე სწრაფ ზრდას ადგილი არ ექნება, რადგან თვით ჩვენი მრეწველობის აღდგენის ტემპი გასულ წლებთან შედარებით, უფრო ნელი იქნება. მუშათა საბინაო მშენებლობაზე კი 23 წლიდან დღემდე დახარჯულია 133 მილიონი მანეთი, მაგრამ კრიზისი მაინც მთლად დაძლეული არ არის. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მთელი საკავშირო ხაზით მოისუსტებს. საკლუბო მუშაობაში ჩაბმულია მხოლოდ მუშათა ათი პროცენტი. იგივე ითქმის საორგანიზაციო მუშაობაზე. ჩვენი მთავარი უბედურება ის არის, რომ ჩვენი საკავშირო ორგანოები რამოდენიმე მოწყდენ მუშათა მასებს, ჩვენ თანდათან დავშორდით იმათ, ვინც კავშირში აგვირჩია; ჩვენ ჩავიძირეთ ქაღალდების ზღვაში და დავივიწყეთ ცოცხალი საქმე. ამ ჩამოშორებას რომ ადგილი არ ჰქონოდა, ჩვენ რომ უფრო ვეგდეთ მუშათა მასებისათვის, შახტის საქმე უფრო ადრე გამოაშკარავდებოდა და სახელმწიფოს ამდენი ზარალი არ მოუვიდოდა. თუ ჩვენ ყურადღებით შევასრულებთ ჩვენი ყრილობის დადგენილებებს, ვერავითარი შახტისებური ამბები ვერ აგვაცდენს იმ გზას, რომლითაც მივყვებართ პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას. და თუ რომელიმე ჯგუფი კიდევ გაბედავს გაიმეოროს შახტის ამბები, ჩვენ წავაჭრით მათ ჩვენი საქმის დასახანგრევად გაწვდილ ხელებს (მქუხარე ტაში).

განაჩენი

ელზასელ ავტ. საქმეზე

პარიზი, 24 მაისი. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება კოლმარიდან, ბრალდებულებს ელზასელ ავტონომისტების საქმეზე, **რიკლენს, შალს** და **ფოსგაუერს** მიესაჯა საპყრობილეში დაპატიმრება თითო წლის ვადით თვითეულს და საფრანგეთში ცხოვრების აკრძალვა სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთ-ხუთი წლით. დანარჩენი 11 ბრალდებული გამართლებულია. ცხრა უკვე განთავისუფლებულია, ორი კი, რომლებსაც წარდგენილი აქვს ბრალდება ჯაშუშობაში, მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე. მსჯავრდადებულებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი. (ადს)

არჩევნები სპარსეთში

თეირანი, 24 მაისი. თეირანში დაიწყო მეჯლისის არჩევნები. გაზეთების ცნობით ვექილ **ხოგუგის** ქუჩაზე თავს დაესხენ უცნობი პირები. ხოგუგი გარდაიცვალა მიყენებულ ჭრილობებისაგან. ხმებია, რომ ხოგუგის თავს დაესხნენ მთავრობის პარტიის მომხრეები, რომლის წინააღმდეგ ის ენერგიულად ილაშქრებდა არჩევნებში.

საბჭოთა კავშირში

შეღავათი ამხ. ლიტვინოვსა და მილიუტინს

მოსკოვი, 25 მაისი. საკავშირო სახკომსაბჭომ მისცა შეღავათი სამკურნალოდ ამხ. ლიტვინოვს და მილიუტინს (ადს).

აეროპლანების გადაცემა მუშურ-გლეხური წითელი არმიისათვის

მოსკოვი, 25 მაისი. გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლუციონერ საბჭოს ბრძანება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მიერ მუშურ-გლეხური წითელი არმიისათვის 27 მაისს 32 ახალი აეროპლანის გადაცემის გამო. აეროპლანები აგებულია ფონდიდან—„ჩვენი პასუხი ჩემბერლენს"—გაღებული საშუალებებით. სულ ამ ფონდით აგებულია 132 აეროპლანი. ბრძანებაში გამოქვეყნებულია ახალ აეროპლანების სახელწოდება (ადს).

აფეთქება მაღაროში № 17.

ხარკოვი, 25 მაისი. დამთავრდა როუტჩენკოვის მაღაროთა სამმართველოს მაღაროში (№ 17) მომხდარი აფეთქების საქმის გამოძიება. გამოირკვა, რომ გერმანული ფირმა „ტისენი", რომელიც „დონუგოლთან" დადებული ხელშეკრულების თანახმად მუშაობას აწარმოებდა მაღაროში, ნახშირის ამოღების მიზნით სისტემატიურად არღვევდა უშიშროების ტეხნიკის წესებს. რადგან ინჟინერი ხიერსი და აფეთქების სხვა დამნაშავენი აფეთქების დროს დაიხოცნენ, პასუხისგებაში მიცემული არიან მხოლოდ მაღაროს ადმინისტრაცია და შრომის განყოფილების მუშაკი, რომლებმაც თავის დროზე ზომები არ მიიღეს, რომ „ტისენის" ფირმას დაეცვა უშიშროების ტეხნიკის წესები. (ადს).

პროფესორ ნეუსტრუევის გარდაცვალება

ლენინგრადი, 25 მაისი. სიზრანში გულის სიდამბლით გარდაიცვალა ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი, სამეცნიერო აკადემიის ნიადაგთა ინსტიტუტის თანამშრომელი ნეუსტრუევი. ნეუსტრუევი მონაწილე იყო საბჭოთა სამეცნიერო დელეგაციისა ნიადაგთმცოდნეთა საერთაშორისო კონგრესზე ვაშინგტონში 1927 წელს. უკანასკნელ დროს იგი ხელმძღვანელობდა ყირგიზთა მიწადმოწყობის სამუშაოებს კაზაკსტანში და აგრეთვე სამუშაოებს გამოკვლევის. მანვე შეადგინა ნიადაგის ქარტა მთელი თურქესტანისა.

ხანძარი გემზე „ლევ ტოლსტოი".

კიევი, 25 მაისი. გემ „ლევ ტოლსტოიზე" გაჩენილი ხანძრის საქმის გამოძიებამ გამოარკვია ტვირთის მიმღებთა შეუწყნარებელი დაუდევრობა, კომანდის სიმხდალე და სხვადასხვა ტვირთის სახელწოდების დანაშაულებრივი დამალვა. უკრაინის სახმედვაჭრობამ 6 ბალონი სითხე გაგზავნა გემით და არ აღნიშნა მისი სახელწოდება. გემზე იყო ერთი კასრი გოგირდი, ორი ბალონი კოლოდიუმი და ოთხი გლიცერინი. პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა უკრაინის სახმედვაჭრობის პასუხისმგებელი წარმომადგენელი და აგრეთვე ექსპედიტორი. (ადს).

კიევი, 25 მაისი. კატასტროფის ყველა მსხვერპლნი დაკრძალეს კანევის ნავთსადგურის მახლობლად ძმათა სასაფლაოზე. ნავთსადგურის უფროსს გულის სიგანიერე დაემართა და მოკვდა.

მ. გორკის შესახვედრად

მოსკოვი, 25 მაისი. საკავშირო პროფსაბჭო და კავშირების ცენტრალური კომიტეტები ემზადებიან მ. გორკის შესახვედრად. სადგურებზე გორკის შეხვდებიან ადგილობრივ პროფორგანოების დელეგაციები.

მოსკოვში სადგურზე გორკის შეხვდებიან საკავშირო პროფსაბჭოს, მოსკოვის პროფსაბჭოს და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წარმომადგენლები.

გორკის მოსკოვში ყოფნის დროს მოეწყობა გორკის მოსკოველ მუშებთან შეხვედრის საღამო (ადს).

მატყლის შესყიდვა ავსტრალიაში

მოსკოვი, 26 მაისი. მოსკოვში დაბრუნდა „ტექსტილ იმპორტის" თავმჯდომარის მოადგილე ამხ. პატაგორსკი, რომელმაც თითქმის ერთი წელიწადი დაჰყო ავსტრალიაში, სადაც მოაწყო „ტექსტილ-იმპორტის" განყოფილება მატყლის საყიდლად. ამხ. პატაგორსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა ერთ-ერთი პირველთაგანი ადგილი დაიკავა ავსტრალიაში მატყლის შესყიდვის საქმეში. „ტექსტილიმპორტის" განყოფილების ბრუნვამ მუშაობის პირველ წელს მიაღწია 35 მილიონ მანეთს. ავსტრალიის ფირმები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა საქონლისადმი.

შახტის საქმე

ბრალდებულ ბაბენკოს დაკითხვა

მოსკოვი, 25 მაისი. შახტის პროცესის 24 მაისის საღამოს სხდომა იწყება ბრალდებულ **ბაბენკოს** დაკითხვით დამცველების მიერ. დამცველები უმთავრესად ეხებიან ბაბენკოს მიერ თავის ჩვენებაში წამოყენებულ მომენტებს: მის მიერ წარმოებულ საშიანი მუშაობის ცალკე აქტებს, კრამატორსკის ქარხანაში აგებულ მანქანის ისტორიას, ბაბენკოს ურთიერთობას ორგანიზაციის სხვა წევრებთან. მთელ რიგ ასეთივე კითხვებით მიმართავენ ბაბენკოს ბრალდებულნი: ნაშივოჩნიკოვი, ვასილიევი, ბელენკო, ალექსანდროვ ნეკრასოვი, ანტონოვი და გორლეცკი, რომლებიც არკვევენ ბაბენკოსთან შეხვედრის, ლაპარაკის და ურთიერთობის ყოველგვარ დეტალებს. **ნაშივოჩნიკოვი** ცდილობს დაამტკიცოს, რომ მან არასოდეს და არავითარი ფული არ მიუღია ბაბენკოსაგან. მიუხედავად იმისა, ბაბენკო კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ის აძლევდა ფულს ნაშივოჩნიკოვს.

მეორე ბრალდებული **ანტონოვი** ეკითხება ბაბენკოს, რას ეყრდნობოდა ის, როცა მას ბრალს სდებდა ანტისემიტიზმში. ბაბენკო უპასუხებს, რომ ის ამაში ბრალს სდებდა არა მარტო ანტონოვს. „უნდა გულახდილად ითქვას—ამბობს ის—ასეთი განწყობილება ყველას ახასიათებდა".

კონკრეტულ ფაქტად ბაბენკოს მოჰყავს შემთხვევა, როცა კალგანოვმა და კომპანიამ მაღაროებიდან დაითხოვეს ლიბკინდი და ლივშიცი. ლივშიცის და ლიბკინდის მოხსნა, ბაბენკოს აზრით, მხოლოდ და მხოლოდ ანტისემიტიზმით აიხსნება.

მოწმეები ბაბენკოს შესახებ

შემდეგ სწარმოებს მოწმეების დაკითხვა, რომლებიც ახასიათებენ ბაბენკოს მოღვაწეობას, როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდეგ. მოწმეები არიან—მემადნეობები, ყოფილი წითელარმიელები და კომკავშირლები. მოწმეების ჩვენებიდან სჩანს, რომ ბაბენკო უხეშად ეპყრობოდა მუშებს, დასცინოდა და ამცირებდა ტყვე წითელარმიელებს, აწიოკებდა მუშებს და სხვ.

მოწმე **შვალდის** მაღაროში მუშაობს 1879 წლიდან. „1906 წელს,—ამბობს ის,—მე ვმუშაობდი აზოვის კომპანიის მაღაროში, რომელიც ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო მაღაროთ. ის მშვენიერად იყო მოწყობილი საკუთარი ელექტროსადგურით და სახელოსნოებით. 1921 წელს ეს მაღარო წყლით აავსო ბაბენკომ.

კრილენკოს კითხვაზე, როგორ შეხვდნენ მუშებმა მაღაროს წყლით ამოვსებას, მოწმემ უპასუხა, რომ მუშები ღელავდნენ, ვინაიდან ყველანი შემცირებაში მოხვდნენ; მაღარო დაიღუპა, ხოლო მოწყობილობა დაიტაცეს.

სასამართლოს წევრის **ვასილიევ-იუჟინის** კითხვაზე—იჩივლეს თუ არა მუშებმა პროფკავშირებში ან სადმე სხვაგან, მოწმე უპასუხებს „დიახ ჩვენ ვჩიოდით მმართველობას... კალგანოვთან".

მოწმე **ვიბოროვი** სხვა წითელარმიელებთან ერთად ტყვედ ჩაუვარდა თეთრებს და მუშაობდა მაღაროში, რომლის გამგეც იყო ბაბენკო. ვიბოროვი აღნიშნავს, რომ ბაბენკო დასცინოდა და აბუჩად იგდებდა წითელარმიელებს.

მოწმე **სიომკინი**, მაღარო „პროლეტარსკაია დიქტატურა"-ს მუშა აღშფოთებით ლაპარაკობს სანიტარულ-ტეხნიკურ მუშაკების მიერ მუშების შევიწროების შესახებ. ინჟინრები და ტეხნიკოსები არღვევდნენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს, აფერხებდნენ სამუშაო ხელფასის გაცემას და არ იცავდნენ უშიშროების ტეხნიკის წესებს. სიმართლის მთქმელ მუშკორებს სდევნიდნენ და გადაჰყავდათ ერთი მაღაროდან მეორეში. (ადს).

პარტიული ცხოვრება

მასიური მუშაობის საკითხები

(თბილისის კომიტეტის პლენუმისათვის)

იმის გასარკვევად, თუ როგორი არის დაყენებული მასიური მუშაობა ჩვენში—საკმაოდ განვითარებული მსხვილი წარმოებების (ამიერკავკასიის რკინის გზების სახელოსნო და დეპო, თბილისის ტრამვაი, არსენალი) გამოკვლევამ მასალა, რომელიც მოწმობს, რომ მასიური მუშაობა ხსენებულ წარმოებებში სუსტადაა დაყენებული. ეს დასკვნა თამამად შეიძლება გავრცელებულ იქნეს სხვა ორგანიზაციებზედაც.

ჩვენ საწარმოზე მეტს ვიწვევთ ყოველგვარ მასიურ (მუშათა სადელეგატო) კრებებს, მაგრამ ამ კრებების შინაარსი არ შეეფერება ამ საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც გამოხატავს მუშათა კლასის ინტერესებს და მუშათა მასის მოთხოვნილებებს. მუშათა კრებებზე სუსტად არის გამოხატული წარმოების საკითხები, ზოგიერთ ადგილებში კი (ტრამვაი, არსენალი) ეს საკითხები უკანასკნელ წელში სრულებით არ განხილულა. სუსტად არის დაყენებული საწარმოო თათბირების მუშაობა, მათ რეგულარულად არ იწვევენ, მუშები საკმაოდ არ არიან ჩაბმული მათ მუშაობაში, არ სწარმოებს თათბირების მიღწევათა აღრიცხვა. ამავე დროს კი ჩვენს წარმოებებში ჩატარდა და ტარდება თვალსაჩინო ღონისძიებები რაციონალიზაციის დარგში.

აქედან ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი მასიური მუშაობის ძირითად ნაკლს წარმოადგენს მისი შინაარსის შეუთანხმებლობა წარმოების საკითხებთან. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სუსტად არის დაყენებული მუშათა ფართო მასის ჩაბმა წარმოების ხელმძღვანელობაში, გამოყენებული არ არის მუშათა ფართო მასის გამოცდილება სამეურნეო აღმშენებლობაში.

მასიური მუშაობის ერთ-ერთი დიდი ნაკლია ის, რომ მასიური ორგანიზაციების მუშაობა არაა გადატანილი საამქროში. ზოგიერთ წარმოებებში არაა მოწყობილი საამქრო საწარმოო თათბირები, პროფორგანიზატორები, ნებაყოფლობით საზ-ბათა უჯრედები და არ ეწყობა მუშების საამქრო კრებები.

ეს გარემოება ჯერ ერთი—ქმნის იმის საფრთხეს, რომ როდესაც კომუნისტებს აქვთ საამქროში პარტუჯრედი და რეგულარულად იწვევენ უჯრედის კრებებს, შეიძლება კავშირის გაწყვეტა კომუნისტებსა და მუშათა დანარჩენ მასას შორის; მეორე ნაკლია ის, რომ მუშათა მასა პასიურადაა განწყობილი, საერთო-საქარხნო კრებებს ცოტა ხალხი ესწრება, მუშები ერიდებიან გამოსვლას, ვინაიდან ამ კრებებზე ზოგჯერ სრულებით არ ირჩევა მათი საამქროს კითხვები. უნდა შემცირდეს საერთო-საქარხნო კრებების რიცხვი, ისინი მოწვეული უნდა იქნენ მხოლოდ უმნიშვნელოვანესი საერთო-პოლიტიკური და ადგილობრივი საკითხების გასარჩევად. სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ საამქრო კრებებსა და თათბირებზე.

მასიური მუშაობის თვალსაჩინო ნაკლს წარმოადგენს გადაწყვეტილებათა შესრულების სუსტი შემოწმება და ინფორმაციის უქონლობა ამ შემოწმების შესახებ. იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც მუშა აცხადებს: „რომ ვიცოდე, რომ ჩემი წინადადება სარგებლობას მოიტანს და მას ვინმე შეასრულებს, უფრო ხალისიანად მივიღებდი მონაწილეობას კამათში" აქტივობის ასაწევად, მასიურ კრებების გამოსაცოცხლებლად და მასების კონტროლის განსახორციელებლად პირველ რიგში უნდა განვახორციელოთ გადაწყვეტილებები და მივაწოდოთ კრებას ინფორმაცია ამ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ.

ჩვენი მასიური მუშაობის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნებაყოფლობითი საზოგადოებების უჯრედებს და მუშკორების მოძრაობას.

სამწუხაროდ ეს ორგანიზაციები ადგილ-ადგილ სრულებით დაიშალენ ან ერთ წერტილზე გაიყინენ. საჭიროა გადაჭრით შეიცვალოს დამოკიდებულება პროლეტარულ საზოგადოებრიობის ამ ორგანიზაციებისადმი, საჭიროა მათი განმტკიცება და გამოცოცხლება.

როგორც ვიცით, მასიურ ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს მუშათა აქტივი. ყველგან საქმიოდ აქვთ შეგნებული აქტივის განსაკუთრებული მნიშვნელობა, მაგრამ მასთან მუშაობა კიდევ სუსტად არის დაყენებული. აქტივის სპეციალიზაცია მოითხოვს ცალკე მომზადებას, ამავე დროს კი არ ტარდება სისტემატიური მუშაობა აქტივის სპეციალურ ჯგუფებთან. სუსტად არის დაყენებული აქტივის თეორეტიული მუშაობაც (წრეები, თვითგანვითარება და სხ.). შეუძლებელია ფიქრი მასიური მუშაობის სერიოზულ გამოცოცხლებაზე, თუ გაუმჯობესებული არ იქნა მუშაობა აქტივთან. ამიტომ ჩვენი მასიური ორგანიზაციების სისტემაში ამ დარგს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

მასიური მუშაობის მაცოცხლებელ ძალას და მისი განვითარების წინასწარ პირობას წარმოადგენს თვითკრიტიკის გატარება.

პატიოსანმა, პროლეტარულმა, საქმიანმა თვითკრიტიკამ ცოცხალი გამოძახილი და ნამდვილი განხორციელება უნდა ჰპოვოს ჩვენი მასიური ორგანიზაციების მუშაობაში თავისთავად ცხადია, რომ ასეთი თვითკრიტიკა სრულიად არ უნდა შეიცავდეს ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის დეფექტების რაიმე ანტისაბჭოთა მენშევიკური, ოპოზიციონური კრიტიკის ელემენტებს.

აი უმთავრესად ის ამოცანები მასიურ მუშაობის დარგში, რომლებიც უნდა განიხილოს თბილისის კომიტეტის პლენუმმა.

ე. ბედია.

ბიუროების საარჩევნო კრებებზე

შავი ზღვის რკ. გზ. სააღმშენებლო სამმართველოს უჯრედში

შავი ზღვის რკ. გზ. აღმშენებლობთა პარტუჯრედის მდივანმა ამხ. ხოშტარიამ უკვე დაასრულა საანგარიშო მოხსენება. შემოდის მრავალი საინტერესო შეკითხვები:

— ბიუროს სხდომა შესდგა 14-ჯერ; ხოლო უჯრედის კრება—10-ჯერ—რატომ ხდება ეს?

— როგორი დამოკიდებულება აქვს უჯრ. ბიუროს სპეცებთან?

— იდგა თუ არა უჯრედის კრებაზე საკითხი—ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ?

— რამდენჯერ შესდგა ღია კრება?

— როგორი განწყობილება აქვს ბიუროს უპარტიოებთან? და სხ.—ეკითხებიან მომხსენებელს დამსწრე ამხანაგები.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი; კამათში მონაწილეობა მიიღო: ამხ. კაციტაძემ, ბახტაძემ, კვირიკაძემ და სხ. ორატორები უთითებდენ ბიუროს, რომ უჯრედში ძალზე მოისუსტებს საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა; არ გამოდის კედლის გაზეთი; ადგილკომში არაა შექმნილი კომფრაქცია და სხვა. ამას გარდა, როგორც გამოირკვა, საანგარიშო ხნის განმავლობაში უჯრედის ღია კრება შესდგა მხოლოდ 2-ჯერ. უპარტიო ამხანაგების პარტმუშაობაში ჩაბმის მიზნით, მოკამათეებს საჭიროდ მიაჩნიათ, ღია კრებების უფრო ხშირად მოწვევა.

ამხ. კვირიკაძე აღნიშნავს, რომ ბიურო თავის სხდომებზე არ არჩევდა საწარმოო საკითხებს; შავი ზღვის რკ.-გზ. სამმართველოში არსებობს პროტექციონიზმი, რასაც ბიურო უნდა მოეღო.

კრებამ ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო, ხოლო მომავალ მუშაობის გასაძღოლად საღებლად შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი.

დამსწრე.

თბილისის აღმასკომის უჯრედში

კომუნ. უჯრედის ბიუროს რვა თვის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს უჯრედის მდივანი ამხ. ვ. ჭურულაია.

მოხსენებიდან ირკვევა, რომ ბიუროს მუშაობას უკანასკნელ ხანებში დიდი გამოცოცხლება დაეტყო.

ბიურომ სწორი ხელმძღვანელობა გაუწია. როგორც 20 პროც. შემცირების გატარებას, ისე კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანიას და მათ განხორციელებას. მოსმენილ იქნა 14 გამგის საანგარიშო მოხსენება. პარტ განათლების ქსელში ირიცხებოდა 135 ამხ., ამათში სწავლა დაამთავრა 97 კაცმა. კომკავშირელთა რიცხვი 130-დე აიდა, ა. ლ. ქ. კ. უჯრედი მჭიდროთაა დაკავშირებული პარტუჯრედის ბიუროსთან.

მიღწევებთან ერთად აღმოჩნდა ბევრი ნაკლიც. აღსანიშნავია ის, რომ კამათში მონაწილეობა მიიღო ფართო მასამ: გამოვიდა 30 ამხანაგი. უდროობის გამო ბევრ ამხანაგს აღარ ერგო სიტყვის თქმა. ყველა ორატორები გამოდიოდნენ მეტად საქმიანი მითითებით ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მასა ეხლა უფრო მეტს თხოულობს თავისი ხელმძღვანელებისაგან.

— სასტიკი ბრძოლა ნათლიმამობის, ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, პროტექციონიზმის და სხვა ისეთი მოვლენების წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლის ჩვენი აპარატის ნორმალურ მუშაობას,—აი რას ამბობდა თვითეული გამოსული ორატორი.

ამხ. ჭურულაია საბოლოო სიტყვაში ამომწურავ პასუხს იძლევა, როგორც შეკითხვებზე, ისე კამათში გამოსულ ორატორების სიტყვებზე.

კრებამ უჯრედის ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

ახალი ბიუროში არჩეულ იქნა 11 წევრი და 4 კანდიდატი, ახალ არჩეულ ბიუროს ეძლევა მრავალი მითითება, აი ზოგიერთი მათგანიც: სწორად და თანაბრად განაწილდეს პარტდატვირთვა, გაძლიერებულ იქნეს ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, თავისუფალ ორგანიზაციებში ჩაბმულ იქნას უპარტიო მასის მეტი რაოდენობა. დამუშავდეს ახალი ყოფა-ცხოვრების საკითხები და სხვა.

კრება გაგრძელდა ორი დღეს.

ნ. მკ—ლი.

ჟურნ. „ბოლშევიკ ზაკავკაზია"-ს

გავრცელების შესახებ

(საქ. კომპ. ა. კ. საოლქო კომიტეტის მიმართვა)

საქ. კომპარტიის (ბ) ა. კ. საოლქო კომიტეტმა ყველა ცენტრალურ და დიდ-ქალაქთა კომიტეტებს დაუგზავნა მიმართვა ჟურნალ „ბოლშევიკ ზაკავკაზიას" ფართოდ გავრცელების შესახებ.

„ბოლშევიკ ზაკავკაზია"—ნათქვამია მიმართვაში,—მიზნად ისახავს პოლიტიკურ-ეკონომიური საკითხების გარკვევას პარტიული აქტივისათვის და მისი თეორეტიული დონის ამაღლებას ამ საკითხთა ლენინური ახსნა-განმარტების ნიადაგზე.

ხსენებული ამოცანის შესრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მონაწილეობას მიიღებს პარტიული ორგანიზაციები და პარტაქტივი ჟურნალისათვის შინაარსიანი მასალების მოწოდებისა და მისი გავრცელების საქმეში.

დასასრულ, ა. კ. საოლქო კომიტეტი მოუწოდებს ყველა პარტორგანიზაციებს მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია ჟ. „ბოლშევიკ ზაკავკაზიას" ირგვლივ.

კომკავშირში

პირველი ნაბიჯი

(წერილი სენაკიდან)

მე-15-ტე პარტყრილობამ დროულ ამოცანად დასახა ჩვენი დაქსაქსული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია; ამ დიდ საქმეში მაგალითის მაჩვენებლად უნდა გახდენ უპირველესად პარტია და კომკავშირის წევრები.

ახალ-სენაკის კომკავშირის ორგანიზაციაში ამ მიმართულებით პირველი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა სენაკის სამაზრო პროფბიუროსთან არსებულმა უჯრედმა, მან ქალაქ აღმასკომიდან აიღო 3 დესეტინა მიწა კოლექტიურად დასამუშავებლად.

ეს საკითხი შემდეგ გადატანილ იქნა ქ. ორგანიზაციის გაერთიანებულ კრებაზე. 300-მდე კომკავშირელი, დიდი აღფრთოვანებით და კმაყოფილებით შეხვდა დაწყებულ საქმეს. შესდგა ხელმძღვანელი ბიურო ყველა უჯრედების წარმომადგენლებიდან და დაინიშნა პირველი სამუშაო დღე.

დანიშნულ დღეს კომკავშირის კომიტეტის შენობის წინ თავი მოიყარეს კომკავშირის წევრებმა, 160-მდე კომკავშირელი განუსაზღვრელი ხალისით წითელი დროშით და სიმღერით გაემართა კოლექტიური მინდვრისაკენ პირველი სამუშაოს დასაწყებად.

დიდი ხნით დაუხნავი მიწა საჭიროებდა ბუჩქებისაგან გაწმენდას; საღამომდე ენერგიული შრომით შესრულებულ იქნა ეს სამუშაო და მიწა უკვე მზათ იყო ტრაქტორის ასამუშავებლად.

შურა იოსავა.

კავკ. წით. დროშ. არმიის სარდლის ახალი თანაშემწე

25 მაისს თბილისში ჩამოვიდა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის ახალი თანაშემწე ამხ. ი. ფ. ფაბრიციუსი (ადს).

ამხ. ი. ფ. ფაბრიციუსი

ამხ. ი. ფ. ფაბრიციუსი დაიბადა 1877 წ. ქ. ვინდავაში (ლატვია) მუშის ოჯახში. რევოლუციონურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებას იღებს ახალგაზრდობიდანვე. 1903 წელში შედის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. ამავე წელში პირველ მაისობის დღესასწაულზე ამხ. ფაბრიციუსი დააპატიმრეს და 1904 წლის თებერვალში მეფის სასამართლომ მას მიუსაჯა 4 წლის საკატორღო მუშაობა. 1905 წლამდე გადასახლებული იყო იაკუტიაში და შორეულ აღმოსავლეთის ოლქებში 1915 წელში, როდესაც მეფის მთავრობა შეუდგა ლატიშთა მსროლელი ნაწილების შედგენას, ლატვიის ბოლშევიკური პარტიის ცეკას წინადადებით ამხ. ფაბრიციუსი შედის ერთ ერთ პოლკში. 1917 წელში მას ირჩევენ არმიის კომიტეტში და 6 დეკემბერს კომიტეტთან ერთად გადადის წითელი გვარდიის რიგებში.

საბჭოების მესამე ყრილობაზე ამხ. ფაბრიციუსს ირჩევენ სრულიად რუსეთის ცაკის წევრად და ის ერთხანს მუშაობს ცაკში. გერმანელების შემოტევის დროს ამხ. ფაბრიციუსი იყო რაზმების უფროსად პსკოვის რაიონში. ბრესტის ზავის შემდეგ იყო ამ რაიონის საგანგებო სამხედრო კომისრად. გერმანელებთან ბრძოლების დროს ამხ. ფაბრიციუსი დაიჭრა.

1919 წელში ამხ. ფაბრიციუსი მონაწილეობას იღებს ბრძოლებში დენიკინის წინააღმდეგ მან ლიკვიდაცია უყო მამონტოვის რეიდს. შემდეგ ინიშნება კიკვიძის სახელობის მე-48 ბრიგადის უფროსად და მასთან ერთად მონაწილეობას იღებს ლუგანსკის, ლიხაიას, ნოვოჩერკასკის აღებაში, შემდეგ ანადგურებს თეთრების დესანტს ტამანის ნახევარკუნძულზე და იკავებს ნოვოროსიისკს.

1920 წელში იმავე დივიზიით გადაჰყავთ პოლონეთის ფრონტზე და ის ნოვოგეორგიევსკამდე აღწევს. პოლონეთიდან უკან დახევის დროს ამხ. ფაბრიციუსის ბრიგადა აწარმოებს საარიერგარდო ბრძოლებს და არა ერთხელ უსხლტება მტრის მიერ შემორტყმულ ალყას.

პოლონეთთან ზავის დადების დღის ამხ. ფაბრიციუსი დაიჭრა. განკურნების შემდეგ 1921 წელში ინიშნება მე-43 გაერთიანებული კურსების უფროსად და დასავლეთის ფრონტის კურსანტების ბრიგადის სარდლად.

1921 წელში ამხ. ფაბრიციუსს ირჩევენ საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-10 ყრილობაზე და იქიდან ის იგზავნება კრონშტადტის აჯანყების ჩასაქრობად. ის ინიშნება მე-501 პოლკის სარდლად და ერთერთი პირველი შედის კრონშტადტში.

1923 წლიდან ამხ. ფაბრიციუსი არის ბელორუსიის მეორე ტერიტორიალური დივიზიის უფროსად, შემდეგ სწავლობს უმაღლეს აკადემიურ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ ინიშნება მე-17 მსროლელი კორპუსის სარდლად და კომისრად, შემდეგ ამავე თანამდებობაზე მე-4 მსროლელ კორპუსში. 1927 წლის იგზავნება უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის გაუმჯობესების ათი კვირის კურსებზე და კურსების დამთავრების შემდეგ ინიშნება კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის სარდლის თანაშემწედ.

ამხ. ფაბრიციუსი—ერთერთი იმ ოთხ გმირთაგანია, რომლებიც დაჯილდოვებული არიან წითელი დროშის ოთხი ორდენით. პირველი ორდენი მას მიღებული აქვს პსკოვის აღებისათვის, მეორე სმორგოვის პოზიციების გარღვევისათვის პოლონეთის ფრონტზე, მესამე კრონშტადტის აჯანყების ჩაქრობისათვის და მეოთხე საარიერგარდო ბრძოლებისათვის პოლონეთის ფრონტიდან უკან დახევის დროს.

ამხ. ფაბრიციუსი არის საბჭოთა კავშირის ცაკის და ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის ცაკის წევრი, ბელორუსიის კომპარტიის (ბ) ცეკას და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრი. (ადს).

სპარსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი თბილისში

გუშინ სპარსეთიდან თბილისში ჩამოვიდა სპარსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპასპორტო ნაწილის დირექტორი ბ. **ჰაჯი-კული-ხანი**.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ბ. ჰაჯი-კული-ხანმა სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ განაცხადა:

სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება დღეს ყველასათვის ფაქტი გახდა. არა მარტო სავაჭრო ურთიერთობა, არამედ პოლიტიკური დამოკიდებულებაც ამ ორ ქვეყანას შორის საუკეთესო კალაპოტში დგება და დღითი-დღე უმჯობესდება. ამჟამად სპარსეთის საზოგადოებრივი აზრისათვის ყველაზე უფრო დიდ ინტერესს წარმოადგენს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარება. საბჭოთა კავშირისათვის სპარსეთი წარმოადგენს არა მარტო გამსაღებელ ბაზარს, არამედ სპარსეთი მდიდარია სხვადასხვა საიმპორტო შესაძლებლობებითაც, როგორიცაა მატყლი, ხმელი ხილი, ბრინჯი და სხ.

უკანასკნელი წლის განმავლობაში დადებული სავაჭრო ხელშეკრულებები ქმნიან საფუძველს ორივე ქვეყანას შორის მჭიდრო კონტაქტის დასამყარებლად. სპარსეთის ვაჭართა წრეები და საზოგადოებრივი აზრი დიდი სიმპატიით ეპყრობიან საბჭოთა იმ ორგანიზაციებს, რომელთაც მუშაობა უხდებათ სპარსეთში. სხვათა შორის აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამჟამად სპარსეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მთელი რიგი ახალი რკინისგზების გაყვანა იმ პროვინციებში, რომლებიც საბჭოთა კავშირის საზღვარზე მდებარეობენ. აღნიშნული რკინისგზების გაყვანა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სპარსეთისა და საბჭ. კავშირის დაახლოვებას. სპარსეთის ზოგიერთ პროვინციების ბაზარზე სჭარბობს საბჭოთა კავშირიდან შემოტანილი საქონელი. დიდი გასავალი აქვს საბჭოთა კავშირიდან შემოტანილ შაქარს, საფეიქრო ნაწარმოებებს და მრეწველობის სხვა პროდუქტებს.

ამჟამად ჩემი ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში არაა დაკავშირებული რაიმე პოლიტიკურ, ან სხვა ხასიათის მისიასთან. ამ დღეებში, ექიმების რჩევით, მივემგზავრები ჩრდილოეთ-კავკასიის მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ.

ჩვენი სამანქანო მრეწველობა

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო სამანქანო-სატეხნიკო სინდიკატის კომერციული დირექტორი **ი. გენდინი**, რომელსაც დავალებული აქვს ჩაატაროს თბილისში სინდიკატის განყოფილების რეორგანიზაცია. ი. გენდინმა ჩვენს თანამშრომელს გადასცა:

— საკავშირო სამანქანო-სატეხნიკო სინდიკატმა გადასწყვიტა გადავიდეს მუშაობის სრულიად ახალ მეთოდზე. თუ დღემდე სინდიკატი ნახევრად სავაჭრო-საქმიანობას აწარმოებდა, ამიერიდან გადაწყვეტილია ხელი მოვკიდოთ მხოლოდ ახალი რთული კონსტრუქციის მანქანების და დაზგების წარმოებას. საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, ამჟამად განიცდის სამრეწველო აყვავების ხანას. მთელი იმ უდიდესი აღმშენებლობისათვის, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, საჭიროა დიდძალი მოწყობილობები, მანქანები, დაზგები და მრავალნაირი საწარმოო ხასიათის იარაღები. დღემდე,—ჩვენში მზადდებოდა მხოლოდ სადა მანქანები და რამოდენიმე წლის წინად იყო დაწყებული ჰიდრო-ტურბინების დამზადება.

ამიერიდან სამანქანო-სატეხნიკო სინდიკატის ქარხნები გადაყვანილი იქნება ისეთი მანქანების დამზადებაზე, რომლებიც დღემდე უცხოეთიდან შემოგვქონდა. ეს ერთის მხრივ ხელს შეუწყობს ახალი აღმშენებლობის უფრო სწრაფი ტემპით განვითარებას, ხოლო მეორეს მხრივ ხელსაყრელი იქნება სავალუტო თვალსაზრისითაც.

სინდიკატის წარმოების ახალ მეთოდზე გადასვლასთან დაკავშირებით ხდება მთელი აპარატის რეორგანიზაცია. აღნიშნული რეორგანიზაცია ჩატარდება თბილისის განყოფილებაშიაც, სადაც დატოვებული იქნება მარტო კანტორა, რომელთანაც მოეწყობა საკონსულტაციო ბიურო სხვადასხვა საამშენებლო ორგანიზაციებისათვის ტეხნიკური რჩევა-დარიგების მისაცემად.

მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის წესი

შტატის შემცირებასთან დაკავშირებით მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის წესის მოგვარების მიზნით ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა:

შტატის შემცირების გამო მუშა-მოსამსახურეთა მოსალოდნელ დათხოვნის შესახებ წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაციამ წინასწარ უნდა აცნობოს მუშათა კომიტეტს: რა კვალიფიკაციის და თანამდებობათა შემცირება არის განზრახული.

დათხოვამდე ორი კვირით ადრე ადმინისტრაცია ვალდებულია გამოაქვეყნოს იმ პირთა სია, რომლების დათხოვნაც განზრახულია აქვს მას.

შტატების დროებით შემცირების დროს, ადმინისტრაციას ევალება მიიღოს ზომები მუშა-მოსამსახურეთა დასატოვებლათ სამუშაოზე სამუშაო დღის და სამუშაო კვირის შემცირების ანგარიშზე.

სამუშაო დროის შემცირების საკითხი წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა გადასწყვიტოს სათანადო პროფ. კავშირთან შეთანხმებით.

დათხოვილი მუშა-მოსამსახურეები შეძლებისდაგვარად მოწყობილი უნდა იქნენ იმავე წარმოება-დაწესებულების სხვა დროებით ან მუდმივ სამუშაოებზე.

შტატების შემცირების დროს თანაბარ შრომის ნაყოფიერების და კვალიფიკაციის პირობებში სამუშაოზე დასატოვებლათ უპირატესობა ეძლევა: 1) ცოლშვილიანებს, რომელთა კმაყოფაზე იმყოფება ორი ან მეტი პირი, 2) იმ პირთ, რომელთა ოჯახში არ მოიპოვება მომუშავე წევრი; 3) სათადარიგო ან უვადო შვებულებაში მყოფ წითელ მეთაურებს და პოლიტკატორღელთა საზოგადოების წევრებს.

ეს დადგენილება ვრცელდება სახელმწიფოებრივ, საზოგადო და კერძო წარმოება-დაწესებულებებზე.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

საქ. პროფსაბჭოს წერილი საკ. პროფსაბჭოსადმი

გუშინ, საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ შემდეგი წერილი გაუგზავნა საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმს მოსკოვში.

10 მაისს, ქალაქ ქუთაისში გაჩნდა ხანძარი, რომელიც თითქმის მთელი დღე და ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. დაიწვა 340 სახლი მთელი სათავსო მოწყობილობით. ხანძარმა უმთავრესად დაზარალა ღარიბებით დასახლებული უბანი. უსახლკაროდ დარჩა 5.000 კაცზე მეტი. მათ შორის 400 ოჯახზე მეტი პროფკავშირების წევრებია, რომელთაც ყველაფერი დაეღუპათ.

საქართველოს პროფკავშირები ხანძრის გაჩენის დღიდანვე ატარებენ კამპანიას დაზარალებულთათვის ნივთიერი დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ ჩვენი სახსარი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საგრძნობლად შევამსუბუქოთ დაზარალებულთა მძიმე მდგომარეობა.

ამიტომ, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი მიმართავს სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს და სთხოვს აღმოუჩინოს ქუთაისის დაზარალებულთ ნივთიერი დახმარება და აგრეთვე მოუწოდოს სრ. საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს სახელით პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს, რომ მათ დახმარება გაუწიონ ქუთაისის სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ ღარიბ მოსახლეობას.

დამხმარე კომისიის სხდომა

ქუთაისი, 24 მაისი. ხანძრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომისიის თათბირზე გამოირკვა, რომ დაზარალებულებმა დაიჭირეს 125 დარაბა. ამ დარაბებს ესაჭიროება რემონტი, რაც დაჯდება 3.560 მანეთი. თათბირმა დაადგინა: დარაბების რემონტს წაემატოს სამზარეულოთა მოწყობა და საამისოდ გადაიდოს სულ 6.000 მანეთი. 40 დარაბის გადაკეთების შემდეგ გამოვა 50 ოთახი, რაც დაჯდება 9.505 მანეთი. ჯანმრთელობის განყოფილების გამგეს დაევალა, თავისი პასუხისმგებლობით თვალყური ადევნოს სისუფთავის დაცვას დარაბებში ეპიდემიების თავიდან ასაცილებლად. შრომის კომისარიატის მიერ უმუშევართა ფონდისათვის გადადებული 27.400 მანეთიდან დახარჯულია 9.000 მანეთი, დანარჩენი თანხის გამოყენება განზრახულია დამწვარი შენობების ასაგებად. საბოლოოდ გამოირკვა, რომ დაიწვა და დაზარალდა 1.472 ოთახი, სადაც სცხოვრობდა 524 ოჯახი ანუ 2.294 სული. აქედან 337 ოჯახი ბინის პატრონებია, 187—მოქირავენი; ღარიბი ოჯახია—301, საშუალოდ უზრუნველყოფილი—211, შეძლებული—12 (ადს).

დახმარება ქუთაისს

„კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ხუთი მანეთი.

ინჟ. მიხეილ მაჭავარიანი.

—:—

ქეთო ჩხეიძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი.

ვ. მუსხელიშვილი.

—:—

მედიკო ყანჩელის გამოწვევით შემომაქვს 1 მ. 50 კ. და ვიწვევ: ცისანა ხანაძეს, ქუკური გრიგოლიას, ირა კეჟიაშვილს.

გივი შოთნიაშვილი.

შემომაქვს 1 მ. 50 კ. და ვიწვევ: მიქაძე შალვას, ჯულელი გრიშას, გომელაური პეტრეს, ძოწენიძე გრიშას, ხუცურაული დიმიტრის და კეკელია გერასიმეს.

ისაკ დემურაშვილი.

—:—

მედეა ჭელიძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: გივი და ზიზილო დვალებს, გია აბზიანიძეს, ვერონიკა თუმანოვს, გაგი დვალს, თეიმურაზ და ჯანეტა დიდებულიძეებს, შოთიკო აბზიანიძეს, დათუნა ლეჟავას და ლამარა კობაძეს.

მანანა ჩხიკვაძე-სვირსკი.

—:—

დოდოჩია კლდიაშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: მარგალიტა ჩიკაძეს, მერიკო მაისურაძეს, ლამა ჭუბაბრიას, თინიკო ცინცაძეს, ნათელა ანთაძეს, ცისანა ჯავახიშვილს, ეთერი მეტრეველს, შოთა ქუმსიაშვილს და ათინა და ეთერი კაკაცებს.

მოწაფე გოგია ვანდორო.

—:—

მედეა ჭელიძის გამოწვევით შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ: ლილი და ბარდულინი კობალაძეებს, თინა ყორყოლიანს, ნათელა და მაყვალა აღლაძეებს, ვახტანგ და გივი ქუთათელაძეებს, ხუტუ კვერნაძეს და ოთარ გომართელს.

ვახუშტი ხომერიკი.

ოთარ ანანიაშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ალექსანდრე (ალიკო) იშხნელს, ავთანდილ მდივანს, გოგი ნანეიშვილს, ირა უზნაძეს, კუკური ლლონტს, თეიმურაზ ლოლაძეს, დათიკო ცაგარელს, რობერტ სტურუას და თენგიზ ერისთავს.

ოთარ გიგინეიშვილი.

—:—

მარიამ ორახელაშვილის სახელობის მთიულ ბავშვთა სახლების ბავშვები ქ. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოგვაქვს ერთი დღის ულუფის საფასური 22 მ. 62 კ. და ვიწვევთ კოჯრის ახალშენებს.

—:—

ბიძინა ესაიაშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მან. და ვიწვევ: ქეთო ანიკაშვილს, ელენე ანიკაშვილს, ნინო ტყემალაძეს, თამარ გეგეჭკორს, ირა ფალავანდიშვილს, ნინო ჩომახიძეს, მიშა წერეთელს, რუსიკო ალიოშას ასული ლომაძეს, და გივი ვარლამისძე მაჭავარიანს.

თამარ მახვილაძე.

—:—

თანახმად ამხ. ი. ფანცხავას გამოწვევისა შემომაქვს 5 მან. და ჩემის მხრივ ვიწვევ: ამხ. გ. ოხიტაშვილს, მ. სულხანიშვილს, გ. ლომთათიძეს, ი. ჩხაიძეს, ა. ჩეხოვსკის, ნ. ღამბარაშვილს, კ. ქუჩიას, ა. წულუკიძეს და გრ. კიკნაძეს.

ა. გეჩირგანიშვილი.

—:—

შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ: შაფათიძე ზინას, სამსონია ნინოს, თოხაძე ქეთოს, კვეთათაძე ზინას, ქარცივაძე მარიამს, აროშიძე თამარს, გორგაძე ბიძინას, ჯაყელი ვალერიანს, ჭანტურიშვილი თინას, ფირცხალაიშვილი ქეთოს.

ჟულიეტა ბეს. ქავჟარაძე.

გუშინ „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა 44 მ. 62 კ.
სულ წინად შემოსულთან ერთად 12.805 მ. 11 კ.

გამოხმაურება

ერთი დღის ხელფასი

19 მაისს შესდგა ქალაქის 1-ლი კლინიკურ ინსტიტუტების და 1-ლი ტუბდისპანსერის თანამშრომელთა საერთო კრება, რომელმაც ამხ. მიხ. ბერიძის საინფორმაციო მოხსენების მოსმენის შემდეგ, დაადგინა დაზარალებულთა დასახმარებლად გადასდონ ერთი დღის ხელფასი.

—:—

საქ. ცაკის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მუშა-მოსამსახურეებმა ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდეს ერთი დღის ხელფასი.

მთავრობის კომისიაში

5.000 მანეთი

საქართველოს სას.-სამეურნეო ბანკის გამგეობამ ქუთაისის აღსადგენათ მთავრობის კომისიას გადასცა 5.000 მანეთი.

—:—

დღემდე შემოვიდა 58.000 მანეთი

ხანძრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის კომისიის ცნობით, დაზარალებულთა დასახმარებლათ გუშინდლამდე კომისიაში შემოვიდა 58.000 მანეთი.

ბავშვების სამოღვაწეო ასპარეზი

რა მოუსვენარი და ბოროტები არიან ეს ბავშები!

არაფრის დანდობა არ იციან. არაფერის არ უფრთხილდებიან.

აგერ ხეზე შემომჯდარა აზიზ ფერებად აპრილებული ჩიტუნა და გულამოსკვნით უსტვენს.

უსტვენს, ერთობა, იართობა და მთელ გარემოს ახმაურებს ბუნების უცნაურობაზე ლაღადებულ ჰანგებით.

მაგრამ მას მიეპარა საიდანღაც პატარა ბიჭი მარჯვეთ ამოიღო მიზანში თავის შურდულით და სტვენაც შესწყდა. პატარა ჩიტუნა სულგანუტეული გდია ხის ძირში.

ბავში სიხარულით მივარდება მკვდარ ჩიტუნას და გამარჯვებას დღესასწაულობს.

ან კიდევ აგერ ბაღში შევიდენ ბავშები ხილის დასაკრეფად. მარჯვეთ აცოცდენ ხეებზე. ჯიბე-უბეები გაივსეს ხილით. შემდეგ მსხმოიარე ტოტებიც ბლომად დაამტვრიეს. მილეწ-მოლეწეს იქაურობა და ისე წავიდენ თითქოს შემდეგისთვის აღარ მოენატრებოდეთ ოდესმე ხილი.

ასეთი დაუზოგაობა, ასეთი დაუდევრობა საგანგებოდ ახასიათებს ბავშებს ბევრ რამეში.

მაგრამ ნუ თუ ეს ხდება იმიტომ, რომ ბავშები შეპყრობილი არიან რაღაცა ბოროტი სულით და დანგრევა-მოსპობის ყინიანობით? სრულიადაც არა. ჩააყენეთ ისინი შესაფერ პირობებში. გაუწიეთ მათ გონიერი ხელმძღვანელობა და სულ სხვა შედეგს მიიღებთ მაშინ.

ამის საუცხოვო მაგალითს წარმოადგენს მოსკოვის ნორჩი ნატურალისტების სკოლა თუ საზოგადოება. ისინი თავიანთ თავს უწოდებენ „იუნატებს". (юные натуралисты).

ეს ნორჩი ნატურალისტები ისეთ საინტერესო და მრავალმხრივ მუშაობას ეწევიან, რომ დიდებისათვისაც უნდა სახარბიელო რამეს წარმოადგენდეს. ეს მუშაობა კი არა ნამდვილი მოღვაწეობაა და ძალიან ფრთებგაშლილი მოღვაწეობაც.

ეს ბავშები კი არ ჰხოცავენ ჩიტებს და უნგრევენ ბუდეებს. არა! ისინი პირიქით, ხელს უმართავს მათ გამრავლებას. ამ მოსაზრებით გაზაფხულზე მთელს მოსკოვში ჰმართავენ „ფრინველის დღეს". და როგორ გგონიათ? რითი აღნიშნავენ ამ დღეს? ეს ნორჩი ნატურალისტები ათასობით მოედებიან მთელი ქალაქის ბაღებს და პარკებს. ხალისით მიცოცავენ ხეებზე და ამზადებენ ხელოვნურ ბუდეებს გაზაფხულის ფრთოსან სტუმრებისათვის. მზრუნველი პიონერების ნორჩი ხელებით ასე ითესება მოსკოვის გულში რამდენიმე ათასი ბუდე.

მაგრამ ამას უბრალო ბავშური გასართობაა კი არ სჩადიან! თქვენც არ მოუკვდეთ! თუ თქვენ ვერ მიხვედრილხართ—თვითონ ბავშები აგიხსნიან:

— ფრინველებს უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან იგინი ყოვლად სასარგებლო რამეა ჩვენთვის, ისინი სპობენ ხეების ათასგვარ მავნე მწერებს და ჭია-ღუებს. გაფურჩქვნილი დასილ ხეები კი აუცილებელია ქალაქის მოწამლულ ჰაერის გასაწმენდავად.

მალიარია და კოღოები აწუხებდენ მოსკოვის არე-მარეს? მერე რა? ამასაც სულ ადვილად მოუვლიან ჩვენი ნატურალისტები. მაზუთით უხვად მორწყავენ ვოირიბითვის მთებს, სოკოლნიკებს, მოსკოვის საგარეკო მიდამოებს; და ამგვარად ბოლო წლებში მალიარიის ხსენებაც აღარ არის მოსკოვში.

ახლა შეხედეთ სამეურნეო დარგში რამდენ სასარგებლო ცდებს აკეთებენ ეს პატარა ნატურალისტები! ავიღოთ მაგალითად მექათმეობა. სოფლური ქათამი ჩვეულებრივად იდებს 60—70 კვერცხს წელიწადში. ეს ხომ სხვა კენკადაც არ ჰყოფნის თვით ქათამს და პატრონს რაღა მოუგება დარჩეს? მოსკოვის პიონერები კი წლით-წლობამდის მუშაობენ, შერჩევას ახდენენ და ბოლოს იცით რა შედეგს აღწევენ? უბრალო რიაზანული ქათამი წელიწადში იძლევა 219 კვერცხს. რომელ გლეხის ოჯახს არ გაახარებს ასეთი ქათამი?

ახლა აგრონომიულ დარგში რამდენნაირ მუშაობას და გამოკვლევებს აწარმოებენ! ახდენენ შერჩევას ზამთრის გამძლე მჟავანილისა და ბოსტნეულობისას. იკვლევენ მცენარეულობის სხვადასხვაგვარ ავადმყოფობას. ამყნობენ ხილეულობას სხვადასხვანაირად და ამგვარად თითქმის ახალ გზებს იკლევენ მეურნეობის მდიდარ და ნაყოფიერ სფეროში.

ეს ნორჩი ნატურალისტები დიდი მეცნიერების როლსაც ასრულებენ ზოგიერთ გამოკვლევებში. ხშირად მეტის ხალისით და უკეთესის შედეგით, ვიდრე დიდები.

მათ აინტერესებთ, მაგალითად, საზაფხულოდ მოსული ფრინველები, ზამთარში სად მიდიან ან რომელი გზით? როგორ გაიგონ ეს? ფრთებს ხომ ვერ გამოისხამენ და ვერ გაჰყვებიან იმათ ქარავანს? არა! ისინი სულ ადვილად აწყობენ ამ ძნელ საქმეს:

დაიჭერენ სხვადასხვა ფრინველებს, რაც შეიძლება მეტს, შეაბამენ ფეხზე პატარა ბეჭედს „Москва БЮН" (Бюро юных натуралистов) და გაუშვებენ. მაგალითად, მოსკოვის მახლობლად მდებარე კიევის ტბაზე ამგვარად „დაბეჭდილ" 1332 თოლია.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბავშვების სასიხარულოდ და მათი ინტერესის წასაქეზებლად ფოსტას ზედიზედ მოაქვს მათი ბეჭედი—„Москва БЮН" ჯერ დნეპრის გასწვრივ მდებარე ქალაქებიდან მოდის. შემდეგ იტალიიდან. ლივორნოდან და სხვა ადგილებიდან.

ამგვარად ჩვენმა ნატურალისტებმა შეისწავლეს თოლიების გზაკვალი და მიაგნეს მათ საზამთრო ბინას.

არის მაგალითი: ასტრახანში წეროზე შებმული ბეჭედი მიღებულ იქნა აღმოსავლეთ აფრიკიდან.

წარმოგიდგენიათ, რა სიხარულს მიეცემოდენ ბავშვები ამ ბეჭედის მიღებაზე! ეს არის ულამაზესი რადიო-გადაცემა, რომლითაც ბავშვები იმაყებენ ხანდაზმულ ბუნებისმეტყველთა დიდ კრებულშიაც.

მოსკოვის „იუნატებს" დაჭერილი ჰყავთ მთელი საბჭოთა კავშირი 700 განყოფილებით, სადაც ითვლება 30.000 წევრი. ამასთან კავშირი აქვთ საზღვარგარეთელ საბუნებისმეტყველო ორგანიზაციებთან. რომელთა შემწეობითაც აადვილებენ თავიანთ გამოცდებს.

ვკითხულობ ამ მოსკოველ იუნატების ანგარიშს და ვფიქრობ: რატომ ჩვენშიც არ უნდა იყვეს ბავშვების ასეთი ორგანიზაცია?

ჩვენშიაც იხარჯება საბავშვო ორგანიზაციებზე ფული, მზრუნველობა, დაბანდებულია ბინები, ხალხი—მათ სახელმძღვანელოდ? მაშ არ სჯობია, უფრო ნაყოფიერად იყვეს გამოყენებული მთელი ეს ქონება, ძალ-ღონე და მზრუნველობა?

ბავშვი თუ წაახალისე, მას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია და ზოგჯერ საქმე უფრო უკეთესადაც ემარჯვება, ვიდრე მის უფროსებს. ჩვენც შეგვიძლიან სულ ადვილად გავიჩინოთ ნორჩი ნატურალისტები.

ამგვარად გაწვრთნილ ბავშვებზე თავიდანვე ამაოდ არ იქნება დახარჯული არც ქონება, არც მზრუნველობა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მომავალი მუშაკები და ნამდვილი ღირებულების შემქნელნი პატარაობიდანვე იქნებიან აღჭურვილი ხანგრძლივი გამოცდილებითა და განუსაზღვრელი სიყვარულით თავიანთი საქმისადმი.

დრო არის იფიქრონ ამაზე ჩვენმა საბავშვო ორგანიზაციებმა.

ლელი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სოფლის ელექტროფიკაცია

ახალსენაკი, 24 მაისი. სოფელ ძიძიძირის მცხოვრებთა საერთო კრების დადგენილებით შეუდგნენ ელექტრონის ხაზის გაყვანას აბაშის სადგურისაკენ. გლეხობამ მოზიდა ბოძები ხაზისათვის. მუშაობა სწრაფად მიმდინარეობს.

ადგილი შაქრის ქარხნისათვის

გორი, 24 მაისი. გორში ჩამოვიდა მიწსახკომის საქ. ს.მ.უ.ს. და შაქრის ტრესტის წარმომადგენლების კომისია, რომელიც გამოჰყოფს ადგილს შაქრის ქარხნის საჭიროებისათვის. კომისიამ გამოჰყო ერთი ნაკვეთი მიწა დაახლოვებით 2.600 ჰექტარი სოფ. ვაყასა და გომში.

წერილები

ყოვლად დაუშვებელი მოვლენა

საბჭოთა ხელისუფლებამ მენშევიკური მთავრობიდან მიიღო გაკოტრების პირზე მისული კოოპერაცია. იმ დროის არსებულ კოოპერატივებს არ გააჩნდათ არც ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი და არც არავითარი საქონელი. მენშევიკური ხელისუფლების დროის კოოპერაციაში გამეფებული იყო უპასუხისმგებლობა, მფლანგველობა და სხვა ბოროტმოქმედებები. ამის გამო გლეხობა გაურბოდა კოოპერაციას. ის ასე აყენებდა საკითხს: რისთვის უნდა გადავიხადო საპაიო ანარიცხები, როდესაც კოოპერატივიდან ვერავითარ სარგებლობას ვერ მივიღებ და ჩემ მიერ გაღებულ ფულს გამგეობის რომელიმე წევრი მიითვისებსო. და ამ შემთხვევაში მომჩივარებელი მართალი იყო. არავინ არ სთხოვდა მაშინ პასუხს გამფლანგველს ბოროტმოქმედებისათვის.

სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა კოოპერაციის განვითარებისათვის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გაჩანაგებული კოოპერაციის აღდგენისა და მისი განვითარების საქმეს. ამასთან ერთად სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა გამფლანგველობას. ასეთმა ღონისძიებებმა უკვე გამოიღო შესაფერი ნაყოფი. სამომხმარებლო კოოპერაცია დღეს ძლიერ ფაქტორს წარმოადგენს საშინაო ვაჭრობის საქმეში. თანდათანობით ფართოვდება კოოპერატივების ქსელი სოფლად და ქალაქად, მრავლდება წევრთა რიცხვი, იზრდება საკუთარი თანხები. მინიმუმამდე დაიყვანა გაფლანგვის შემთხვევები კოოპერატივებში, მაგრამ სამწუხაროდ გაფლანგვა სავსებით აღმოფხვრილი ჯერ კიდევ არ არის. ამასთან ერთად ადგილი აქვს ერთ ყოვლად დაუშვებელ მოვლენას. ხშირად კოოპერატივის სარევიზიო კომისიები აღმოაჩენენ ბოროტმოქმედებს, რომელსაც გაფლანგული აქვს საგრძნობი თანხა, მაგრამ იმავე კომისიას გამოაქვს დადგენილება, რომ გამფლანგველმა განსაზღვრული დროის განმავლობაში დაფაროს დანაკლისი, ხოლო პასუხისგებიდან ანთავისუფლებენ. ასე მოხდა მაგალითად ჩხიროულის თემში (შორაპნის მაზრა), სადაც კოოპერატივის მოლარის დომენტი მუმლაძეს აღმოაჩნდა გაფლანგული 378 მან. 58 კაპ., სარევიზიო კომისიამ, რომელშიაც შედიოდა ცეკავშირის ინსტრუქტორი ალ. გიგინეიშვილი და სამაზრო ინსტრუქტორი გველესიანი, მუმლაძეს გაფლანგული თანხა ჩაუთვალეს დავალიანებად და წინადადება მისცეს დაფაროს ეს თანხა ორი თვის განმავლობაში.

ყოვლად დაუშვებელია გამფლანგველებისადმი ასეთი მოპყრობა ეს ფაქტი სახელს უტეხს კოოპერაციას მშრომელი მასების თვალში. სახალხო კომისარიატმა მიმთვისებელს სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს, ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს ფლანგველობას და უპასუხისმგებლობას.

ს. ე.

ალაზნის არხი

(წერილი თელავიდან)

ამჟამად კახეთში მიმდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა, რომელიც ერთბაშად გარდაქმნის კახეთის სასოფლო მეურნეობას. ეს არის ალაზნის არხის გაყვანა, როცა სულ ახლო მომავალში არხის სათავის ნაგებობიდან (შლიუზებიდან) გადაიშვება წყალი კახეთ-ქიზიყის მოსარწყავად.

ეს ორი ნაყოფიერი მაზრა, რომელიც რამოდენიმე საუკუნის წინ ალაზნის არხით ირწყვებოდა და მთელ საქართველოს ბეღელს წარმოადგენდა თავისი მდიდარი მოსავლიანობით, ეხლა თითქმის უნაყოფო ველ-მინდვრებს წარმოადგენს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე სათანადო ყურადღება მიექცა კახეთ-ქიზიყის მეურნეობის აღდგენას, რომლის ერთ-ერთ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ალაზნის არხის გაყვანა მთელ შირაქის ველის მოსარწყავად. არხის სათავე იწყება სოფ. ტოღნიანის (თელავის მაზრა) ბოლოდან და აღწევს ს. კარაგაჩამდე (სიღნაღის მაზრა). არხის სიგრძე უდრის 87 კილომეტრს და მორწყავს 50 ათას დესეტინა მიწას თელავის და სიღნაღის მაზრებში.

მთელი არხის გაყვანა ჯდება ხუთ-ნახევარი მილიონი მანეთი. უკვე დახარჯულია ორი მილიონი. არხის გათხრა თითქმის მთლად დამთავრებულია და ეხლა მუშაობა სწარმოებს ალაზნის არხის სათავეში.

მუშაობის დაწყებამდე საჭირო გახდა ალაზნის მეორე კალაპოტის ხელოვნურად დამზადება და მიმდინარეობის მიცემა, ხოლო იმ ადგილას, რომელიც წინედ წყლით იყო დაფარული, შენდება ბეტონის ნაგებობები და გიგანტიური კედლები. ეს მიდამო თითქმის პატარა ქალაქს წარმოადგენს მუშა-ხელის სიმრავლით და შენობებ-კარვებით მუშებისათვის.

მუშაობას აძნელებს ის გარემოება, რომ სამუშაო ადგილებზე წყალი ისევ სჩქეფს დაბლიდან და მიუხედავად იმისა, რომ ტრაქტორები ვეებერთელა მილებიდან წყალს აქაჩავენ, მაინც მუხლამდი წყალში უხდებათ მუშებს მუშაობა.

როგორც აღვნიშნეთ, თვით არხი უკვე მიყვანილია სათავემდე, სადაც ამჟამად კეთდება შლიუზები და საიდანაც წყალი დაიწყებს მიმდინარეობას არხში.

ალაზნის სათავეში მუშაობა ამ ერთ თვეში დამთავრდება. მუშაობის საერთო სანახაობა მეტად საყურადღებოა და ამიტომ თელავიდან ბევრი ექსკურსიის მოწყობას აპირებს.

1-ლ ოქტომბრისათვის მთელი სამუშაო გათავდება ს. ბაკურციხემდე 33 კილომეტრის მანძილზე და შესაძლებელი იქნება 33 ათასი დესეტინის მორწყვა.

ამ სამუშაოებს, ე. ი. 1 უბანს, ადგილობრივ უშუალოდ ხელმძღვანელობს ინჟ. დავითაშვილი.

ვან—ლი.

გლეხკორთა წერილებიდან

არ გვაქვს კოოპერატივი

ს. შუა-ქვალონი, ზუგდიდის მაზრა

მიუხედავათ იმისა, რომ კოოპერატივისთვის შენობა უკვე შეძენილია და მოგვეპოვება აგრეთვე საჭირო ინვენტარიც, ხსენებულ სოფელში კოოპერატივის გახსნას არაფერი ეშველა. ამის გამო გლეხობა ხელში უვარდება კერძო ვაჭრებს. ეს გარემოება მით აიხსნება, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები არავითარ ინიციატივას არ იჩენენ. სანამდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა?

კვამარჩია

—:—

მისაბაძი მაგალითი

ხიდისთავის თემი, გურია

მოქ. მოსე ივანეს ძე გოგობერიძემ თავის ნაცნობ-მეგობრებს შორის ქ. თბილისში შეაგროვა 170 მანეთი სოფ. ქვენობანში მდ. არეშაზე ხიდის გასაკეთებლად, რითაც შესაძლებელი გახდა ხიდის გაკეთება. ხიდისთავის თემაბჭო და აღმასკომი მადლობას უცხადებენ მოქ. გოგობერიძეს.

თემაღმასკომის თავმჯდომარე შ. კუტუბიძე.

მუშათა ცხოვრება

ხვალ, 27 მაისს, მოეწყობა გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ექსკურსია კოჯორის საბავშო სახლების დასათვალიერებლად. ექსკურსიაში მონაწილე მუშკორებმა თავი უნდა მოიყარონ პუშკინის ბაღში დილის 7 საათზე.

როგორ ესმით რაციონალიზაცია

რკ. გზის მთავარ სახელოსნომ მიიღო საზღვარგარეთიდან გამოწერილი მანქანები, რომლებიც დადგმული უნდა ყოფილიყო სახელოსნოს სხვადასხვა საამქროში წარმოების გაუმჯობესების მიზნით. საწარმოო კომისიამ ეს მანქანები განაწილა საამქროებზე. მაგრამ ზოგიერთი საამქროების ადმინისტრაციამ არამც თუ გამოიყენა მანქანები, არამედ მისი მოვლა პატრონობაც კი არ მოისურვა. განვლო კარგა მა დრომ და ეს ამბავი მივიდა სათანადო ორგანოს ყურამდე, რამაც გამოაფხიზლა საამქროს ადმინისტრაცია და აამოძრავა.

ამწყობ და საკვებ საამქროების ადმინისტრაციებმა დაუწყეს ძებნა მანქანებს და ერთი კვირის ძებნის შემდეგ ძლივს მონახეს საზღვარგარეთიდან მიღებული მანქანები. მაგრამ მანქანები მაინც გამოუყენებელია.

საკვირველია! თუ მანქანები არ იყო საჭირო 1928 წლის პერიოდისათვის, რად დააბანდეს ტყუილად უბრალოდ 20.000 მანეთი, როდესაც შეიძლებოდა მანქანების გამოწერა მაშინ, როდესაც ეს საჭირო იქნებოდა!

ადმინისტრაციის ასეთი საქმიანობა არა რაციონალიზაციას, არამედ კონტრ-რაციონალიზაციას უწყობს ხელს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა გამოარკვიოს ეს საქმე და დამნაშავეს მოსთხოვოს სათანადო პასუხი.

სიკ.

—:—

მემანქანეთა ახალი კადრი

ამ ერთი წლის წინად, ა.-კ. რკ. გზების საქართველოს რაიონი მემანქანეების საგრძნობ სიმცირეს განიცდიდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოში სრულებით არ ყოფილა მემანქანეების მოსამზადებელი კურსები, რომლებსაც შეეძლოთ მემანქანეთა ახალი კადრის შექმნა და ამით მოძრაობის შეძლების დაგვარად გაუმჯობესება. თუ იყო როდისმე დაარსებული მემანქანეთა კურსები, ამ შემთხვევაში მეცადინეობა სწარმოებდა მხოლოდ რუსულ ენაზე, რის გამო რუსული ენის არა მცოდნე ზეინკალს, ან მემანქანის თანაშემწეს, არ ჰქონდა საშუალება მემანქანეთა კურსებზე შესვლისა.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია რკ. გზელთა პროფკავშირმა და გასულ წელს, რკინისგზის საგზაო პროფბიუროსთან დაარსა მემანქანეთა მოსამზადებელი კურსები ქართულ ენაზე. კურსებზე მიღებული იქნენ უმთავრესად ძველი და გამოცდილი მემანქანეების თანაშემწენი, რომლებიც კარგად იცნობდნენ მანქანის ყველა ნაწილებს და დაინტერესებული იყვნენ მის მოვლა-პატრონობაში. კურსის მსმენელები განთავისუფლებულნი იყვნენ სამუშაოდან ძირითადი ჯამაგირისა და გადამუშავების საშუალო ხელფასის შენახვით.

მსმენელებიცა და ლექტორებიც ერთგულად ეკიდებოდნენ საქმეს. ლექტორები ცდილობდნენ რაც შეიძლება გასაგები ენით წაეკითხათ თავიანთი ლექციები და საფუძვლიანად შეესწავლებინათ მუშა-მსმენელებისათვის მანქანის ყოველი ნაწილი და მისი დანიშნულება. მეცადინეობა სწარმოებდა ექვსი თვის განმავლობაში. მსმენელების გამოცდებმა დაგვანახვა, რომ მათზე დახარჯულ თანხებს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ისინი როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულადაც საკმაოდ მომზადებულები არიან.

ამას წინად, თეორიული გამოცდების შემდეგ ახალი მემანქანეები გამოსცადეს პრაქტიკულადაც. მათ ჩაუბარეს კაზანცევის მუხრუჭით მოწყობილი 90 ათას ფუთიანი მატარებელი და გაუშვეს ბათომში. როგორც აქედან, ისე იქიდანაც ახალმა მემანქანეებმა შესანიშნავად მიიტანეს მატარებლები დანიშნულ სადგურებზე.

ამგვარად ორთქლმავალების მემანქანეთა რიგებს, მიემატა კიდევ ერთი ახალგაზრდა და გამოცდილი მემანქანეთა კადრი. ვუსურვებთ ახალ ძალებს ნაყოფიერ მუშაობას.

ი. ხუციშვილი.

გამოიკვლიეთ მათი მუშაობა

კოოპერატიულ საიჯარო საბინაო № 18 ამხანაგობის საქმიანობა ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული; გამგეობის წევრები აშკარა უკანონობას სჩადიან და ამაზე ისინი არავისთან პასუხს არ აგებენ; კლარა ცეტკინის ქ., № 97-ში, რომელიც იმყოფება აღნიშნულ გამგეობის გამგებლობაში, რამოდენიმე მდგმურ შორის დიდი დავაა გამართული ბინის ირგვლივ. ამ დავის მოსაგვარებლად გამგეობამ მოიწვია კრება და გამოიტანა დადგენილება სრულიად უდანაშაულო რამოდენიმე მდგმურის სახლიდან გადასახლების შესახებ. ასე „მოაგვარა" გამგეობამ ეს დავა.

ამავე სახლში ცხოვრობდა და ეხლაც ცხოვრობს იოსებ რუხაძე, რომელიც ექვსი თვეა, რაც გადავიდა საბჭოს ქუჩა, სახლი № 77-ში, ამავე დროს კლარა ცეტკინის ქუჩაზეც უჭირავს ბინა, ეს იმ დროს, როდესაც ბინის დიდი სივიწროვეს აქვს ადგილი საზოგადოთ და კერძოთ ამავე სახლში. ასევე ითქმის კონსტანტინე რუხაძეზე, რომელიც ორი წელიწადზე მეტია, რაც თბილისში არ იმყოფება, მაგრამ აღნიშნულ სახლში კი ბინა აქვს დაკავებული. ყველა ამას გამგეობა ყურადღებას არ აქცევს,. რადგან გამგეობის რამოდენიმე წევრი, მხოლოდ თავისი პირად ინტერესებზე აგებს გამგეობის საქმიანობას. სათანადო ორგანომ უნდა გამოიკვლიოს აღნიშნულ გამგეობის მუშაობა.

ლეგ.

—:—

სიას ადარავინ ადგენს

თბ. აგურის ქარხნებში მუშაობს 800-მდე მუშა. ამათში 85 პროც. მუშკოოპის წევრები არიან. გასულ წლის ოქტომბერს, მათ მოითხოვეს მუშკოოპიდან ნისია. შესდგა ნისიის მიმღებთა მსურველების სია და გადაეგზავნა მუშკოოპის გამგეობას. ცივ ზამთარში მუშები ელოდებოდნენ მუშკოოპიდან სესხის მიღებას, მაგრამ გავიდა ხუთი თვე და მუშკოოპის გამგეობამ სიები უკან დააბრუნა ვითომ და ახალი სიების შესადგენად, გამგეობა შეპირდა მუშებს, რომ აუცილებლივ მისცემდა სესხს, მაგრამ დაპირება კვლავ დაპირებად დარჩა. სიები მესამედ შესდგა და გადაეგზავნა კვლავ მუშკოოპის გამგეობას, რომელმაც კიდევ ცივი უარით გამოგზავნა უკან და 500—600 მუშა ჩააგდო უმწეო მდგომარეობაში.

აღსანიშნავია აქ ის, რომ მუშკოოპის გამგეობამ სამჯერ მოითხოვა ნისიის მიმღებ მუშების სია და სამჯერ მოაცდინა კანტორის რამოდენიმე მოხელე ამ სიების შესადგენად, რამაც შეაჩერა მორიგი საქმეები და ალბად ზედმეტი ხარჯებიც გამოიწვია. მაგრამ გამგეობამ არც ერთხელ თავისი პირობა არ შეასრულა. ბოლოს, სიების სამჯერ შედგენის შემდეგ მუშკოოპის გამგეობა როგორც იქნა დათანხმდა აგურის ქარხნის მუშებზე ნისიის გაცემას მხოლოდ შეკერილ ტანისამოსის სახით. მაგრამ სიებს ადარავინ ადგენს. არც ადმინისტრაცია და არც კოოპერატიული კომისია თავს არ იწუხებს სიების შესადგენად და მუშკოოპში გადასაგზავნად. კავშირო, შენ მაინც მოაგვარე ეს საქმე.

უსამშობლო.

—:—

უშინაარსო კედლის გაზეთი. მე-5-თე სტამბის კედლის გაზეთის უკანასკნელი ნომერი არაფრით არ წააგავს კედლის გაზეთს. მთელი გაზეთი დაკავებული აქვს ქარხკომის საანგარიშო მოხსენებას, რომელსაც არც ერთი მუშა არ კითხულობს. ასეთი უშინაარსო კედლის გაზეთის გამოცემას არ გამოცემა სჯობდა.

სტამბელი.

მუშფაკელთა ექსკურსია. რკ. გზის მუშფაკის პროფკომი, შაბათს, 26 მაისს, აწყობს მუშფაკელთა ექსკურსიას მე-5-თე სტამბის სალინოტიპო განყოფილებაში. იგივე ექსკურსია კვირა დილით დაათვალიერებს საროტაციო მანქანას.

მუშფაკელი.

პურის ბაზრის მოწესრიგება

პასუხისგებაში მიცემულია მთელი რიგ ფურნეების გამგეები

თბილისის აღმასკომთან არსებული ვაჭრობის მომწესრიგებელი კომისია განაგრძობს მუშაობას პურის ბაზრის მოსაწესრიგებლად.

ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიამ უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში პასუხისგებაში მისცა შემდეგი პურის საცხობების გამგეები:

არტელი „ირანის" საცხობის გამგე (ბელინსკის ქ. № 24)—ცომი პურის გამოცხობისათვის; ამავე არტელის პურის საცხობის გამგე (უაზ. ქ. №17) პურის ხარისხ. გაფუჭებისათვის; ამავე არტელის პურის საცხობის გამგე (ბელინსკის ქ. № 15)—მეორე ხარისხის პურის პირველ ხარისხად გასაღებისათვის; არტელ „ინვალიდი"-ს (კომუნალური ქ. № 37) გამგე—პურის თავის დროზე გამოუცხობლობისათვის; მუშკოოპის პურის საცხობის გამგე (წყნეთის ქ. № 17)—პურის ხარისხის გაფუჭებისათვის; არტელ „ირანის" ლენინის ქუჩაზე მდებარე პურის საცხობის გამგე—ცომი პურის გამოცხობისა და პურის ცხობის წესებს დარღვევისათვის; მუშკოოპის კონტრაგენტი გორდილაძე—პურის ხარისხის გაუარესებისათვის.

აღსანიშნავია, რომ პურის ცხობის წესების დარღვევას და ცუდი ღირსების პურის გამოცხობას განსაკუთრებით ადგილი აქვს არტელ „ირანის" საცხობებში, მიღებულია ენერგიული ზომები შემდეგში პურის ცხობის წესების დარღვევისა და ცუდი ღირსების პურის გამოცხობის თავიდან ასაცილებლად.

ვაჭრობის მომწესრიგებელმა კომისიამ აგრეთვე აღმოაჩინა პურის ფქვილის სპეკულიაციის ახალი შემთხვევები, რის გამო პასუხისგებაში მისცა შემდეგი პირები: აკოფ ხჩეიანცი, რომელსაც (ივანიძის ქ. № 15) აქვს სარძევე და მუშკოოპიდან გამოტანილი ფქვილს ყიდდა ზედმეტ ფასებში; მიკირტიჩ კარაპეტიანცი—მუშკოოპიდან სხვადასხვა საშუალებებით სისტემატიურად პურის გამოტანისა და მისი ძვირად გაყიდვისათვის. (კარაპეტიანცს აქვს სანოვაგის და ხილის სავაჭრო კათოლიკების ქ. № 17); რუბენ სარქისიანი (ვაჭარი) კოოპერატივიდან ფქვილის სასპეკულიაციოდ გამოტანისათვის.

ტყვარჩელის სამუშაოთა გეგმა

ტყვარჩელში ნახშირის მარაგი უდრის 10 მილიარდ ფუთს.—სამუშაოები დაიწყება შემოდგომიდან. — ახალი ჰიდრო-ელსადგურის აგება და ელექტრონის რკ. გზის გაყვანა ტყვარჩელში.—ტყვარჩელის რაიონის მომავალი პერსპექტივები

ს. მ. უ. საბჭოსთან არსებულმა ტყვარჩელის საქვანახშირო რაიონის შემსწავლელმა კომისიამ დაამთავრა ტყვარჩელში სამუშაოთა გეგმის შედგენა. ტყვარჩელის რაიონის შესწავლა სწარმოებს 1926 წლიდან. სათანადო გეოლოგიური გამოკვლევები ჩაატარა საკავშირო გეოლოგიური კომიტეტის სპეციალისტმა გეოლოგმა მაკრინსკიმ, რომელმაც გამოარკვია, რომ ტყვარჩელის რაიონში საქვანახშირო უბნებზე არის 10 მილიარდამდე ფუთი ქვანახშირის მარაგი. ქვანახშირის ეს რაოდენობა მოიპოვება მარტო მე-2, 3, 4 და 5 უბნებზე, ხოლო ჯერ კიდევ შეუსწავლელია 1-ლი და მე-6 უბანი, სადაც ქვანახშირის ეს მარაგი კიდევ უფრო გადიდებული იქნება. გარდა ამისა გასულ წელს ჩატარდა ტყვარჩელის ქვანახშირიდან კოქსის გამოხდის ცდები. ცდები ჩატარებული იქნა როგორც საქარხნო, ისე ლაბორატორიული წესით. ცდებს ხელმძღვანელობდა კოქსის გამოხდის ცნობილი სპეციალისტი პროფ. პ. რუბინი. ცდებმა დაადასტურა, რომ ტყვარჩელის ქვანახშირი იძლევა საუკეთესო ღირსების კოქს და სამრეწველო თვალსაზრისითაც ტყვარჩელის ქვანახშირი ბევრად სჯობია დონის ქვანახშირს.

ყველა შეკრებილი მასალების მიხედვით კომისიამ დაამუშავა ტყვარჩელში სამუშაოთა დაწყების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა. მომავალი შემოდგომიდან დაწყებულ უნდა იქნეს შემდეგი სამუშაოები:

ქვანახშირის დასამუშავებელი მაღაროს ამოღება დაწყებული იქნება ოქტომბერ-ნოემბერში, მაღაროს დამუშავების გეგმას ადგენს პრ. ლ. შევიაკოვი, მაღაროს ამოღება დაიწყება მე-2 უბანზე, საიდანაც ყოველწლიურად ამოიღებენ 50 მილიონ ფუთ ნახშირს. მაღაროს სრული მოწყობა უნდა დასრულდეს ორი წლის განმავლობაში.

ტყვარჩელის რაიონში სამუშაოთა დაწყებასთან ერთად საჭიროთაა ცნობილი ახალი ნავთსადგურის მოწყობა, საიდანაც იწარმოებს ქვანახშირის გაზიდვა გემებით, ნავთსადგურის ადგილათ ამორჩეულია ქალ. ფოთი, სადაც ნავთსადგურის აგება დაჯდება 10 მილიონი მანეთით ნაკლები, ვიდრე სოხუმში ან ოჩემჩირეში. ნავთსადგურის მოსაწყობათ სამუშაოები დაწყებული უნდა იქნეს 1928-29 საოპერაციო წელში და დასრულდეს ორი წლის განმავლობაში. პირველ რიგში გადაწყვეტილია რკ. გზის გაყვანა ნახშირის დასატვირთავ ადგილას და მექანიკური გადამტვირთავი მანქანის დადგმა.

ოჩემჩირე-ტყვარჩელს შორის რკინის გზის გაყვანა დაწყებულ უნდა იქნეს მომავალი წლის გაზაფხულიდან. გზის გაყვანა სავსებით უნდა დასრულდეს 1930 წლისათვის. ზუგდიდიდან-ოჩემჩირემდე გაგრძელებულ უნდა იქნეს შავი ზღვის რკ. გზა, რომელიც უნდა დამთავრდეს ერთი წლის განმავლობაში. ერთი წლის განმავლობაში უნდა მოესწროს აგრეთვე გზატკეცილის გაყვანა ოჩემჩირედან ტყვარჩელამდე, ვინაიდან უგზოობის გამო შეუძლებელი გახდება ტყვარჩელის რაიონში რაიმე მოწყობილობათა მიზიდვა.

ტყვარჩელიდან ნახშირის მომავალი მაღაროების ადგილამდე გადაწყვეტილია ელექტრონის რკ. გზის გაყვანა 5 კილომეტრის მანძილზე. გზის გასაყვანი სამუშაოები დაწყებულ უნდა იქნეს მომავალი საოპერაციო წლიდან.

მდ. ღალიზგაზე, რომელიც ჩამოდის ტყვარჩელის რაიონში, გადაწყვეტილია აგებულ იქნეს ახალი ჰიდრო-ელსადგური, რომელიც ენერგიას მიაწოდებს როგორც მაღაროებს, ისე ელექტრონის რკინის გზას, ჰიდრო-ელსადგურის აგება უნდა დამთავრდეს 1929-30 წელში.

გარდა აღნიშნული ძირითადი კაპიტალური სამუშაოებისა, უახლოეს 5 წლის განმავლობაში გადაწყვეტილია აგრეთვე აგებულ იქნეს ნახშირის გამამდიდრებელი და სარეცხი ქარხანა და დაწყებულ იქნეს მუშათა ბინების მშენებლობა.

ბრძოლა საბინაო კრიზისთან

საბინაო კავშირის მუშაობა

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა საბინაო სამშენებლო კოოპერატიულ კავშირის მუშაობის შესახებ მოისმინა ამხ. წითაძის მოხსენება და 1926—27 საანგარიშო წელში საბინაო კავშირის მიერ ჩატარებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

საბინაო კავშირის მუშაობის გასაცხოველებლად პრეზიდიუმმა დაადგინა—საბინაო კოოპერატიულ კავშირს საბრუნავ თანხების გასადიდებლად მიეცეს 30.000 მანეთი ადგილობრივ საამშენებლო ფონდიდან.

საბინაო კავშირს დაევალა საბინაო ამხანაგობებში ჩაბას მუშებისა რაც შეიძლება მეტი პროცენტი. ამ მიზნით პრეზიდიუმმა საჭიროდ აღარა საბინაო საამშენებლო ამხანაგობების სეწევრო გადასახადი მცირე ხელფასის მქონე მუშებისათვის შემცირებული იქნეს 5 პროცენტით.

საბინაო კავშირს წინადადება მიეცა აგრეთვე მშენებლობის და ნაგებობათა ღირებულების გასაიაფებლად ჩაატაროს სამუშაოთა რაციონალიზაცია და მექანიზაცია.

დასასრულ პრეზიდიუმმა დაადგინა—დაევალოს საბინაო კავშირს გამართვის მუშათა სახლების ასაგები პროექტები და არქიტექტურა და ამავე დროს განსაზღვროს შენობათა აგების ვადები.

სახლების ჩამორთმევა

საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის ცნობებით, საქართველოს ქალაქებში არსებულ საცხოვრებელ ბინების ნგრევის გამო, რაც უმთავრესად გამოწვეულია კერძო მფლობელების მიერ სახლების მოუვლელობით, საბინაო სივრცის ყოველ წლიურად აკლდება 57.000 მეტრი.

საბინაო კრიზისის შესანელებლად გარდა ახალი სახლების აგებისა, მიღებულია გადამჭრელი ზომები არსებულ სახლების დასაცავად. ამ მიზნით საქართველოს ცაკის დადგენილების თანახმად სახლების კერძო მფლობელებს, რომლებიც თავის დროზე არ შეაკეთებენ სახლებს, სახლები ჩამოერთმევა და გადაეცემა ადგილობრივ აღმასკომებს. ჩამორთმეულ სახლებში მფლობელებს არავითარი სადგომი არ მიეცემა.

თბილისის აღმასკომის სპეციალური კომისია უკვე შეუდგა თბილ. კერძო მფლობელთა სახლების შემოწმებას, რის შემდეგ მოუვლელი და შეუკეთებელი სახლები ჩამორთმეულად იქნება გამოცხადებული.

ფართლეულობის მომარაგება

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო შეუდგა სათანადო გეგმის შედგენას სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებისა და სამკერვალო დაწესებულებათათვის საჭირო ფართლეულის მოსამარაგებლად.

ზოგიერთი ადგილობრივი სახელმწიფო და მრეწველი ორგანოები ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომ. რწმ. სამმართველოს თავის დროზე არ აწვდიან თავიანთ მოთხოვნებს, რის გამო, მას არ აქვს საშუალება აწარმოოს ფართლეულობის სწორი განაწილება და მოამარაგოს ფართლის საჭირო რაოდენობა სახელმწიფო-სამკერვალო დაწესებულებებისათვის.

აღნიშნულ ორგანიზაციების ფართლეულობით უზრუნველყოფის მიზნით, ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ წინადადება მისცა ყველა სავაჭრო ორგანიზაციებს და სამკერვალო დაწესებულებებს ამა წლის 1-ლ ივნისამდე წარუდგინონ მას თავიანთი მოთხოვნილება ფართალზე მიმდინარე წლის მე-4 კვარტალისა და 1928—29 საოპერაციო წლისათვის.

მოთხოვნილების ცხრილში ნაჩვენები უნდა იყოს, როგორც ცენტრალური სავაჭრო დაწესებულებების, აგრეთვე მისი ქვემდებარე ორგანიზაციების საჭიროება ფართალზე.

ცხრილი შედგენილი უნდა იქნეს რესპუბლიკის მასშტაბით. მაგ. ჯანსახკომი ადგენს—საავადმყოფოებისათვის, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი—მილიციისათვის, საპატიმროებისათვის განსახკომი ადგენს—ახალშენებისათვის და იმ სკოლებისათვის, სადაც ინტერნატებია. ამ-კავკასიის რკ. გზ. სამმართველო ადგენს თავისი მუშა-მოსამსახურეებისათვის (სპეცტანისამოსი), ხოლო სამკერვალო ორგანიზაციები ადგენენ თავიანთი წარმოებისათვის.

საექსკურსიო—ტურისტული მუშაობა ახალგაზრდებს შორის

საქართ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგა კავშირების ცენტრ. გამგეობებში მომუშავე ახალგაზრდობის წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც მოისმინა ამხ. მხითაროვის მოხსენება ტურისტულ და საექსკურსიო მუშაობაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ.

საექსკურსიო-ტურისტული მუშაობისათვის ხელის შესაწყობად და მის გასაფართოებლად თათბირმა საჭიროდ სცნო ყველა პროფორგანიზაციებს მიეცეს დირექტივა, რათა საზაფხულო პერიოდში საექსკურსიო-ტურისტულ მუშაობაში ჩაბმული იქნეს ახალგაზრდობის ფართე ფენები. კავშირების ცენტრ. გამგეობებში მომუშავე ახალგაზრდობის წარმომადგენლებს მიეცეს წინადადება კავშ. ც. გ. კულტგანყოფილებებთან ერთად 1-ლ ივნისამდე დაამუშაონ საექსკურსიო-ტურისტული მუშაობის კონკრეტიული გეგმები და შესათანხმებლად წარადგინონ საქართ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში. ტურიზმის და საექსკურსიო მუშაობის პოპულარიზაციის მიზნით ახალგაზრდობის შორის უნდა ჩატარდეს მოხსენებები და ლექციები ისე, რომ ახალგაზრდობა ერთდროულად ეცნობოდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას და გეოგრაფიას. აუცილებლად იქნეს ცნობილი კავშირებში შეიქმნას ტურისტულ-საექსკურსიო ფონდი, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას საკლუბო საღამოები და წარმოდგენები. იმ მიზნით, რომ ტურისტულ-საექსკურსიო მუშაობა უზრუნველყოფილი იქნეს გამოცდილი ხელმძღვანელებით, საქართველოს პოლიტგანათლების მთავარ-მმართველობის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა ხელმძღვანელთა გადასამზადებელი და მოსამზადებელი კურსების გახსნის შესახებ. საქ. პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებას ეთხოვა აგრეთვე მოაწყოს საექსკურსიო ბაზები ქალაქის მიდამოებში ჩასატარებელ ექსკურსიებისათვის სამსახურის გაწევად. შეღავათიანი სამგზავრო ბილეთები უნდა დარჩეს საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებისა და ამ. ლ. კ. კ. განკარგულებაში ახალგაზრდობისათვის კავშირთაშორისო ექსკურსიების მოსაწყობად.

ბრძოლა წყალდიდობასთან

აფხაზეთში

წყალდიდობასთან საბრძოლველად აფხაზეთში გამოყოფილი იყო საგანგებო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ადგილობრივ სამეურნეობისათვის მდინარეთა ნაპირების გამაგრების საქმეში. ამ დღეებში საგანგებო კომისიამ დაათვალიერა ადგილებზე ჩატარებული მუშაობა და გამოარკვია შემდეგი:

წყალდიდობასთან ბრძოლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მდ. კოდორის რეგულირებას. მდინარის სრული რეგულიაცია დაჯდება 200—300.000 მანეთი. 10 მარტიდან დღევანდლამდე დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული ქვის დამბების და წყალის გადასაშვებ არხების მოსაწყობად. ტექნიკური პერსონალი სტიქიასთან ბრძოლის ამოცანის სიმაღლეზე აღმოჩნდა. ამჟამად მდინარის რეგულიაცია მიღწეულია 75 პროცენტამდე. დამბების მოსაწყობად ადგილობრივ მიზიდულია 1.435 კუბ. საჟ. ქვა და წნელი. მუშაობა 90 პროცენტით შესრულებულია გლეხების შრომის ბეგარის წესით. სულ სამუშაოზე გამოსული იყო 1.200 გლეხი და 570 ურემი. მომავალში კოდორის სრული რეგულიაციისათვის დამატებით საჭირო იქნება 485 კუბ. საჟ. ქვა-წნელი, რაც ნატურალური ბეგარის გამოყენების პირობებში დაჯდება 5.000 მანეთი.

სულ ჯერ-ჯერობით მდინარეთა ნაპირების გამაგრებაზე დახარჯულია 10.200 მანეთი, შესრულებული მუშაობის ღირებულება კი უდრის 72.000 მანეთს.

საგანაკვეთო დაზღვევა

ა.-კ. უმაღლეს ეკონომ. საბჭომ მოისმინა მოხსენება სასოფლო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადის აკრეფის შესახებ.

ეკონომსაბჭო აღნიშნავს, რომ საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადის აკრეფა საქართველოსა და აზერბეიჯანში მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ვინაიდან გადასახადის ნებაყოფლობით შეტანის ვადა 31 მარტს გავიდა, რესპუბლიკანურ სახ. კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცა აღნიშნული გადასახადის და წინა წლების ნარჩენების ასაკრეფად მიიღონ სასწრაფო ზომები და იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ბოროტი განზრახვით იხდიან გადასახადს, მიმართონ იძულებითი ზომებს. გადასახადის შემოტანის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 15 ივნისი.

ამავე ხნის განმავლობაში უნდა იქნეს გამოყენებული სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის მთელი საშეღავათო ფონდი. ადგილობრივ აღმასკომებს დაევალა დაუყოვნებლივ წარუდგინონ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს ღარიბი გლეხების სიები, რომლებიც სარგებლობენ შეღავათებით.

ქრონიკა

7 საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად.

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის საკითხებთან დაკავშირებით, გუშინ საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატში შესდგა პროფესიონალური კავშირების და დაინტერესებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი.

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის საკითხების დასამუშავებლად არჩეული იქნა კომისია შრომის სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების წარმომადგენელ ამხ. ელბაქიანის, სახ. მეურნეობის უმ. საბჭოს წარმომადგენელ ამხ. ირანოვის და საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენელ ამხ. გოდაბრელიძის შემადგენლობით.

კომისიას დაევალა გადასინჯოს ფეიქართა, მელითონეთა, მბეჭდავთა, ქიმიკოსთა, გემოკვების და სხ. პროფესიათა სამუშაოები. ამ გამოკვლევათა მიხედვით დაამზადოს მასალები 7 საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად და თავისი დასკვნები წარუდგინოს მთავრობის კომისიას არა უგვიანეს მაისის დამლევისა.

დახმარება ომის ინვალიდებს

ამიერ-კავკ. მცხოვრებ ომის ინვალიდთათვის დახმარების გაწევის გასაძლიერებლად ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს საკავშირო თანხებიდან გადაეცა 135.000 მან. აღნიშნული თანხიდან 33.750 მან. დატოვებული იქნა ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს განკარგულებაში იმ პირთა დასაკმაყოფილებლად, რომელთაც იმსახურეს სამხედრო უწყებაში და გადარიცხული არიან პენსიონერებად. დანარჩენი თანხა 101.250 მან. რაოდენობით განაწილებული იქნება რესპუბლიკათა შორის იმის მიხედვით, თუ რომელ რესპუბლიკაში რამდენი ომის ინვალიდი, მათი ოჯახი და ომში დაღუპულთა ოჯახი ცხოვრობს. საქართველოს სახკომსაბჭოს გადაეცა—40.750 მანეთი, აზერბეიჯანის სახკომსაბჭოს 46.300 მან და სომხეთის სახკომსაბჭოს—14.200 მანეთი.

ტუბერკულიოზთან ბრძოლის საკავშირო ყრილობა

ამას წინად მოსკოვში შესდგა ტუბერკულიოზთან ბრძოლის სრულიად საკავშირო ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის თათბირი. თათბირზე საქართველოდან მონაწილეობას ღებულობდა ჯანსახკომის წარმომადგენელი ექ. ლ. ნაზარეტიანი, რომლის გადმოცემითაც ყრილობის მოწვევა გადადებულია 15 სექტემბრისათვის.

ტუბერკულიოზთან ბრძოლის საკავშირო ყრილობის ადგილად დანიშნულია თბილისი, სადაც ყრილობის გახსნამდე 4 დღით ადრე ჩამოვა ყრილობის მომწვევი საკავშირო ბიურო. ყრილობის მუშაობა თბილისში გასტანს ერთი კვირა. ყრილობაზე ჩამოსვლის სურვილი განაცხადეს უცხოეთის მთელმა რიგმა მეცნიერებმა.

თათბირი სოფლად საექიმო პერსონალის მუშაობის საკითხებზე

კვირას, 27 მაისს, დილის სრულ 9 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში, სოფლისა და ქალაქის დამაკავშირებელი თბილისის საზოგადოება იწვევს საზოგადოების წევრ—საექიმო პერსონალის თათბირს, უჯრედების თავმჯდომარეებთან ერთად.

თათბირზე ამხ. ფრანგულიანი გააკეთებს მოხსენებას ჯანსახკომის მუშაობის შესახებ, რის შემდეგ თათბირი განიხილავს სოფლად საექიმო პერსონალის მუშაობის ამოცანებს.

თათბირზე მოწვეული არიან საზოგადოების არა წევრი (საექიმო დარგის) მუშაკებიც.

ამხ. ნედაჩინის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული ვეტერინარული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნედაჩინი. მისი ჩამოსვლის მიზანია ამიერ-კავკასიაში სავეტერინარო საქმის გაცნობა და საქონლის ეპიზოოტიასთან ბრძოლის ახალი წესის შემოღება.

ახალი სანატორიუმები

აბასთუმანში თავდება ამიერ-კავკასიის სოც. დაზღვევის მთავარ სამმართველოს ახალი სანატორიუმის აშენება. სანატორიუმის აგება გრძელდება 2 ნახ. წელიწადი. სანატორიუმი აგებულია იმ ადგილას, სადაც წინად იყო ყოფ. მიხეილის სასახლე, და იგი დაიტევს 150 ავათმყოფს. სანატორიუმის გახსნა მოხდება მიმდინარე წლის ოქტომბერში.

სოცდაზღვევის მთავარი სამმართველო შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას დიდი სანატორიუმის ასაგებად დელიჟანში. სანატორიუმში იქნება 120 საწოლი.

დამატებითი მატარებელი

კვირას, 27 მაისს, თბილისიდან მცხეთამდე დანიშნულია დამატებითი მატარებელი № 50—51.

დამატებითი მატარებელი თბილისიდან გავა დილის 9 საათზე და 50 წუთზე და მცხეთიდან დაბრუნდება საღამოს 5 საათზე (ადგილობრივი დროით).

სამკურნალო მცენარეების მოშენება

ბათომში დაარსდა სამკურნალო მცენარეების მომშენებელი არტელი, რომელიც წელს სამკურნალო მცენარეებს გააშენებს მწვანე კონცხზე, ჩაქვაში და ციხის-ძირში. არტელს გადაწყვეტილი აქვს გააშენოს ქინაქინის ხეებიც.

ფოსტა კურორტებზე

ა. კ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ სამკურნალო სეზონის გახსნის შემდეგ სამმართველო დაიწყებს საფოსტო და კავშირით გამბულობის ოპერაციებს საქართველოს, სომხეთის, აფხაზეთის და აზერბეიჯანის ყველა კურორტებზე.

აღნიშნულ კურორტებზე მოთხოვნილების მებრ გაძლიერებული იქნება საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო მუშაკთა შტატი.

თბ. აღმასკომში

◆ **აგარაკი აბულაძე.** აბულაძის ადგილობრივ მნიშვნელობის აგარაკად გამოცხადების გამო, საკურორტო სექცია შეუდგა მის კეთილმოწყობას.

◆ **პატარა საავადმყოფოები.** ჯანმრთელობის განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს მაზრის მოზრდილ თემებში არსებული საექიმო პუნქტები გადააკეთოს პატარა საავადმყოფოებად.

◆ **ტყე.** სატყეო სექციამ გადასწყვიტა აგარაკ წყნეთში გააშენოს ახალი ტყეები.

◆ **ზოოლოგიურ ბაღის** ნაწილი გაიხსნება მიმდინარე წელს.

სხვადასხვა

◆ **რადიო-მოყვარულთა** საზოგადოებასთან გაიხსნა ბიბლიოთეკა.

◆ **თათბირი.** პროფსაბჭოს მცირე დარბაზში 31 მაისს გაიხსნება ფაბრიკა-ქარხნებთან არსებულ კოოპერატიულ კომისიების რწმუნებულთა თათბირი.

◆ **სტენოგრაფისტების კრება.** 28 მაისს საღამოს 6 ს. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირი იწვევს სტენოგრაფისტების საერთო კრებას.

◆ **დოღი.** ხვალ დილის 1 ს. იპოდრომზე გაიმართება დოღი.

ხელოვნება

მოსკოვის მცირე თეატრი

„იაროვაიას ქალი" ტრენევის

„იაროვაიას ქალი" ქრონოლოგიურათ და არსებითადაც პირველი უარყოფა იყო სქემატიური და უხილოსხლო აგიტკების. დრამატურგიულათ ის წარმოადგენს მთლიან პიესას, სადაც დაჭერილია ყოველი მომენტი რევოლუციის ყოფა-ცხოვრების; თუ აგიტკების უარყოფით თვისებათ სხვათშორის მათი ტენდენციურობა ითვლებოდა „იაროვაიას ქალის" დამახასიათებელი მომენტი სწორედ ამ ტენდენციურობის უარყოფაში მდგომარეობს; მაქრით სპეკულიანტი, წვრილ ვაჭარსა, მოვდელსა და უნიათო პროფესორის გარდა აქ წარმოდგენილია თავდადებული მეგზებული რევოლუციონერი (კომუნისტი კომკინი), ბავშური გულწრფელობით სავსე მატროსი შვანდია, რომელიც ყველაფერს „მსოფლიო მასშტაბით" ზომავს, რევოლუციონერი მასწავლებელი ქალი იაროვაია და პარტიაში შემძვრალი შკურინკის ტიპი. აქ საზგასასმელი ის გარემოება, რომ მათი ურთიერთობის ფონი რევოლუციისთან სხვადასხვა დამოკიდებულებაა, მაშასადამე წმინდა პოლიტიკური მოტივი, მაგრამ ამასთან ერთად გაშლილია აგრეთვე თავისებური რომანტიული ლირიზმის შტრიხებიც. მშრალ და სქემატიურ აგიტკების შემდეგ „იაროვაიას ქალი" აუცილებლად დიდი მოვლენა იყო, რისთვისაც მას ისეთი რეზონანსი ჰქონდა მაყურებელში, როგორიც დღეს აქვს ლავრენევის „რღვევას". რევოლიუციონურ პიესის შეჭრა მცირე თეატრის დახავსებულ კონსერვატიულ კედლებში—აუცილებლათ დადებითი ფაქტია. მაგრამ „იაროვაიას ქალის" თბილისის სცენაზე ისეთი დადგმა, როგორიც ჩვენ ეს ვნახეთ 24 მაისს, ერთგვარ კრიტიკას ვერ უძლებს: პირდაპირ აუტანელი იყო ამ პიესის გაფორმება" ხალტურული პროვინციალიზმი და თბილისის მაყურებლის „უპარდონოთ" აბუჩათ აგდება—აი როგორ შეიძლება დახასიათდეს ეს „გაფორმება". მცირე თეატრს ავიწყდება ის გარემოება, რომ თბილისის მაყურებელი გაიზარდა კულტურულათ, რომ ის იცნობს კამერულ თეატრის, მეიერხოლდის და სამხატვრო თეატრების კულტურას.

შესრულებაშიც ჩანდა ეს პროვინციალიზმი: ცუდი იყო პორუჩიკ იაროვოის შემსრულებელი: მან ოდნავათაც ვერ შესძლო მოეცა ტიპი ოფიცრის, რომელიც თავის კოლეგებზე ჭკუით უფრო მაღლა სდგას და რომელსაც ორგანიულად, პირდაპირ ზოოლოგიურათ სძულს ბოლშევიკები. სუსტი იყო პერესლენი იაროვაიას ქალის როლში: მტკიცე და სპეტაკ რევოლუციონერი მან აქცია რაღაც მოსენტიმენტალო „რევოლუციონერ" ქალათ. არაფრით არ ვარგოდა პოლკოვნიკის შეფუდელი: უნიათოთ იყო გაკეთებული მასიური სცენები, კარგი იყვნენ სადოვსკი, კლიმოვი, (პირველი კომკინი, მეორე მაქრით სპეკულანტი) და გოგოლევა.

ყველაზე უფრო განირჩეოდა სტ. კუზნეცოვი. მისი შვანდია პირდაპირ გენიალურია ყოველი ფრაზა, ყოველი ჟესტი, ყოველი მიმიკა ეს არის აბსოლიუტური მხატვრული სისწორით გადმოშლა იმ სულისკვეთების, რომლებსაც განიცდის ახალგაზრდა გულუბრყვილო, უსწავლელი, მაგრამ მტკიცე მატროსი—კომუნისტი. მისი ერთი სიტყვა «виноваат» —, ეს მთელი ხელოვნებაა, თავისებური ეკსპრესიით მოცემული ფრაზა «вполне сознательный в мировом масштабе» — ეს უდიდესი აღმოჩენაა სიტყვაში გულუბრყვილო ექსპრესიისა. კუზნეცოვმა დაიპყრო მთელი აუდიტორია, უფრო სწორათ: მან დაიმონავა მაყურებელი დარბაზი.

დიდი ხანია თბილისს არ უნახავს ასეთი გენიალური მსახიობი, არა თუ თბილისის რუსულ თეატრალურ სინამდვილეში, საერთოდ მას მხოლოდ კონკურენტათ მ. ჩეხოვი თუ ჰყავს. კუზნეცოვის ყოველი გამოსვლა დღესასწაულის განწყობილებას ჰქმნიდა აუდიტორიაში: მისი ყოველი სიტყვა იწვევდა თავდავიწყებითი სიხარულის ემოციებს, მისი ყოველ მიმიკა—გულწრფელ სიცილს, მისი ჟესტები—სიყვარულს ლამაზ გულუბრყვილობისადმი.

სავასტროლო მოგზაურობას დაეკარგება ყოველი აზრი, თუ მცირე თეატრმა არ მიაქცია მეტი ყურადღება პიესების გაფორმების საკითხს. კუზნეცოვი მათ ყოველთვის ვერ უშველის. რევოლიუციონური პიესაც დაჰკარგავს თავის სიძლიერეს თუ ის შესაფერ სცენიურ გამოსახულებათა საშუალებებში არ იქნა მოცემული; ამისათვის კი საჭირო იყო მცირე თეატრს ჩამოეტანა მოსკოვიდან სხვა თეატრების მზგავსი საჭირო დეკორატიული მოწყობილობანი.

ა.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მცირე თეატრის მიერ** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „იდიოტი".

◆ **საღამო-სეირნობა.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების ბაღში დღეს გაიმართება დიდი საღამო-სეირნობა.

◆ **სიმფონიური კონცერტები.** მუშათა ახალ კლუბში დღეს გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

◆ **მუშათა თეატრში** დღეს და ხვალ გაიმართება წარმოდგენა მოზრდილ ბავშვებისათვის. ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება: „რობინ გუდ".

◆ **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** კვირას, საღ. 7 ს. ხელოვანთა სასახლეში შესდგება კომკავშირელ მწერალთა მორიგი ლიტ. კრება.

◆ **შ. ქიქოძის სურათების გამოფენა.** კვირას, 27 მაისს, ქართველ მხატვართა საზოგადოების დარბაზში გაიხსნება მხატვარ შალვა ქიქოძის სურათების გამოფენა.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** კვირას შესდგება ხორეოგრაფიული საღამო-კონცერტი.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

პირველი ტირაჟი

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის პირველი ტირაჟი შესდგება განჯაში პირველ ივნისს და ქუთაისში 14 ივნისს. განჯაში გათამაშებულ იქნება მე-17 სერია, ხოლო ქუთაისში 51-ე სერია. (საქართველოში გასაღებულია უმთავრესად 51 სერია).

სატირაჟო კომისიის შემადგენლობა

პირველი ტირაჟის ჩასატარებლად თვითეულ რაიონისთვის (განჯა-ქუთაისი) შესდგება სპეციალური კომისია, რომელშიაც შევლენ: თავმჯდომარეთ—ცაკის პრეზიდიუმის წევრი ან ცაკის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეთ—საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებული, რომელიც მივლინებულია ა.-კავკასიაში სპეციალურად ტირაჟზე დასასწრებლად, ადგილობრივი ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელი, სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელი და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი. წევრებათ: მაზრის საფინანსო განყოფილების, რედაქციის, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის, წითელი არმიის, შემნახველ სალაროების, სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლები და 10 გლეხი დელეგატი.

რატომ ეწყობა ტირაჟები რაიონებში

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ფინ. სახ. კომისარიატის რწმუნებული ამხ. არეფიევი, რომელიც მივლინებულია გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის პირველ ტირაჟებზე დასასწრებლად განჯასა და ქუთაისში.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რატომ ეწყობა ტირაჟები იმ რაიონებში, სადაც გასაღებულია ესა თუ ის სერია—ამხ. არეფიევმა განაცხადა:

— გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი, პირველი სესხია, რომელშიაც ჩაბმულია საბჭოთა კავშირის გლეხების დიდი ნაწილი და რომლის საშუალებითაც გლეხობამ გადასცა სახელმწიფოს თავისი მონაგარი სოფლად სოციალისტური აღმშენებლობის გასაფართოებლად.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაცია დამთავრდა ძალიან მოკლე ვადაში. სამ თვეში და ამჟამად მთელი კავშირის ტერიტორიაზე არ დარჩა არც ერთი მივარდნილი კუთხე და სოფელი, სადაც გლეხებს არ ქონდეთ შეძენილი ამ სესხის ობლიგაციები, მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ობლიგაციები შეძენილი აქვთ 12—15 მილიონ გლეხს.

ეს გარემოება ავალებს საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოთა საზოგადოებრიობას და კერძოდ ფინანსიურ აპარატს უფრო თვალსაჩინო გახადოს გლეხობისათვის სახელმწიფო სესხების სარგებლიანობა, რომ მომავალში გლეხობა მეტის ნდობით და ინტერესით მოეკიდოს სახელმწიფო სესხს და შესაძლო გახდეს მომავალში გლეხის მონაგარის უფრო ნაკლები საორგანიზაციო ხარჯებით მოზიდვა სახელმწიფო მშენებლობისათვის. ამ მუშაობამ გლეხობა უნდა დაარწმუნოს, რომ ყოველგვარი სარგებლიანობა (მოგება, სარგებელი, მოგებულ თანხით სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეძენა რიგს გარეშე და სხვა), რომელიც ხელისუფლებამ აღუთქვა სესხის რეალიზაციის დროს, ნამდვილად ეძლევა გლეხობას სრულად და ვადაზე.

ვინაიდან უმთავრეს ინტერესს სესხში შეადგენს მოგება, გლეხობას უნდა ვაჩვენოთ, თუ როგორ სწარმოებს მოგებათა გათამაშება მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ამიტომ სესხის პირველ ტირაჟს ვაწყობთ კავშირის სხვადასხვა პუნქტებში, იმის მიხედვით, თუ რომელ რაიონში რომელი სერია არის გასაღებული. ამიერ-კავკასიაში გასაღებულია მე-17 და 51-ე სერიები. მე-17 სერიის პირველი ტირაჟი დანიშნულია განჯაში, ხოლო 51-ე სერიის ტირაჟი ქუთაისში. თითოეულ ტირაჟში გათამაშებული იქნება 1386 მოგება 87.500 მანეთის რაოდენობით. ამ ტირაჟებში მოგება ხვდება 5—6 ათას გლეხს, ვინაიდან უნდა ვიფიქროთ, რომ გლეხებს შეძენილი აქვთ არა მთელი ობლიგაციები, არამედ ობლიგაციების ნაწილები და მაშასადამე მოგებათა რაოდენობაც რამდენჯერმე გაიზრდება. ტირაჟები საშუალებას აძლევს გლეხობის მეტ რაოდენობას პირადათ დაესწროს ტირაჟს.

თვითეული ტირაჟი გასტანს ოთხ დღეს. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ხნის განმავლობაში ტირაჟს დაესწრება დიდძალი გლეხობა და თავისი თვალით ნახავს, რომ მათი ინტერესი უზრუნველყოფილია. ამრიგად, რაიონებში მოწყობილი ტირაჟი გლეხობაში განამტკიცებს სახელმწიფო სესხების პოპულარობას.

სასამართლო

„უიღბლო“ კოოპერატივი

„ზოეც“-ის № 9 დუქანს უსათუოდ ჯილდო ეკუთვნის! ქვეყანა სჯავგნიდა, ქვეყანა ფეთქნიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც მოიტანა თავი დღემდე.

ვაშა მის გამძლეობას!..

ჯერ ამ დუქნის გამგე იყო ვინმე ვორონოვი, რომელსაც—არ ვიცით, რატომ—აღმატებს მის ცეს და სხვაგან გადაიყვანეს. ანგარიშების გასწორების დროს, ვორონოვს 900 მანეთი აღმოაჩნდა დანაკლისი, რაც სხვადასხვა თანამშრომლების ქურდობას მიაწერეს.

მოვიდა ახალი გამგე სტეფანოვი, რომელიც სანამ ახალი იყო „კარგად ჰგვიდა“ ხოლო როცა შეძველდა „ქვიშა მოატანა ცოცხს“ და სალაროდან „გამოჰგავა“ 4.000 მანეთი.

სტეფანოვი დააწინაურეს გამასწორებელ სახლში.

მოვიდა კიდევ ახალი გამგე ეგიშ ეგიკიანი. ეგიკიანი ყველაზე უფრო ყაჩაღური კაცი აღმოჩნდა. ქეიფი და დროს ტარება უფრო იზიდავდა, ვინემ დუქანში მიღებულ საქონლის შეტანა სათანადო დავთრებში, აწონვა და თვალყურის დევნება ვაჭრობისათვის.

მიღებულ საქონელს ისე გაუძახებდა საწყობში, რომ ხელსაც არ შეახებდა, აწონვას რომ თავი დავანებოთ! დროს არ ჰკარგავდა ამისთვის. საქმიანად მიეჩქარებოდა.

ასე „იმუშავა“ ეგიკიანმა 1925-დან გასულ წლამდე და კოოპერატივს შემატა 2676 მანეთი ზარალი, რომელშიაც არ შედის ავანსი, რომელიც ეხლაც მასზე ირიცხება.

ეგიკიანი პასუხისგებაშია მიცემული, საქმეს გაარჩევს თბილისის მაზრის სასამართლო.

გადასახადს გაურბოდენ

დღეს მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი) მოხდება საჯარო გასამართლება იმ პირების, რომლებიც განზრახ გაურბოდენ გადასახადებს და ყალბ ცნობებს აწვდიდენ საგადასახადო ორგანოებს მათი სავაჭრო ბრუნვის შესახებ.

საბრალმდებლო სკამზე სხედან ვაჭრები არუთინ ვართიკიანცი, გრიგოლ ჩომახიანცი, კარაპეტ ვართიკიანცი, ტიპურიანცი და სხვ.

გასამართლებაზე დასწრება შეიძლება ბილეთებით.

გაფლანგვა

ნიკოლოზ ივანესძე ქურხული მსახურობდა მუშკოოპის ხორცის სავაჭრო მაღაზიაში პასუხისმგებელ გამგედ გასული წლის დეკემბრიდან ამ წლის იანვრამდე.

გამგეს „შემოეხარჯა“ 433 მანეთამდე და თავი ამოჰყო გამასწორებელ სახლში.

სასამართლომ ქურხულს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით.

გრძნობას ვერ იმორჩილებს

— მე ვერ ვურიგდები ასე გაბითურებას. მაგის გულისთვის წინანდელი ცოლ-შვილი მივატოვე, სამუდამოდ დაუკავშირე ჩემი ცხოვრება, მან კი მიღალატა და მიმატოვა. ამ ნიადაგზე ნერვიულობა დამჩემდა... ვღელდები, როცა ვინმე მამაკაცს დავინახავ ჩემს ყოფილ ცოლთან,—ლაპარაკობს პეტრე მარგიანი სასამართლოში.

საქმე შემდეგშია. პეტრეს ხშირად უკმაყოფილება ჰქონდა თავის ცოლთან კრიმსკაიას ქალთან.

ქალმა ვერ აიტანა ასეთი მოპყრობა და განშორდა ქმარს.

ერთ დღეს პეტრე შეუვარდა თავის ყოფილ ცოლს ოთახში და მაგრად მიბეგვა. ქალის სტუმრებიც არ დაზოგა და სულ ყველანი იფრინა ოთახიდან.

მარგიანი დააპატიმრეს, საქმე გაარჩია პირველ უბნის სახალხო სასამართლომ.

პეტრე მარგიანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი თვით, რაც შეეცვალა პირობით ერთი წლის ვადით.

გამფლანგველის თანაშემწე

მარტო გამგეს როდი ჰყავს თანაშემწე! მსხვილ გამფლანგველსაც ესაჭიროება ასეთი, რომ უფრო ადვილად გაიტაცოს ფული სალაროდან.

სწორედ ასეთი თანაშემწე გაასამართლა მეორე უბნის სახალხო სასამართლომ.

საქმე შემდეგშია. 1926 წელს ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატში აღმოაჩინეს გაფლანგულ 7.000 მანეთამდე. გამფლანგველი ბუხჰალტერი ბაგურჩენკო მიიმალა.

ცოტა ხნის შემდეგ მიაკვლიეს იმავე უწყების თანამშრომელს კონსტანტინე ლედნიჩენკოს.

გამოირკვა, რომ ლედნიჩენკოს გამფლანგველ ბუხჰალტერის დავალებით სალაროდან არა ერთხელ გამოუტანია საზიარად ფული. ბუხჰალტერი აძლევდა ლედნიჩენკოს ცნობას, რომ მას ერგება სალაროდან ამდენი და ამდენი. რასაკვირველია, არაფერიც არ ერგებოდა, მაგრამ რაკი ის მთავარ გამფლანგველს ნამუსს უნახავდა, არც მას სტოვებდა უპატივცემულოდ უკანასკნელი.

გამფლანგველის თანაშემწეს ლედნიჩენკოს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და 6 თვით.

ზურ.

შემთხვევები

საქონლის გატანა ყალბი ჩეკებით

უკანასკნელ ხანებში მუშკოოპის მე-9 მაღაზიიდან ვიღაც ბოროტმოქმედს ყალბი ჩეკებით სისტემატიურად გაჰქონდა საქონელი. მუშკოოპის გამგეობამ ამის შესახებ აცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გამოარკვია, რომ ბოროტმოქმედებას ეწეოდა თედორე ქოშვარიძის ძე ცინცაძე და კოტე დავითის ძე გელიაშვილი. ორივე დაპატიმრებულია.

თავის მოწამვლა

გუშინწინ, ღამით ნიშადურის სპირტით თავი მოიწამლა სტეფანია სტანისლავის ასულმა კონტონმა (მცხ. 25 თებერვლის ქ. № 19). კონტონს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. თავის მოწამვლის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნება.

გამოტყუება

გუშინ, დღისით ვიღაც ბოროტმოქმედმა სოფ. გურჯაანიდან (სიღნაღის მაზრა) ჩამოსულ გლეხს—სოსია ქადაგიშვილს აფერისტული გზით გამოსტყუა ერთი ფარაჯა და 4 ვედრო ღვინო.

მტკვარში გადავარდნა

გუშინ, დღისით თავის დახრჩობის მიზნით მტკვარში გადავარდა ნიკოლოზ რომანის ძე კობახიძე (მცხ. ორთაჭალის ქ. № 3). კობახიძე დახრჩობას გადაარჩინეს.

ტრამვაის მოძრაობის განახლება

გუშინ, დილიდან განახლდა ტრამვაის ნორმალური მოძრაობა საბჭოთა ქუჩაზე.

ქურდობა

გუშინ, ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილი ქურდობის 4 შემთხვევას, დაპატიმრებულია ორი ქურდი.

ფიზკულტურა

შეჯიბრებები ფეხბურთში

კვირას, 27 მაისს, „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების უკანასკნელი კალენდარული შეჯიბრი. თამაშობენ გემი-კავების მუშაკების და საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების გუნდები. შეჯიბრი დაიწყება ნაშუადღევის 3 საათზე.

იმავე დღეს იქვე, საღამოს 5 საათზე, თამაშობენ „ორსრაიონი“ და სატყეო მრეწველობის ტრესტის გუნდი. მატჩი ამხანაგურია.

პირველობის გათამაშება კალათბურთში

კალათბურთის გაზაფხულის სეზონის პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას იღებს ქალების ხუთი გუნდი (ვაჟების გუნდები მიმდინარე სეზონში არ თამაშობენ, რადგან თითქმის ყველა კალათბურთელი იმავე დროს მძლეოსანიც არის და ყველა ისინი ემზადებიან სრულიად საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულისათვის, ვაჟების გუნდების პირველობის გათამაშება მოეწყობა შემოდგომაზე): „მედსანშრომა“, რკინის გზის მეორე გუნდი, „სინათლე“, „საბჭოთა მუშაკები“ და „დინამო“.

უკვე ჩატარებულია შემდეგი შეჯიბრები: „მედსანშრომა“—რკინის გზის გუნდი (19:5 „მედსანშრომის“ სასარგებლოდ), „სინათლე“—„საბჭოთა მუშაკები“ (26:20 „სინათლეს“ სასარგებლოდ), „სინათლე“—„მედსანშრომა“ (9:9) და „დინამო“—რკინის გზის გუნდი 38:5 „დინამო“-ს სასარგებლოდ).

კვირას, 27 მაისს, ლენინის სახელობის სტადიონზე თამაშობენ „მედსანშრომა“—„დინამო“; დასაწყისი 5 საათზე. უკანასკნელი შეჯიბრი გაიმართება სამშაბათს, საღამოს 5 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე, თამაშობენ „საბჭოთა მუშაკები“ და „დინამო“.

სრულიად საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულზე თბილისის მხრიდან მონაწილეობას მიიღებს ვაჟების გუნდი „სინათლე“, რომელმაც ზამთრის სეზონის პირველობა აიღო თბილისში.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 26 მაისი

დღეს, 26 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

ოთხწლიანი შრომის სკოლების საზაფხულო დავალებანი და წლიური ანგარიში—მოხსენება ქართულ ენაზე.

მორზეს ანბანი—განმარტებები ქართულ ენაზე.

გაზ. „ახალი სოფელი“—ქართულ ენაზე.

პოლიტიკური მიმოხილვა—ქართულ ენაზე.

საბჭოთა კავშირი მტრული სახელმწიფოების გარემოცვაში—მოხსენება რუსულ ენაზე.

რაციონალიზაცია დასავლეთ ევროპაში და ჩვენში—მოხსენება სომხურ ენაზე.

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კვირეული ცხრილის გადაცემა—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენებების შუა შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 26 მაისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ პროფესიის უმუშევართ: კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ეკატერინე წირქვაძე; შალვა ბერაძე, ილია ბირთველაძე, ანნა არუთინოვა; ალექსი შაბანოვი; თემურ რიზაევა, რაფაელ მალაევი; სერგეი ზალანოვი; პავლე მუხინი; და ერვანდ ტერ-აკოპოვი. გაუწვრთნ. მუშაკთა მეორე სექციიდან: ნინო ცხომელიძე; მიხეილ შენგელია; ნიკოლოზ ავაზაშვილი; ერისტო ლობჟანიძე; რაისა რატაისკაია; ეკატერინე დიაგენკო; მიხეილ არაქელოვი; ილარიონ ხარბედია; ისაკ კუპრავა; ელისაბედ ლომთაძე; პეტრე კალანდარიშვილი; არტემ ბელოიანი; ოგანეს კაზარიანი; სვიმონ ცირღილაძე; სიმონ ზამში; ალექსი პოლოსოვი, პარიჯენ რომბაქიძე; ვასილ მაისურაძე; აკაკ ავაქოვი; ალექსი მარტიროსოვი; მიხეილ გულიევა; არტემ ავთანდილოვი; მიხეილ შენგელია; ლევან პოლოსიანი; პ. გნილოვიჩი; კონსტანტინე მუჯირია; ვერა მზეიძე; ნიკოლოზ ხუხუნაშვილი; სპირიდონ თვაური; სოფიო მელიქოვა; შავ მუშათა მესამე სექციიდან: თედო ციხელი; იოსებ მუსერიძე; მელიტონ კალმახელიძე; ტიმოთე გოგლიძე; მიხეილ მეტრეველი; სპირიდონ თვაური; სოფიო მელიქოვა; ოლღა ამბერგი; ემილია მიჩკა; თეკლე დევიშინა; ისიდორე ხარატიშვილი; რიზა კარაპეტოვა; მარიამ ჯავახიშვილი; ოლღა დანელია; ბარბარე ნებიერიძე; სოფიო კომენსკაია; ნიკოლოზ ხერხაძე; ფირუზოვა; სიმონიანცი; გაგინოვა; კონოვალოვა; კარაპეტოვა; მარიამ პეტრიაშვილი; ნინო პაპინოვა და სოფიო თვალნესოვა.

იურიდიული დახმარება

სამსონ ნიკოს ძე რურუას

კითხვა

სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელმაც განიხილა დავა სახლის შესახებ ჩემსა და ჩემი ორი ძმის შორის, თვითეულ მონაწილეს მისჯილი აქვს სახლის ერთი მესამედი წილი და ამასთანავე მხარეებს აქვს მინიჭებული უფლება დაიხსნან ერთიმეორისაგან შენობა შეფასებით. სახლის გაყოფის ვადა დანიშნული იყო 1926 წლის სექტემბრის 15. ვადა გავიდა, მაგრამ ჩემი მონაწილეები არც მე მაძლევენ და არც თვითონ იხსნიან სახლს. როგორ მოვიქცე, რომ ჩემი წილი სახლი მივიღო?

პასუხი

1. გაქვთ უფლება წარადგინოთ დეპოზიტად სანოტარო კანტორაში სახლის ორი მესამედის ღირებულება და ითხოვოთ სასამართლოში სარჩელის წესით, რათა ცნობილ იქნეს თქვენი საკუთრება მთელ სახლზე მის დანგრევისა და წაღების უფლებით.

2. თუ ეს არ გსურთ, თქვენ შეგიძლიათ სასამართლოს წესით მოითხოვოთ საერთო სახლიდან თქვენი წილის ნატურად გამოყოფა, და თუ ეს შესაძლებელი არ არის, მესამედი წილის ღირებულების მიცემა.

ღამის მომუშავეებს

კითხვა

შეგვიძლია თუ არა მივიღოთ 1924 და 1925 წლებში გაწეული ზედმეტი ნამუშევარის ხელფასი?

პასუხი

1924-სა და 1925 წლებში გაწეული ზედმეტი სამუშაოს ხელფასის მიღების მოთხოვნის ვადა გასულია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

კომუნალურ განყოფილებათა მიერ სავაჭრო სადგომების საიჯარო ქირის გადახდის ვადის გადაცილებისათვის დაწესებული საურავის უკიდურესი რაოდენობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი რაოდენობა საურავისა სავაჭრო სადგომების საიჯარო ქირის გადახდის ვადის გადაცილებისათვის:

ა) სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებისა, პროფესიონალური ორგანიზაციისა და კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებისათვის—0,1 პროც. რაოდენობით დღეში;

ბ) სამეურნეო ან კომერციულ ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსათვის, აგრეთვე კოოპერატიული ორგანიზაციისა და შერეული საზოგადოებისათვის—არა უმეტეს 0,25 პროც.-სა დღეში.

გ) კერძო პირებისათვის (ფიზიკური და იურიდიული)—არა უმეტეს 0,8 პროც.-სა დღეში.

შენიშვნა. საურავის საერთო თანხა ყველა შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ნარჩენის რაოდენობას 100 პროც.

2. დადგენილება ესე გავრცელდება საიჯარო ურთიერთობის ყველა შემთხვევაზე, იმის მიუხედავად, თუ რა ფორმაშია იგი ჩამოყალიბებული, სხვათა შორის იჯარა ხელშეკრულებაზედაც, რომლითაც გათვალისწინებულია საურავის უფრო დიდი რაოდენობა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. იანვრის 31.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი ატყობინებს, რომ დღეს, 26 მაისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში მოწვეულია რაიკომის გაფართოებული პლენუმი არსრაიონის უჯრედთა ბიუროების წევრებთან ერთად.

რაიკომის წევრ-კანდიდატების და არსრაიონის უჯრედთა ბიუროების წევრთა დასწრება აუცილებელია.

საქართველოს ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ სამშაბათს, 29 მაისს, საღამოს სრულ 5 საათზე ქალაქის აღმასკომის სხდომების დარბაზში გაიხსნება ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მორიგი მესამე პლენუმი.

თბილისის კომიტეტის პლენუმის წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

იოსებ იმედაშვილი შვილებითურთ—შალვა, გაიოზ, თამარ, ქეთევან, ნინო და ფარნაოზ—აცხადებს, რომ დაუვიწყარ მეუღლის და დედის სახალხო თეატრის ერთი მუშაკთაგანის

ანნა ნიკოლოზ ქურულის ასულის იმედაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად, კვირას, მაისის 27-ს, საათის 12-ზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2476 2—1

დამწუხრებულნი მარო, ბესარიონი, გიორგი, მელქისედეკ, სიკო, ბორისი, შუშანა, ვენერა, ვლადიმერი, კუკური დიდებიძეები, მენიკო, სოლომონი, ლოლია, ეგნატე ანდღულაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფასი სიძის, ძველი ბოლშევიკის.

თეოფილე ბეჟანის ძე ჩიჩუას

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი კვირას 27 მაისს 1-ლ საათ. ვერის ახალ სასაფლაოზე. 2470

სამუდამოთ გაუბედურებულნი მშობლები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ

ნადეჟდა მიხეილის ასულ ანანჩენკოს
და მისი პატარა ქალიშვილის **თამრიკოს**

ხსოვნის აღსანიშნავად ქალ. თბილისში ძველი ვერის სასაფლაოზე ა|წ. 27 მაისს კვირას საღამოს 6 საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2468

დამწუხრებულნი: დედა ზინობი, და ნინა, ძმა ივანე მჟავიები, დათიკო და ელგუჯა ქარაბაკები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ტასო გაბრიელის ასული მჟავია

გამოსვენება შაბათს, 26 მაისს, 4 საათზე, რკინის-გზის საავადმყოფოდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2459 2—2

თინა და ლეო თიკანაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი დეიდას

ტასო გაბრიელის ასული მჟავიას

გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს, 26 მაისს, დღის 4 საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან. დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე. 2461—2—2

ექიმი ნინა მჟავია მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 23 მაისს, გარდაიცვალა მისთვის დაუვიწყარი და ძვირფასი და

ტასო გაბრიელის ასული მჟავია

გამოსვენება—26 მაისს ნაშუადღევის 4 საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2460

მწუხარებაში მყოფნი შვილები: ვასო, მიშა და ვანო ლოლუები ცოლშვილით, ძმები ბესარიონ და ანდრო ხოჭოლავა ცოლშვილით, დები: სოფიო ჩხეტია ქმარშვილით, ეფემია ჭუღუძე ქმარშვილით; შვილიშვილი ლიდი პარკაია და რძალი ნინო ხოჭოლავა აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარი

ქრისტინე ივანე ხოჭოლავას ასული ლოლუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქალ. ფოთში, კვირას 27 მაისს. ნ. 1148

ღრმად დამწუხრებულნი: ელისაბედ ალექსანდრეს ასული ბარათაშვილი, შვილები: ელენე, ნინო, სიმონი მეუღლეებით და იოსები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ მათთვის ძვირფას და მუდამ დაუვიწყარ დამცველთა კოლეგიის წევრ

გრიგოლ საჩინოს-ძე ბარათაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ ვერის ახალ სასაფლაოზე, კვირას, 27 მაისს, 1-ლ საათზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2477

უსაზღვროდ დამწუხრებულნი: მეუღლე მიშა და შვილები: ეთერი და ნათელა მამფორიები აუწყებენ საზოგადოებას, რომ უდროოდ დაღუპულ

კლავდია (გაგალი) ნიკოლოზის ასულ მეუნარგიას

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი კვირას, 27 მაისს, დღის 12 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 2475

მწუხარებით გულმოკლულნი: შვილი ვერა, შვილიშვილი მედეია და სიძე ვალიკო მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ კვირას, 27 მაისს, 4 საათზე გადახდილი იქნება

ანნა გიგოს ასული ჯაფარიძის

სამოქალაქო პანაშვიდი მისი შვილის ალიოშა ჯაფარიძის ძეგლთან, საბჭოთა ქუჩაზე. 2464

გულდათუთქულნი შვილები: ეკატერინე, დათა, სესე, რძალი იულია, და—ნადეჟდა ნუროვსკაია და შვილის შვილი ილიუშა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 25 ამა მაისს ნაშუადღევს 1 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ქეთევან დავითის ასული ფავლენიშვილისა

სამოქალაქო პანაშვიდი 26 მაისს საღამოს 7 საათზე ბინაზე (გუდაურის ჩიხი № 6) დაკრძალვა კვირას 27 მაისს ნაშუადღევს 1 საათზე. 2482 1—1

სახკინმრეწვის კინოები

აპოლო	მხატვრ. სურ. „მეჟრაბპომ-რუს“-ის ნაწარმოები მიდის დიდი წარმატებით **მიწა ტყვეობაში**
არფასტო	რეჟისორი—ფ. ა. ოცეპ ოპერატორი—ლ. ფორესტიე.
მინიონი	ორიგინალური კომედია **სოროჩინის ბაზრობა** გოგოლის ნაწარმოებ. მიხ.
პალასი (საზაფხულო)	საზაფხულო სეზონის გახსნა. ეკრანზე **სამი მუშკეტერი** დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით
სოლეი	სეზონის საუკეთესო სურათი **ორი ქმრის ცოლი** მსტერ გაზის მონაწილეობით პროგრამის გარდა ხანძარი ქუთაისში
ოდეონი	ბარი ლიდკე და ჟენი პორტენ სურათში **ფავორიტი** (დედოფლის საყვარელი)
დარბაზი	მხატვრული სურათი **ლონდონის ნისლში**
პროლეტარი ავლაბარი	პირლ უაიტ სურათში **ვუ-ფანგის საიდუმლოება** (პარამურ)

ანონსი: მალე „სამანიშვილის დედინაცვალი“ დ. კლდიაშვილის ნაწარმოების მიხედვით 0—19

მედსანშრომის მუშაკთა საზაფხულო კლუბი (ყოფ. სტელა)

დღეს საზაფხულო სეზონის ●●● საზეიმო გახსნა ●●● დიდი საღამო-კონცერტი-ბალეტი

მონაწილეობენ სახელმწიფო ოპერის, სახელმწიფო დრამის და ბალეტის მსახიობები: ქაშაკაშვილი, მესხიაევი, ე. კაპელნიცკი, (ვიოლ.), ვერ და ვას (ჰუმორისტები), კომაროვ და ქარილინი (სატირა) და სხვ.

ბაღში—ბუფეტი, სამხედრო ორკესტრი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ანონსი: კვირას 27 მაისს—ჰუმორის და სატირის საღამო. ნ. 1152

ორშაბათიდან 28 მაისიდან

კინო-თეატრებში აპოლო-სოლეი

სახკინმრეწვი · ГОСКИНПРОМ :

პირველი კომედია იმერეთის ცხოვრებიდან

„სამანიშვილის დედინაცვალი“

დ. კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით
დადგმა კ. მარჯანიშვილის
ოპერატორი—ენგელს

მთავარ როლებში: კ. ჯავახიშვილი, ც. წუწუნავა, ა. ვასაძე, ლამბაშიძე, ლორთქიფანიძე, ყორყოლიანი. ნ. 1151

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი ლეზანოვის შესახვევი № 8. 25—1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. დებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ქ. ს. ფონ-იოტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში, სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორეხის ქ. კუთხე.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

თანახმად განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებისა, ამა წლის 20 ივნისს შესდგება **უკანასკნელი და საბოლოო** საგამოცდო სესია იმ პირთა გამოსაცდელად, ვისაც სურს მიიღოს: 1) კბილის ექიმის წოდება, 2) კბილის ტექნიკოსის წოდება.

მსურველმა წერილობითი განცხადება სათანადო საბუთებით უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 15 ივნისისა, საგამოცდო სესიის თავმჯდომარის სახელზე, შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 126 სტომატოლოგიური კლინიკა. იქვე შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება. 13—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ●●● ●●● ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიცინის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-მდე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

დავკარგე: მუშკოოპის წიგნაკი № 9352 გიორგი მინდელის სახელზე, ჩ. გ. 2466

დავკარგე: მოწმობა 9 წლედის დამთავრებულისა № 322, სიღარიბის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი აგრაფინა ფილიპეს ასული ფანცულაიას სახელზე, ჩ. გ. 2467

დავკარგე: პირადობის მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი და წერტ-წიგნაკი, შალვა მიხეილის-ძე ელიზბარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2472

დავკარგე: საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფესიონალური კავშირის საწევრო წიგნაკი № 11338 ილია გიორგის-ძე ფირცხალაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2473

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობა „გრუზგოსტორგი“-ს დასკვნითი შეერთებული

ბალანსი

1927 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის

№№	ანგარიშების დასახელება	კერძო ჯამი		საერთო ჯამი		№№	ანგარიშების დასახელება	კერძო ჯამი		საერთო ჯამი	
1	ქონება	—	—	186.484	38	1	კაპიტალი:				
2	პაიები და აქციები	—	—	43.506	85		ა) ძირითადი	650.438	41		
3	ნაღდი საშუალებანი	—	—	66.032	77		ბ) სათადარიგო	3.934	56	654.372	97
4	% -ნი და ფასიანი ქაღალდები	—	—	3.579	42	2	ფონდები:				
5	საქონელი	—	—	1.369.039	90		ა) მუშა-მოსამს. მდგომ. გასაუმჯობესებ.	1.797	28		
6	მასალები	—	—	66.047	95		ბ) საამორტიზაციო	79.601	70		
7	თამასუქები და საბუთები						გ) საეჭვო დებიტორების მოს. ზარალის	44.373	88		
	ა) მიღებული	162.095	11				დ) ხელმძღვანელ პერსონ. წასაქეზებელი	49	18	125.822	04
	ბ) დახურდავებული	239.619	41			3	სესხები:				
	გ) პროტესტ ქმნილი	4.701	75				ა) სპეციალური სახელდახელო ანგარიშ.			293.691	53
	დ) საინკასო	114156	04	520.572	31	4	ბლანკდასმითი ვალდებულებანი				
8	ანგარიშ ვალდებული პირები			7.624	01		ა) ბანკები განაღდებულ თამასუქებით			239.619	41
9	დებიტორები:					5	გაცემული თამასუქები:			1.231.295	84
	ა) მყიდველები	147.397	74			6	კრედიტორები:				
	ბ) გამყიდველები	260.525	14				ა) მყიდველები	40.168	38		
	გ) სხვადასხვა	83.985	41				ბ) გამყიდველები	44.398	94		
	დ) საეჭვო დებიტორები	78.461	76				გ) ფინსახკომი (გადასახ. ანარიცხ. ანაკრეფებ.)	4.841	94		
	ე) უიმედო დებიტორები	130	—	570.500	05		დ) სხვადასხვა	157.294	47	246.703	73
10	დაუმთავრებ. დასამზადებ. ოპერაციები			377	81						
11	მომავალი წლის ხარჯები			38.309	58	7	1926/27 წლის მოგება			153.083	87
12	წარსული წლების ზარალი			72.514	36						
	ბალანსი			2.944.589	39		ბალანსი			2.944.589	39

ბალანს გარე ანგარიშები:

№№	ანგარიშების დასახელება	კერძო ჯამი		საერთო ჯამი	
1	საკომისიოთ მიღებული საქონელი	175.145	17		
2	ბრუნვაში მყოფი დაგირავებ. საქონელი	116.434	63		
3	საგარანტიო მიღებული თამასუქები	11.580	—	303.159	80

ზარალ-სარგებლის ანგარიში

№№	ანგარიშების დასახელება	კერძო ჯამი		საერთო ჯამი		№№	ანგარიშების დასახელება	კერძო ჯამი		საერთო ჯამი	
1	საერთო სავაჭრო ხარჯები			720.817	67	1	შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან			924.793	07
2	გადახდილი პროცენტები			92.829	11	2	მიღებული პროცენტები			36.374	53
3	ზარალი სავაჭრო დებიტორებისაგან			61.743	68	3	მიღებული კომისია			51.730	65
4	საეჭვო დებიტორების რეზერვი			71.659	03	4	სხვადასხვა შემოსავალი			138.512	13
5	სხვადასხვა ზარალი და ხარჯები			51.337	02						
6	საოპერაციო წლის წმინდა მოგება			153.089	87						
				1.151.470	38					1.151.470	38

მოგების განაწილება

№№	ანგარიშების დასახელება	კერძო ჯამი		საერთო ჯამი	
	1926/27 წლის მოგება	153.083	87		
	გამოირიცხება საშემოსავლო და ადგილობრივი გადასახადი	15.308	39		
	განსანაწილებელია			137.775	48
1	სათადარიგო კაპიტალში	6.526	11		
2	მუშა-მოსამს. მდგომ. გასაუმჯობ. ფონდში	6.526	11		
3	ხელმძღვანელ პერსონალის გასაქეზებელ.	163	15		
4	1925 წლ. ზარალის დასაფარავათ	72.514	36		
5	მეპაიეთა დივიდენდში	52.045	75		
		137.775	48		

ბალანსი განხილული და დამტკიცებულია საუწყებათაშორისო კომისიის მიერ 17 აპრილს 1928 წ. ოქმი № 1. ნის. 1150

ზუგდიდის და ხობის უბნებთა სახ. სასამართლოების აღმასრულებელი ი. დგებუაძე

აცხადებს, რომ ის 28 მაისს, 1928 წ. დღის 2 საათზე, სოფ. 1 ხორგაში, ათანასა ფაჩულიას სახლში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის უკანასკნელის მოძრავ ქონებას: სამზარეულოს—ხის—გადასატანად და სხვას შეფასებულს სულ 64 მან. ქსენია აბრამიას ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ხობის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 27 იანვრიდან 1928 წ. თარიღით, № 359 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2463

ლაგოდეხის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ხირსელი

ამით აცხადებს, რომ ის 1928 წლ. 27 მაისს, დილის 10 საათზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სოფ. შრომაში სოფიო გელაშვილის მოძრავ ქონებას: 1) კედლის ხალიჩას 2 ც., 2) ბუფეტის შკაფს 1 ც., 3) 1 ც. კაკლის მაგიდას, (ვაჩარხული) გიო ბიძინაშვილის 190 მან. ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა, გაცემული ლაგოდეხის სახ. სასამართლოს. 11 თებ.—1928 წლ. № 1091, საჯარო ვაჭრობა მოხდება სოფ. შრომაში სოფიო გელაშვილის ეზოში. ქონება შეფასებული იქნება საჯარო ვაჭრობის დღეს კომისიის თანდასწრებით. 2480

ამიერ-კავკასიის რკ. გზების გამგეობის ყველა განყოფილებებში
(სადგურის ქ. № 1)
„კომუნისტი“-ს გამოწერა შეიძლება
ამხ. ი. ი. იოზეფოვიჩისაგან
წევის დარგის საორთქმავლო ნაწილი, მე-3 სართული
საჭირო ცნობების მიღება შეიძლება მისგანვე

დავკარგე: მუშათა მთლ. კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 33716 მოცემული კორინთელის სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი კიმოთე ბესარიონის-ძე ჭარაბაძის სახელზე, ჩ. გ. 2469

ქ. თბილისის 1-ლ უბნის სასამართ. აღმასრულებელი

აცხადებს, რომ 1928 წ. 29 მაისს, დღის 1-ლ საათზე; 1-ლ სამილიციო უბანში ბაქრაძის მე-2 ჩიხი, № 4, გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** ერთ სართულიანი სახლის ნახევარი ნაწილი ორი ოთახი, რომელიც ეკუთვნის ნიკოლოზ ონისიმეს-ძე გოგოლაშვილს და მდებარეობს ზემოდ აღნიშნულ ჩიხში, ეს სახლი შეფასებულია 800 მანეთად და მას აქვს ქალ. თბილისის კომუნალურ ბანკის ვალი 1200 მან. ვაჭრობა დაიწყება 800 მან., სახლის მყიდველმა ბანკის ვალი უნდა გადაიწეროს. ვაჭრობა დანიშნულია ბასიკო ნინიას-ძე გოგოლაშვილის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად ჯამით 800 მან., ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს, ცნობები გათვალისწინებული სამ. საპ. კოდ. 311 მუხ. გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარუდგინოს საწინდარი შეფასებული ჯამის 10 პროც. 2479

დავკარგე: მუშკოოპის საწ. წიგნაკი № 17649 კ. ჩარკვიანის სახელზე, ჩ. გ. 2471

დავკარგე: ვინაობის წიგნაკი ლუცია ალექსანდრეს ასული ჩაჩიბაიას სახელზე, ჩ. გ. 2474

ქ. თბილისის მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი თ. გოგია

ამით აცხადებს, რომ ის 29 მაისს, 1928 წ. დღის 2 საათზე, სახლში, № 12 იერუსალიმის შესახვევი **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ბინო ბატუაშვილის მოძრავ ქონებას: პიანინოს „კრეზის“, კრაოტებს, ბუფეტებს, კედლის საათს, კამოდს, პირსაბანს და სხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 754 მანეთად, კარაპეტ ბადალიანცის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. სამაზრო სამოქალაქო სასამართლოსაგან 10 მაისს, 1928 წ. თარიღით, № 121/2 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2478

დუშეთის უბნის სახალხო სასამარ. აღმასრულებელი გიორგი კობიაშვილი

აცხადებს, რომ კვირას, 27 მაისს, დილის 10 საათზე, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** სოფ. ნატახტარში, სადაც გაიყიდება ნიკოლოზ (კოლა) ფარესიშვილის ერთ სართულიანი სახლი ორი ოთახით და სამზარეულო ფიცრისა ფიცრითვე დახურული ივანე ქაჩიროვის ვალში 500 მან. თავის ხარჯებით. 2480

მთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68